

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 6

ქურდობა

ძარცვა

1. ქურდობა

განჩინება

#1238-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - თ. უ-იანისა და რ. ა-ოვის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ყ-ძისა და მსჯავრდებულ ე. კ-ოვის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის განაჩენით ე. კ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, ე. კ-ოვს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

იმავე განაჩენით: გ. პ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, გ. პ-ავას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

იმავე განაჩენით, რ. ა-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, რ. ა-ოვს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

ამავე განაჩენით, თ. უ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა მთლიანი შეკრების წესით, თ. უ-იანს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, გ. პ-ავას, რ. ა-ოვს, თ. უ-იანსა და ე. კ-ოვს მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგრეთვე, სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის აგვისტოში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ე. კ-ოვი, რ. ა-ოვი, თ. უ-იანი და გ. პ-ავა დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს ქ. თბილისში, ... დასახლებაში არსებული პარკის მახლობლად, სატელეფონო ქსელის დაზიანებით, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ საქციო საზოგადოება «საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის» ქონებას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ე. კ-ოვი, გ. პ-ავა, რ. ა-ოვი და თ. უ-იანი მეტროს სადგურ «ავლაბრის» მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდნენ ერთმანეთს და ე. კ-ოვის კუთვნილი გაზ-2410 მარკის თეთრი ფერის ავტომანქანით მივიდნენ თბილისში, ... დასახლებაში არსებულ პარკთან. რ. ა-ოვი და გ. პ-ავა ჩავიდნენ სატელეფონო ჭაში და დააზიანეს 325 მეტრი სიგრძის სატელეფონო ქსელი, ე. კ-ოვი კი მათ ელოდებოდა იქვე გაჩერებულ თავის კუთვნილ ავტომანქანასთან, რათა საფრთხის შემთხვევაში გაეფრთხილებინა ისინი. ე. კ-ოვი, რ. ა-ოვი, თ. უ-იანი და გ. პ-ავა ფარულად დაეუფლნენ 325 მეტრ სატელეფონო კაბელს, ღირებულს 1625 ლარად და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2006 წლის 10 აგვისტოს, დაახლოებით 22.00 საათზე, ე. კ-ოვი, რ. ა-ოვი, თ. უ-იანი და გ. პ-ავა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს მეტროს სადგურ «ავლაბრის» მიმდებარე ტერიტორიაზე და წავიდნენ ქ. თბილისში, ... დასახლებაში არსებულ პარკთან მათ მიერ გადაჭრილი და დარჩენილი კაბელის წამოსადებად. გ. პ-ავა რ. ა-ოვთან ერთად ნაჯახით მომარჯვებული ჩავიდა სატელეფონო ჭაში, ხოლო ე. კ-ოვი და თ. უ-იანი დარჩნენ იქვე ჭასთან, რათა უკვე მცირე ზომეზად დაჭრილი კაბელი

ჩაელაგებინათ ავტომანქანაში. რ. ა-ოვმა და გ. პ-ავამ მცირე ზომებად დაჭრილი სატელეფონო კაბელები მიაწოდეს ზემოთ მყოფ თ. უ-იანსა და ე. კ-ოვს, რომლებმაც აღნიშნული კაბელის ნაწილი მოათავსეს იქვე მდგარ ე. კ-ოვის ავტომანქანაში, ხოლო 15 მეტრი სიგრძის სადენის ჭიდან ამოღებისას ისინი დააკავეს თბილისის ისანი-სამგორის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა. ე. კ-ოვმა, რ. ა-ოვმა, თ. უ-იანმა და გ. პ-ავამ სააქციო საზოგადოება «საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია» სატელეფონო ქსელის დაზიანებით მიაყენეს 160 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო 325 მეტრი სატელეფონო კაბელის დაუფლებით - 1625 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი - სულ 1785 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. პ-ავამ და მისმა ადვოკატმა გ. დ-იამ, მსჯავრდებულებმა - რ. ა-ოვმა და თ. უ-იანმა.

აპელანტი - ადვოკატი გ. დ-ია სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გ. პ-ავას მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აპელანტის განმარტებით, მოსამართლემ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა გ. პ-ავას ჩვენებები იმის თაობაზე, რომ მას აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა არ მიუღია. ამასთან, ადვოკატმა გ. დ-იამ დააყენა ალტერნატიული მოთხოვნა მსჯავრდებულ გ. პ-ავასათვის სასჯელის შემსუბუქების თაობაზე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს კმაყოფაზე ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და ავადმყოფი მამა.

აპელანტი, მსჯავრდებული რ. ა-ოვი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ ხასიათდება დადებითად, პირველადაა სამართალში, კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ავადმყოფი მშობლები, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

აპელანტი, მსჯავრდებული თ. უ-იანი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას, იმ მოტივით, რომ მას განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია და, მხოლოდ იმიტომ, რომ რამდენიმე პოლიციელი ირწმუნება - თითქოს იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო დანაშაულის ჩადენის ადგილზე, მან პასუხი არ უნდა აგოს.

საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტების საჩივრები, 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულთა მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - თ. უ-იანისა და რ. ა-ოვის დამცველმა, ადვოკატმა გ. ყ-ძემ, აგრეთვე, მსჯავრდებულმა ე. კ-ოვმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი, მსჯავრდებულების - თ. უ-იანისა და რ. ა-ოვის დამცველი, ადვოკატი გ. ყ-ძე თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მათ მიმართ საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ აღნიშნული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და აშკარად უსამართლო, იგი არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - თ. უ-იანის, რ. ა-ოვის, ე. კ-ოვისა და გ. პ-ავას მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოცემული დასკვნები მსჯავრდებულების ბრალეულობის თაობაზე არის საფუძვლიანი და დასაბუთებული, ვინაიდან ისინი ემყარება საქმეში არსებულ სარწმუნო მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. აღნიშნულ მტკიცებულებებში იგულისხმება მოწმეთა ჩვენებები, ექვმიტანილ გ. პ-ავას ჩვენება, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ნივთმტკიცებები და საქმის სხვა მასალა, რომლებითაც დასტურდება არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, არამედ თითოეული მსჯავრდებულის მონაწილეობა აღნიშნულ დანაშაულში.

აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი დაკავებულ იქნა უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში ნივთმტკიცებებით ხელში.

უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. უ-იანის, რ. ა-ოვის, ე. კ-ოვისა და გ. პ-ავას მიერ ჩადენილ ქმედებას სასამართლომ მისცა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია, ხოლო კასატორების მიერ თავიანთ საჩივრებში წარმოდგენილ მოტივებსა და ვერსიებს, რომლებიც მიმართულია მსჯავრდებულთა გამართლებისაკენ, არ გააჩნია დამაჯერებელი და დასაბუთებული საფუძველი, რის გამოც აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

გასაჩივრებული განაჩენი მართებულია, ასევე, სასჯელთა დანიშვნის ნაწილშიც, რადგან თითოეული მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის ზომა განსაზღვრულია სამართლიანად და შეესაბამება საქმის გარემოებებსა და მსჯავრდებულთა პიროვნებას.

განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ მსჯავრდებულებს - ე. კ-ოვსა და გ. პ-ავას, მაგრამ გასაჩივრებული განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით შემოწმდა მათ მიმართაც. საკასაციო პალატის

დასკვნით არ არსებობს საფუძველი მათ მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ანდა სასამართლოს მიერ მათთვის დანიშნული სასჯელის ზომების შესაცვლელად.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულების - თ. უ-იანის, რ. ა-ოვის, ე. კ-ოვისა და გ. პ-ავას მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მსჯავრდებულები უნდა გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოხდისაგან და, ამის გათვალისწინებით, მათ უნდა შეუმცირდეთ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულების - თ. უ-იანის, რ. ა-ოვის, ე. კ-ოვისა და გ. პ-ავას სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების: თ. უ-იანის, რ. ა-ოვის დამცველის, ადვოკატ გ. ყ-ძისა და მსჯავრდებულ ე. კ-ოვის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულები - თ. უ-იანი, რ. ა-ოვი, ე. კ-ოვი და გ. პ-ავა «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან, რის გამოც აღნიშნული განაჩენით მათთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელები შეუმცირდეთ და მათ საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროთ: მსჯავრდებულ თ. უ-იანს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; მსჯავრდებულ რ. ა-ოვს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; მსჯავრდებულ ე. კ-ოვს - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; მსჯავრდებულ გ. პ-ავას - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1500-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენით:

ა. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე, ა. კ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

იმავე განაჩენით ზ. ზ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) და სსკ-ის

177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე, ზ. ზ-უას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

აღნიშნული განაჩენით ა. კ-ძეს, ზ. ზ-უასთან ერთად, დაეკისრა დაზარალებულ ჯ. ლ-ძის სასარგებლოდ 4707 ლარის გადახდა.

განაჩენის მიხედვით, მათ მსჯავრი დაედოთ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 მაისს ზ. ზ-უა და ა. კ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განზრახეს, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #14/16-ში მდებარე შპს «ვერა 99»-ის მშენებარე კორპუსის მეცხრე სართულზე განთავსებული ლიფტების სამანქანო მართვის პულტის ელექტროხელსაწყოებს. თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ისინი იმავე ღამეს, დაახლოებით 03:00 საათზე, მივიდნენ ... ქუჩა #14/16-ში მდებარე სადარბაზოსთან, სადაც მათ ძალაყინის გამოყენებით გატეხეს სადარბაზოს შესასვლელი კარის ბოქლომი, უკანონოდ შეაღწიეს სადარბაზოში, ავიდნენ მე-9 სართულის მანსარდზე, სადაც კვლავ ძალაყინის გამოყენებით გატეხეს ... ქუჩის მხრიდან სადარბაზოს ლიფტის სამანქანო სათავსის კარის ბოქლომი, შეანგრიეს ხის კარი და შეაღწიეს სათავსში. აღნიშნულ ადგილზე მათ მომარჯვებული სახრახნისა და ბრტყელტუჩას გამოყენებით ჩაჭრეს შემაერთებელი ელექტროსადენები, ფარულად გაიტაცეს და დააზიანეს ლიფტის სამართავ პულტზე არსებული შემდეგი დასახელების ელექტროხელსაწყოები: ერთი ცალი ლიფტის სამუხრუჭე კოჭი, ღირებული 120 ლარად; ორი ცალი ლიფტის ელექტროკონტაქტორი, მარკით «პმლ-4500 04ა», თითო ღირებული 100 ლარად; ორი ცალი ლიფტის ელექტროკონტაქტორი - «პმლ-4100 04ა», - თითო ღირებული 80 ლარად; ოთხი ცალი ლიფტის რელე, თითო ღირებული 15 ლარად; ლიფტის მართვის პულტის სხვადასხვა ნაწილები, ღირებული 50 ლარად; 1 ცალი ელექტროტესტერი წითელი და შავი ფერის საკონტაქტო სადენებით, ღირებული 50 ლარად. ამის შემდეგ ისინი გავიდნენ მანსარდის მეორე მხარეს, სადაც კვლავ ძალაყინის გამოყენებით გატეხეს ... ქუჩის მხრიდან სადარბაზოს ლიფტის სამანქანო სათავსის კარის ბოქლომი, შეანგრიეს ხის კარი და აღნიშნულ სათავსში მათ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩაჭრეს შემაერთებელი ელექტროსადენები, ფარულად გაიტაცეს და დააზიანეს ლიფტის სამართავ პულტზე არსებული შემდეგი დასახელების ელექტროხელსაწყოები: ერთი ცალი ლიფტის სამუხრუჭე კოჭი, ღირებული 20 ლარად; ორი ცალი ლიფტის ელექტროკონტაქტორი - «პმლ-4100 04ა», - თითო ღირებული 80 ლარად; ლიფტის მართვის მიკროკონტროლიორი მარკით «უირფ-467361007», ღირებული 900 ლარად, ასევე ტექნიკური დოკუმენტაციის ჟურნალი. მათვე ლიფტების საცავებში შეღწევისას გატეხეს სამი ცალი ბოქლომი, ღირებული 27 ლარად; ორი ცალი ლიფტის ხის კარი, შეჭედილი მეტალის ფურცლებით, თავისი ჩარჩოთი, ღირებული თითო 400 ლარად, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 2907 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. სულ აღდგენითი სამუშაოების ჩათვლით ზ. ზ-უამ და ა. კ-ძემ შპს «ვერა 99-ს» მიაყენეს 4707 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. დაუფლნენ რა ხსენებულ ნივთებს და ახდენდნენ მათ გადაზიდვას თბილისში, ... და ... ქუჩების გადაკვეთასთან ისინი დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა სახელმწიფო ბრალმძებელმა თ. ზ-იანმა. აპელანტი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულებისათვის სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ კი, თითოეულისათვის სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 22 დეკემბრის განაჩენის სასჯელის ნაწილში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულების - ზ. ზ-უასა და ა. კ-ძეს საუარესოდ, კერძოდ, მათ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა (მითითებული რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) სასჯელის ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა თითოეულს - 4 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (მითითებული რედაქცია) - თავისუფლების აღკვეთა თითოეულს - 1 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) შესაბამისად, სასჯელთა შთანთქმის პრინციპის საფუძველზე მსჯავრდებულებს - ზ. ზ-უასა და ა. კ-ძეს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა თითოეულს - 4 წლისა და 6 თვის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ა. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი, მსჯავრდებული ა. კ-ძე თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში ცვლილების შეტანას და სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ, სსკ-ის 50-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე რეალურად მოსახდელი

სასჯელის განსაზღვრას, ხოლო სასჯელის დანარჩენი ნაწილის შეცვლას პირობითი მსჯავრით იმ მოტივით, რომ იგი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია რომ მსჯავრდებულ ა. კ-ძის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ ა. კ-ძესა და ზ. ზ-უას ნამდვილად აქვთ ჩადენილი ის ქმედებები, რომლებიც მათ სასამართლოს განაჩენით ბრალად შეერაცხათ. მათი ბრალეულობა დადასტურებულია უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ა. კ-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა ზედმეტად მკაცრი და უსამართლოა, ვინაიდან საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ ა. კ-ძისათვის დანიშნული სასჯელი განსაზღვრულია მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს კანონიერი საფუძველი მისი შემცირებისათვის. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას მის მიმართ სსკ-ის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების თაობაზე, ვერ დაკმაყოფილდება, რადგან მსჯავრდებულებს წაასწრეს დანაშაულის ჩადენისას, ასეთ შემთხვევაში კი კანონი შესაძლებლად არ მიიჩნევა აღნიშნული შეღავათის გამოყენებას.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებული ა. კ-ძე, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულ ზ. ზ-უას მიმართ და მიიჩნია, რომ აღნიშნული განაჩენი მისი მსჯავრდების ნაწილში უნდა შეიცვალოს ნაწილობრივ. კერძოდ, მსჯავრდებული ზ. ზ-უა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე ამ განაჩენით ა. კ-ძისა და ზ. ზ-უას მიმართ განსაზღვრული საბოლოო სასჯელები უნდა დარჩეს უცვლელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულების - ა. კ-ძისა და ზ. ზ-უას მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულები - ა. კ-ძე და ზ. ზ-უა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, გათავისუფლდნენ სასამართლოს მიერ სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ა. კ-ძისა და ზ. ზ-უას მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1831-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის განაჩენით მ. ბ-ოვი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ», «გ» ქვეპუნქტებისა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა შეკრების წესით, მ. ბ-ოვს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, მ. ბ-ოვს მსჯავრი დაედო საცავსა და ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე სხვისი ნივთის დაზიანებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

მ. ბ-ოვმა, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა რა ქურდობა და არ დაადგა გამოსწორების გზას, კვლავ განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, კერძოდ: 2006 წლის 8 დეკემბერს, დილის საათებში, მ. ბ-ოვი მივიდა ახალგორის რაიონის სოფ. ... მდებარე, მოქალაქე დ. მ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწია სახლის ეზოში მდებარე ე.წ. «საკუჭნაოში» და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა დაზარალებულის კუთვნილ, 350 ლარად ღირებულ არყის გამოსახდელ სპილენძის ქვას.

იმავე დღეს, გამოძიებით დაუდგენელ დროს, მ. ბ-ოვი მივიდა ახალგორის რაიონის სოფ. ... მდებარე მ. პ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, შევიდა ეზოში, ჩამტვრია სახლის ფანჯარა, რის შემდეგაც შეაღწია ბინაში და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა მოქალაქე მ. პ-შვილის კუთვნილ, 250 ლარად ღირებულ «სამსუნგის» ფირმის ფერად ტელევიზორს, 40 ლარად ღირებულ თეთრი ფერის დენის მარეგულირებელ მოწყობილობას, 70 ლარად ღირებულ წითელი ფერის ელექტროღუმელს, 300 ლარად ღირებულ ათ ცალ თაფლის ფიჭას, 10 ლარად ღირებულ სამ ცალ კონიაკ «თბილისურს», სამ ლარად ღირებულ თხუთმეტ ცალ ნახევარლიტრიან ბოთლში ჩამოსასხმელ კონიაკს, 180 ლარად ღირებულ თხუთმეტ კილოგრამ თაფლს, 35 ლარად ღირებულ ლურჯი ფერის ემალის ქვას, 530 ლარად ღირებულ რვა ცალ ნახევარლიტრიან ბოთლს და ორ ცალ 10 ლიტრიან ბოცა თაფლის არაყს, რითაც მ. ბ-ოვმა მ. პ-შვილს მიაყენა 1518 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მანვე ქურდობის დროს განზრახ დააზიანა მ. პ-შვილის საცხოვრებელი სახლის 7 ფანჯრის მინა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 160 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

იმავე დღეს მ. ბ-ოვმა ნაქურდალი ნივთები ჩააწყო წინასწარ დაქირავებულ, ვ. დ-შვილის კუთვნილ ტაქსში და გადაზიდა თბილისში, რის შემდეგ მ. ბ-ოვმა მეტროს სადგურ «დიდუბის» ტერიტორიაზე მდებარე, მ. ო-ძის კუთვნილ ფერადი ლითონების ჩამზარებელ პუნქტში 119 ლარად ჩააბარა დ. მ-შვილის კუთვნილი არყის გამოსახდელი ქვაბი თავსახურით. მანვე ტაქსის მძღოლს - ვ. დ-შვილს 20 ლარად მიჰყიდა 3 ლიტრი თაფლის არაყი და 2 ცალი თაფლის ფიჭა, ნ. ხ-იას 90 ლარად მიჰყიდა «სამსუნგის» ფირმის ტელევიზორი, თეთრი ფერის ელექტროგამანაწილებელი, წითელი ელექტროღუმელი, რის შემდეგაც მ. ბ-ოვი გაურკვეველი მიმართულებით წავიდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ბ-ოვმა. თავისი საჩივრით იგი ითხოვდა მისთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ დაზარალებულს დაუბრუნდა მოპარული ნივთები, ხოლო თვითონ აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ მ. ბ-ოვს განაჩენიდან ამოერიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ბ-ოვმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანასა და მისთვის შეფარდებული სასჯელის შემცირებას იმ მოტივით, რომ ჰყავს ავადმყოფი, მარტოხელა დედა და თანახმაა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ მ. ბ-ოვის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ბ-ოვის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, რასაც თვით მსჯავრდებულებაც არ უარყოფს. რაც შეეხება მ. ბ-ოვის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მის მიმართ განაჩენით დანიშნული სასჯელის შემცირების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან თვლის, რომ აღნიშნული სასჯელი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ბ-ოვის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შემდეგაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ მ. ბ-ოვის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ბ-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულები მ. ბ-ოვი, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან და, შესაბამისად, აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#2025-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ღ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ი. ღ-შვილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, სასჯელთა

მთლიანი შეკრების პრინციპის საფუძველზე, ი. ლ-შვილს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ი. ლ-შვილს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, სადგომში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 30 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე ი. ლ-შვილმა, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ქურდობა, განიზრახა ქ. ყვარელში მდებარე ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს - შპს „საქართველოს« ქონების, კერძოდ, სახერხი ჩარხებისა და ელექტროსადენების დაშლა, მათი განზრახ დაზიანება-განადგურება და მათი დაშლის შედეგად მიღებული დეტალების ფარულად დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი ფარულად შევიდა აღნიშნული საწარმოს ტერიტორიაზე, შეაღწია #2 საამქროში, სადაც სახერხი დანადგარებიდან და ელექტროკარადებიდან მოჭრა ფერადი ლითონების შემცველი ელექტროსადენები. აღნიშნულის შემდეგ ი. ლ-შვილმა შეამტვრია ხის დაკეტილი კარი და უკანონოდ შეაღწია ამავე საამქროში მდებარე საშრობ ოთახში, სადაც პარკეტის საშრობი დანადგარებიდან მოხსნა 4 ცალი ელექტროძრავა, ხოლო დანადგარებს შეაჭრა ელექტროსადენები, რითაც დააზიანა და განადგურა შპს „საქართველოს« კუთვნილი სამი ცალი პარკეტის საშრობი დანადგარი და სახერხი. აღნიშნულის შემდეგ ი. ლ-შვილმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთებიდან, მათი დაშლისა და დაწვის გზით, გამოარჩია ფერადი ლითონები, რომლებიც 2006 წლის 3 ნოემბერს მიჰყიდა ქ. ყვარელში მცხოვრებ ქ. გ-შვილს.

თავისი ქმედებით ი. ლ-შვილმა შპს „საქართველოს« მიაყენა 4000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ი. ლ-შვილმა. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აგვისტოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ი. ლ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი სხვა ნაწილში ი. ლ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის ბრალდების საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ სასამართლო გამოძიება არასწორად წარიმართა, ხოლო განაჩენი ეყრდნობა ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც სინამდვილეში არ ადასტურებენ ი. ლ-შვილის ბრალეულობას განაჩენით მისთვის შერაცხულ ქმედებებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ი. ლ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა არაერთგზის, სადგომში უკანონო შეღწევით, ასევე სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა გ. ლ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება ი. ლ-შვილის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის

მოხდისგან, რის გამოც, შესაბამისად, უნდა შეუმცირდეს განაჩენით მისთვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი, რის შემდეგაც მას მოსახდელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ი. ლ-შვილის დამცველის, ადვოკატ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ი. ლ-შვილი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისგან და, შესაბამისად, მას აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#2097-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

შ. ყ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, ხოლო ამავე კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელთა შეკრების წესით, შ. ყ-შვილს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენით შ. ყ-შვილს მსჯავრი დაედო საცავში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და სხვისი ნივთის ცეცხლის წაკიდებით დაზიანება-განადგურებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 3 დეკემბერს შ. ყ-შვილმა განიზრახა თავისივე სოფელში არსებული, მ. კ-შვილის კუთვნილი რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საამქროდან სხვადასხვა ნივთის ფარულად გატაცება. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან იმავე ღამეს, დაახლოებით 22.00 საათზე, უკანონოდ შეადგინა აღნიშნულ შენობაში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად გაიტაცა: 50 ლარად ღირებული 200 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ავზი; 100 ლარად ღირებული მეტალის კუთხოვანა; 30 ლარად ღირებული 2 ცალი 2,5 მეტრი სიგრძის რკინის მილი; 60 ლარად ღირებული 6 ცალი რეზინის მილი; 12 ლარად ღირებული 2 ცალი 2 მეტრი სიგრძის პლასტმასის საკანცელარიო მილი, რითაც დაზარალებულ მ. კ-შვილს მიაყენა 252 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული ნივთები შ. ყ-შვილმა იმავე დღეს მიიტანა თავის მეზობლად მცხოვრებ ვ. ზ-ძის მიტოვებულ ბინაში. შინაგან საქმეთა ახმეტის რაიგანყოფილების

მუშაკების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ხსენებული ნივთები მეორე დღესვე ამოღებულ იქნა და დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს.

იმავე დამეს შ. ყ-შვილმა განიზრახა სოფ. ... არსებული, რ. ბ-შვილის კუთვნილი მაღაზიის გაქურდვა. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაახლოებით 23.00 საათზე, იგი მივიდა აღნიშნულ მაღაზიასთან, სარკმლის ხის ჩარჩოს დაზიანებით უკანონოდ შეაღწია შენობაში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა: 40 ლარად ღირებულ 4 ბლოკ სიგარეტ «პირველს»; 7 ლარად ღირებულ 7 კოლოფ სიგარეტ «პირველს»; 13,60 ლარად ღირებულ 8 კოლოფ სიგარეტ «ჩესტერს»; 16 ლარად ღირებულ 1 ბლოკ სიგარეტ «ელემს»; 13,50 ლარად ღირებულ 45 ცალ სანთებელას; 15 ლარად ღირებულ ექვს ფუთა პირის საპარს «ბიგებს»; 5 ლარად ღირებულ ფანარს; 27,20 ლარად ღირებულ 34 ცალ შოკოლად «სნიკერსს»; 11,20 ლარად ღირებულ შოკოლად «ტვიქსს»; 15 ლარად ღირებულ წვევის გასაზომ აპარატს და 50 ლარის ოდენობის სხვადასხვა კუპიურის ფულს. აღნიშნული ნივთები მან ჩააღაგა პოლიეთილენის ტომარაში და გაიტანა მაღაზიიდან, რითაც დაზარალებულ რ. ბ-შვილს მიაყენა 213,50 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ამის შემდეგ, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, შ. ყ-შვილმა ცეცხლის წაკიდებით დაწვა ზემოხსენებული მაღაზია, რის შედეგადაც განადგურდა 15000 ლარად ღირებული შენობა-ნაგებობა და 39786,50 ლარის ღირებულების საქონელი და ინვენტარი. შ. ყ-შვილმა მაღაზიიდან გატაცებული საგნები იმავე დამეს გადაძალა სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ე.წ. «სარუის» წყალთან, საიდანაც მეორე დღესვე იქნა ამოღებული შინაგან საქმეთა ახმეტის რაიგანყოფილების მუშაკების მიერ და დაუბრუნდა დაზარალებულს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა შ. ყ-შვილმა. იგი თავისი საჩივრით ითხოვდა გამართლებას სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის ამ მუხლით ბრალად შერაცხული ქმედება. აპელანტის განმარტებით, მართალია, მან რ. ბ-შვილის მაღაზიიდან ფარულად გაიტაცა სხვადასხვა ნივთი, მაგრამ მაღაზია არ დაუწვავს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ახმეტის რაიონული სასამართლოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ შ. ყ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა შ. ყ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორი თავისი საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ კი, გამართლებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ნაწილში იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ შ. ყ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ შ. ყ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალულობა ამ ნაწილში უტყუარადაა დადასტურებული მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით და ამას არც თვით მსჯავრდებული უარყოფს.

რაც შეეხება მსჯავრდებულ შ. ყ-შვილის მიმართ სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განაჩენში არ არის საფუძველიანი და დამაჯერებელი დასაბუთება იმის თაობაზე, რომ შ. ყ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა რ. ბ-შვილის კუთვნილი მაღაზიის დაზიანება-განადგურება ცეცხლის წაკიდებით. ამ მიმართებით საქმეში რეალურად არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება აღნიშნულ ნაწილში ბრალდების დადასტურებისათვის, ხოლო საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ქმნის სათანადო სამართლებრივ საფუძველს შ. ყ-შვილის ბრალულობის თაობაზე მსჯელობისათვის, სასამართლოს განაჩენი კი ემყარება მხოლოდ ვარაუდს, რაც არ შეიძლება იყოს შ. ყ-შვილის მსჯავრდების საფუძველი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ შ. ყ-შვილის მიმართ ამ ნაწილში უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ შ. ყ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 28-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ შ. ყ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ შ. ყ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

იმავე განაჩენით მსჯავრდებულ შ. ყ-შვილს მოსახდელად დარჩეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1026-აპ

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. უ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით ა-ს ბრალი ედებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 16 იანვრის განაჩენით ა. უ-იას მოეხსნა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებით (მითითებული რედაქცია) წარდგენილი ბრალდება, ამასთან, ამ ნაწილში მისი ქმედება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). ა. უ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტების (მითითებული რედაქცია) საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (მითითებული რედაქცია) საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტების (მითითებული რედაქცია) საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საფუძველზე, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესით, ა. უ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ა. უ-იას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, ა. უ-იას მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგრეთვე ქურდობის მცდელობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2002 წლის 19 ივლისს ა. უ-ია მეზობლად მცხოვრებ გ. უ-იასთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ქურდობის ჩადენის მიზნით, მივიდა ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ... მცხოვრებ შ. გ-ძის საცხოვრებელი სახლის ეზოში. ამის შემდეგ ა. უ-იამ ე.წ. «კუხნა-სახლზე» მიშენებული მარნის ფანჯრიდან ამოიღო

მ. და გ. უ-ის დახმარებით შეაღწია მარანში, გააღო შესასვლელი კარი, რის შემდეგაც გ. უ-იაც შევიდა მარანში. მათ ფარულად გაიტაცეს შ. გ-ის კუთვნილი ორმოცი ლიტრი ტევადობის ალუმინის ბიდონი, რომელშიც ჩასხმული იყო ოცდაშვიდი ლიტრი ორნახადი არაყი, ორმოცი ლიტრი ტევადობის ღვინიანი ბიდონი, სამი ცალი სამლიტრიანი ქვაბი, 100 ლიტრი ტევადობის არყის გამოსახდელი სპილენძის ქვაბი, რვა ცალი ხაჭაპურის გამოსაცხობი, ე.წ. «ყრონა», ხუთი ლიტრი ტევადობის ქვაბი, 50 მეტრი ელსადენი - კაბელი, რითაც დაზარალებულს სულ მიადგა 609 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ა. უ-იამ 2003 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით 13.00 საათზე, დაუდგენელ ბოროტმოქმედთან ერთად, ფულისა და სხვა მატერიალური ფასეულობის დაუფლების მიზნით, შეაღწია ჩხოროწყის რაიონის სოფელ ... მცხოვრები ქ. უ-ის საცხოვრებელი, ე.წ. «კუხნა-სახლის» საძინებელ ოთახში. მიუხედავად იმისა, რომ იგრძნო გვერდით, მისაღებ ოთახში ოჯახის პატრონის - ქ. უ-ისა და მისი მეუღლის - ს. უ-ის შემოსვლა, იქვე მდგარი საკიდიდან ჩამოხსნა ს. უ-ის კუთვნილი ჯემპრი და ქვედა კაბა, საერთო ღირებულებით - 50 ლარი. ა. უ-ია წინა კარით გამოვიდა საძინებელი ოთახიდან აივანზე, რა დროსაც იგი შეამჩნიეს და იცნეს დაზარალებულებმა. ს. უ-ია მეზობლებთან გადავიდა დახმარების სათხოვნელად, ხოლო ქ. უ-ია გაშლილი საკეცი დანით გამოვიდა აივანზე, რა დროსაც მას უკნიდან თავზე მოსასხამი წამოაცვა ა. უ-იამ და დაუწყო ძალადობა. ქ. უ-იამ თავდაცვის მიზნით მსჯავრდებულ ა. უ-ის სხეულზე რამდენჯერმე ჩაარტყა გაშლილი დანა. ამავე დროს, დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა აიღო იქვე, აივანზე დადებული მეტალის სკამი და ქ. უ-ის თავში ჩაარტყა, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა დროებით გონება დაკარგა, ხოლო ბოროტმოქმედებმა კი მოახერხეს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. უ-იამ, რომელიც საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მსჯავრდებულმა ა. უ-იამ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ი. შ-იამ შეცვალეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანა, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით შეფარდებული სასჯელის შემცირება კანონის სანქციის მინიმუმამდე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, ხასიათდება დადებითად და ოჯახის ერთადერთი მარჩენალია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2007 წლის 25 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ამასთან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამორიცხულ იქნა მითითება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» «გ» ქვეპუნქტებით (მითითებული რედაქცია) სასჯელის დანიშვნაზე, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი მსჯავრდებულ ა. უ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. უ-იამ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაც მას წინათ მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. უ-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა ა. უ-იამ ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში და ქურდობის მცდელობა ასევე მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, რაც დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებებით: დაზარალებულთა ჩვენებებით, მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილზე ჩატარებულ საპროცესო მოქმედებათა ოქმებით, ნივთმტკიცებებით, სასამართლო-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით, ხოლო საქმის წარმოებისას არ ყოფილა დაშვებული ისეთი საპროცესო დარღვევები, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა აღნიშნული მტკიცებულებების კანონიერებასა და ბრალდების საფუძვლიანობას.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დასაზუსტებელია ის იურიდიული კვალიფიკაციები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ მიანიჭა მსჯავრდებულ ა. უ-ის მიერ ჩადენილ ქმედებებს. ასეთი დაზუსტების აუცილებლობა გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 28 აპრილს შეტანილი ცვლილებებიდან.

განაჩენის მიხედვით, ა. უ-ის მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ ნაწილში მისი ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია). ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს: სასამართლოს განაჩენით უდავოდ არის დადგენილი, რომ ა. უ-იამ სხვა პირთან ერთად უკანონოდ შეაღწია დაზარალებულ შ. გ-ის საცხოვრებელი სახლის მარანში, რაც ბინად ვერ განიხილება, რადგან მარანი არის საცავი, ამიტომ ამ ნაწილში მისი ქმედება

სამართლებრივად უნდა შეფასდეს როგორც ქურდობა, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, ხოლო ასეთი ქმედებისათვის ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სასჯელის ზომა, რაც გათვალისწინებულია ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). იმავე საკანონმდებლო ცვლილების ძალით ასევე შემცირდა სასჯელის მაქსიმალური ზომა ისეთი ქმედებისათვის, როგორცაა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, და რაც ამჟამად გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, კანონს, რომელიც სასჯელს ამსუბუქებს, აქვს უკუძალა, რის გამოც მსჯავრდებულ ა. უ-იას ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან შესაბამისად უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებზე, ხოლო მისივე ქმედების კვალიფიკაცია, განსაზღვრული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი ქურდობისათვის, უნდა დარჩეს უცვლელად.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. უ-იას ისეთი ქმედება, როგორცაა ქურდობის მცდელობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ახალი სისხლის სამართლის კანონით, კერძოდ, სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რადგან აღნიშნული ქმედებისათვის მისი ჩადენის შემდეგ მიღებული ახალი სისხლის სამართლის კანონით მნიშვნელოვნად გამკაცრდა სასჯელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, ახალ კანონს, რომელიც ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ის კანონი, რომელიც ძალაში იყო პირის მიერ ქმედების ჩადენისას.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ა. უ-იას ქმედება სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის ჩადენილი ქურდობის მცდელობისათვის, ხოლო მისივე ქმედების კვალიფიკაცია, განსაზღვრული სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან ახალი სისხლის სამართლის კანონით შემსუბუქდა სასჯელი ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობისათვის.

რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ა. უ-იას მიმართ დანიშნულ სასჯელს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: მის მიერ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონის შესაბამისად, ვინაიდან სახეზე იყო არაერთგზისი დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ ორი ეპიზოდიდან ერთი დამთავრებულ ქურდობას წარმოადგენდა, ხოლო მეორე - ქურდობის მცდელობას, მსჯავრდებულს უნდა დანიშვნოდა ერთი სასჯელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედებების გამო თითოეული მათგანისათვის სასჯელის ცალ-ცალკე დანიშვნით, როგორც ეს გააკეთა სააპელაციო სასამართლომ, დაირღვა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი ქმედების სიმძიმისა და სასჯელის თანაზომობის თაობაზე, რადგან მსგავს შემთხვევაში, თუკი მეორე ეპიზოდში ქურდობის მცდელობის ნაცვლად ა. უ-ია ჩაიდენდა უფრო მძიმე ქმედებას - დამთავრებულ ქურდობას, მაშინ მთლიანობაში კვალიფიკაცია განისაზღვრებოდა ერთი მუხლით - არაერთგზისობის ნიშნის საფუძველზე და მსჯავრდებულ ა. უ-იას მიმართ დანიშნებოდა ერთი სასჯელი, ე.ი. უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე დაინიშნა შედარებით ნაკლები სიმძიმის ქმედებისათვის.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სათანადო ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილშიც, კერძოდ, მსჯავრდებულ ა. უ-იას ჩადენილი დანაშაულისათვის უნდა დაენიშნოს ერთი სასჯელი, რომლის ზომა არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული განაჩენით უფრო მძიმე ქმედებისათვის მის მიმართ დანიშნულ სასჯელს - 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება სამართლებრივი საფუძველი მსჯავრდებულ ა. უ-იას მიმართ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმის დანიშვნისათვის, საკასაციო საჩივრის მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქების თაობაზე შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ იმ თვალსაზრისით, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შეტანილი ცვლილებების შედეგად მას გარკვეული ზომით უმცირდება ამ განაჩენით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ა. უ-იას მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. უ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. უ-იას ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), აგრეთვე მისი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს მოქმედი სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია).

მსჯავრდებულ ა. უ-იას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, რასაც, საქართველოს სსკ-ის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) თანახმად, დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#423-აპ

4 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. გ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 4 დეკემბრის განაჩენით ს. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 2 ოქტომბერს ს. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვაჟა ხ-შვილს, რომელთან ერთადაც გადაწყვიტა, ქ. რუსთავში, ... ქ. #28-ში მდებარე შპს „ბიზნეს-ენერჯის“ შენობიდან მოეპარა ხსენებული საწარმოს სხვადასხვა სახის დაზღვებზე დამონტაჟებული ელექტროძრავები. ამგვარი წინასწარი შეთანხმების შემდეგ, თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2005 წლის 3 ოქტომბერს ს. გ-შვილმა და ვ. ხ-შვილმა შპს „რუსთავი-91-ის“ შენობიდან, რომელსაც მოხსნილი აქვს შესასვლელი კარი და მთლიანად ამორტიზირებულია, გამოანგრიეს შპს „რუსთავი 91-ისა“ და შპს „ბიზნეს-ენერჯის“ გამყოფი საერთო კედელი და ამ გზით უკანონოდ შეაღწიეს შპს „ბიზნეს-ენერჯის“ შენობაში, სადაც საბურღი ჩარხიდან - არმატურის საჭრელი აპარატიდან მოხსნეს 3 ელექტროძრავი, თითოეული 60 ლარად ღირებული, რის შემდეგაც დაალაგეს ურიკაზე და გაიტაცეს.

შპს «ბიზნეს-ენერჯის» შენობიდან გამოსვლის შემდეგ ს. გ-შვილმა და მისმა თანამზრახველმა შპს «რუსთავი-91»-ის შენობასთან შენიშნეს დაზარალებული ელძრავა და გადაწყვიტეს მისი მოპარვაც, მოხსნეს დაზარალებული და ნაქურდალ სხვა ძრავებთან ერთად გადამალეს. ამის შემდეგ მათ დაიქირავეს მიკროავტობუსი და ნაქურდალი ნივთები გადაჰქონდათ ქ. თბილისის მიმართულებით, რა დროსაც ისინი ამხილეს პოლიციელებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. გ-შვილს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 13 დეკემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ქ-ძემ. მან ითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმება და ს. გ-შვილისათვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნა სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 თებერვლის განაჩენით გასაჩივრებულ განაჩენი შეიცვალა: ს. გ-შვილს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი - ადვოკატი გ. ქ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ს. გ-შვილის შერაცხადობა იყო საეჭვო და არ ჩატარებულა სავალდებულო ექსპერტიზა მისი შერაცხადობის დასადგენად; დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის» მიერ 2006 წლის 10 ნოემბერს გაცემული რეკომენდაცია ს. გ-შვილის მიმართ; სსკ-ის 660-ე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უნდა გამოეტანა დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოსაყენებლად წარმოების დაწყებისა და სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც არ გააკეთა არც ერთი ინსტანციის სასამართლომ.

ადვოკატის მოსაზრებით, საქმე ს. გ-შვილის მიმართ განხილულია სამართლებრივი და პროცესუალური დარღვევებით, რამაც ხელი შეუშალა მის ყოველმხრივ და ობიექტურ განხილვას და გავლენა მოახდინა კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენის გაუქმებას, ს. გ-შვილის მიმართ სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას, მისთვის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნას და იძულებითი მკურნალობის განსაზღვრას.

რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. ა-შვილი შესაგებელით ითხოვს, უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული განაჩენი იმ მოტივით, რომ კასატორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

ს. გ-შვილის მიერ ჯგუფურად და არაერთგზის, საცავში უკანონო შეღწევით ქურდობის ჩადენა სრულადაა დადასტურებული თვით მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებებით, დაზარალებულების - გ. გ-შვილისა და ხ. ნ-შვილის, მოწმეების - მ. ბ-შვილისა და გ. ჭ-ძის ჩვენებებით, ამოღებისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

ს. გ-შვილისათვის სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და განსაზღვრა სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება, რომელიც არ არის მეტისმეტად მკაცრი და უსამართლო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ს. გ-შვილის შერაცხადობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. იგი ექიმ-ექსპერტთა მიერ ორჯერ შემოწმდა სასჯელადსრულების დაწესებულებაში და დაუდგინდა დიაგნოზი - ოლიგოფრენია. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ სასამართლოს უნდა დაენიშნა ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 2005 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებით ს. გ-შვილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა შინაპატიმრობა. ს. გ-შვილს აღკვეთის ეს ღონისძიება შეეცვალა დაპატიმრებით 2005 წლის 28 ნოემბერს. ამდენად, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს შინაპატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 13 ოქტომბრიდან იმავე წლის 28 ნოემბრამდე - 1 თვე და 15 დღე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ« ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. გ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ქ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: ს. გ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს საქმის წინასწარი გამოძიებისას შინაპატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 13 ოქტომბრიდან 2005 წლის 28 ნოემბრამდე - 1 თვე და 15 დღე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობის მცდელობა

განჩინება

#1634-აპ 11 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. თ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენზე ა. თ-ურისა და ვ. ჟ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით ა. თ-ური და ვ. ჟ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჯგუფურად და საცავში უკანონო შეღწევით ჩაიდინეს ქურდობის მცდელობა, ასევე - სხვისი მოძრავი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

ა. თ-ური დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. ჟ-შვილს და გადაწყვიტეს, რომ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ სხვის ქონებას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 3 ნოემბერს ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის« ფირის გადამამუშავებელი საამქროს შენობასთან, ამოიღეს პირველ სართულზე მდებარე ფანჯრის მინა და ამ გზით შეაღწიეს შენობაში, თანაქონი ტექნიკური საშუალებების, კერძოდ, მკვნეტარას, სახრახნისისა და ქანჩის გამოყენებით საამქროს მოხსნეს ორი ავტომატური ელექტროჩამრთველი, ასევე გადაჭრეს საამქროს მეორე სართულზე მდებარე ქიმიურ ლაბორატორიაში არსებული წყლის გამოსახდელი და ელექტროსადენები, რითიც დააზიანეს და მთლიანად მწყობრიდან გამოიყვანეს ფირის გადამამუშავებელი საამქრო, რომელსაც მიაყენეს 3000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ქურდობის განზრახვა მათ ბოლომდე ვერ მოიყვანეს სისრულეში, რადგან შეამჩნიეს ტელეკომპანია „იმედის« საერთაშორისო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, რის შემდეგაც ორივე მათგანი საპატრულო პოლიციის მუშაკებმა დააკავეს საამქროს შენობაშივე.

აღნიშნული ქმედებისათვის ა. თ-ურსა და ვ. ჟ-შვილს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« და მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტებით განესაზღვრათ თითოეულს - 4 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, მსჯავრდებულებს საბოლოოდ მიესაჯათ თითოეულს - 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 3 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა და ითხოვეს გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ა. თ-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან მთელი რიგი საკითხებისა გადაწყდა არასწორად და არსებითად დაირღვა საპროცესო ნორმები, კერძოდ:

დაირღვა მსჯავრდებულის დაცვის უფლება, რადგან მას სააპელაციო სასამართლოში, მიუხედავად მოთხოვნისა, არ დაუნიშნეს ადვოკატი; საქმის მასალებით დადგინდა, რომ დაზარალებულმა ლ. დ-იანმა ვ. ჟ-შვილს სთხოვა საამქროსათვის ყურადღების მიქცევა, რადგან შენობა არაერთხელ გაიქურდა; ვ. ჟ-შვილმა შეამჩნია ფანჯრიდან ამოღებული მინა და შევიდა იმის გასარკვევად, თუ რა ხდებოდა; სასამართლომ არასწორად შეაფასა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მოწმეთა ჩვენებები, არ გაარკვია, თუ ვინ დააზიანა ელექტროჩამრთველები და ელექტროსადენები; აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადასტურებულია მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია.

საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა გ. ლ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ ოთხასრთულაიანი შენობის დათვალიერებისას სახურავზე აღმოაჩინეს ა. თ-ური და ვ. ჟ-შვილი, რომლებსაც დიდხანს ეძებდნენ. მისივე განცხადებით, აშკარა იყო, რომ ხსენებული პირები იმალებოდნენ. დაზიანებული იყო ელექტროსადენები.

მოწმე გ. ა-ძემაც მიუთითა, რომ ეჭვმიტანილები სახურავზე დააკავეს. შენობაში ჩაჭრილი და წასაღებად გამზადებული იყო ელექტროსადენები.

დაზარალებულმა ლ. დ-იანმა განმარტა, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისას ეჭვმიტანილები უკვე დაკავებული ჰყავდათ. მისივე თქმით შენობაში «ყველაფერი დაჭრილი და განადგურებული იყო».

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ დაირღვა მისი დაცვის უფლება. პირველი ინსტანციის სასამართლოში ორივე განსასჯელს იცავდა ადვოკატი, ხოლო სააპელაციო წესით საქმის განხილვისას ა. თ-ურმა და ვ. ჟ-შვილმა განაცხადეს, რომ ადვოკატის მომსახურებას არ საჭიროებდნენ და თავად დაიცავდნენ საკუთარ ინტერესებს.

გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, რადგან ამ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულები: ა. თ-ური და ვ. ჟ-შვილი უნდა გათავისუფლდნენ სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან, შესაბამისად, განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება სსკ-ის 59-ე მუხლზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ა. თ-ურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად, ა. თ-ური და ვ. ჟ-შვილი გათავისუფლდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან;

გასაჩივრებული განაჩენიდან ა. თ-ურისა და ვ. ჟ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და მითითება სსკ-ის 59-ე მუხლზე;

ა. თ-ურსა და ვ. ჟ-შვილს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით საბოლოოდ განესაზღვროთ 4-4 წლითა და 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1380-აპ

13 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. მ-ძისა და მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით, ლ. გ-შვილს ბრალი ედებოდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებითა და მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის განაჩენით ლ. გ-შვილს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში იგი გამართლდა. ლ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რასაც, სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წლით, 11 თვითა და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის, 11 თვისა და 13 დღის ვადით.

განაჩენით ლ. გ-შვილს მსჯავრი დაედო, ქურდობისათვის ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სადგომში უკანონო შეღწევით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 14 აპრილს ლ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს. მათ ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი, იმავე დღეს, ლ. გ-შვილის მიერ გ. ჩ-შვილისაგან ნათხოვარი «ფორდის» მარკის ლურჯი ფერის ავტომანქანით, დაახლოებით 4 საათზე მივიდნენ მცხეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ნ. ზ-ურის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს ეზოში მდებარე საქონლის სადგომში, სადაც ფარულად დაეუფლნენ მოქ. ნ. ზ-ურის კუთვნილ სამ ძროხას და ორ სულ ხბოს, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და რითაც დაზარალებულებს მიაყენეს 4000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 17 აპრილს ლ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს, ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი, იმავე დღეს, ლ. გ-შვილის მიერ გ. ჩ-შვილისაგან ნათხოვარი «ფორდის» მარკის ლურჯი ფერის ავტომანქანით, დაახლოებით 4 საათზე მივიდნენ მცხეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ გ. ჩ-ძის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს ეზოში მდებარე საქონლის სადგომში, სადაც ფარულად დაეუფლნენ გ. ჩ-ძის კუთვნილ ორ სულ თხას და ორ სულ ციკანს, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და რითაც დაზარალებულს მიაყენეს 560 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 17 აპრილს ლ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს, ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. გ. ჩ-შვილისაგან ნათხოვარი «ფორდის» მარკის ლურჯი ფერის ავტომანქანით, დაახლოებით 5 საათზე მივიდნენ მცხეთის რაიონის სოფ. ... მცხოვრებ ი. მ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს ეზოში მდებარე საქონლის სადგომში, სადაც ფარულად დაეუფლნენ ი. მ-შვილის კუთვნილ ერთ სულ ძროხას, ღირებულს 800 ლარად, ერთ სულ დეკეულს, ღირებულს 400 ლარად და სამ სულ ხბოს, ერთად ღირებულს 700 ლარად, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და რითაც დაზარალებულს მიაყენეს 1900 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 18 აპრილს ლ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს, ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი, იმავე დღეს, ლ. გ-შვილის მიერ გ. ჩ-შვილისაგან ნათხოვარი «ფორდის» მარკის ლურჯი ფერის

ავტომანქანით, დაახლოებით 3 საათზე მივიდნენ ქ. მცხეთაში, ... ქ. #21-ში მცხოვრებ ნ. ს-ის საცხოვრებელ სახლთან, უკანონოდ შეაღწიეს ეზოში არსებულ საქონლის სადგომში, სადაც ფარულად დაეუფლნენ ნ. ს-ის კუთვნილ 2 სულ ძროხას, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და რითაც დაზარალებულს მიაყენეს 1500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 18 აპრილს ლ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს, ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი, იმავე დღეს, ლ. გ-შვილის მიერ გ. ჩ-შვილისაგან ნათხოვარი «ფორდის» მარკის ლურჯი ფერის ავტომანქანით, დაახლოებით 5 საათზე მივიდნენ ქ. მცხეთაში, ... ქ. #2-ში მდებარე მოქალაქეების: ზ. და ჯ. ა-ძეების კუთვნილ საქონლის სადგომში, უკანონოდ შეაღწიეს შენობაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ ზ. და ჯ. ა-ძეების კუთვნილ 2 სულ ძროხას, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და რითაც დაზარალებულებს მიაყენეს 1700 ლარის ღირებულების მნიშვნელოვანი ზიანი.

2006 წლის 20 აპრილს ლ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირს, ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი, იმავე დღეს, ლ. გ-შვილის მიერ გ. ჩ-შვილისაგან ნათხოვარი «ფორდის» მარკის ლურჯი ფერის ავტომანქანით, დაახლოებით 3 საათზე მივიდნენ საქონლის სადგომში, უკანონოდ შეაღწიეს შენობაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ ვ. ჯ-შვილის კუთვნილ 2 სულ ძროხას, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს და რითაც დაზარალებულს მიაყენეს 2000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ს. გ-შვილმა და მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. ა-შვილმა,

პროკურორი ს. გ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კვალიფიკაციის ნაწილში ცვლილების შეტანას და ლ. გ-შვილის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების, მე-3 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე და მისთვის სასჯელის ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა ლ. გ-შვილმა თავისი ქმედებით დაზარალებულებს მიაყენა 11660 ლარის ზიანი, რაც დიდ ოდენობას წარმოადგენს.

მსჯავრდებულის ადვოკატი მ. ა-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა ლ. გ-შვილის გამართლებას იმ მოტივით, რომ ლ. გ-შვილს მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება არ ჩაუდენია. ამასთან, აღნიშნული საჩივრით ითხოვდა ყველა იმ დადგენილების გაუქმებას, რომლითაც დაცვის მხარეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის განაჩენი მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვ. მ-ძემ და მსჯავრდებულმა ლ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. მ-ძე თავისი საჩივრით ითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის კვალიფიკაციის ნაწილში ცვლილების შეტანას და ლ. გ-შვილის დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების, მე-3 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულმა ლ. გ-შვილმა თავისი ქმედებით დაზარალებულებს მიაყენა 11660 ლარის ზიანი, რაც დიდ ოდენობას წარმოადგენს.

მსჯავრდებული ლ. გ-შვილი თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში იმავე მოტივებით, რის თაობაზეც წინათ მითითებული იყო დაცვის მხარის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებით სარწმუნოდ არის დადასტურებული ლ. გ-შვილის მიერ იმ ქმედების ჩადენა, რომელიც მას სასამართლოს განაჩენით შეერაცხა. როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორად დაადგინეს. მოცემულ საქმეზე სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას არ მომხდარა ისეთი არსებითი დარღვევები, რასაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ლ. გ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელის ზომას, იგი სავსებით შეესაბამება ჩადენილი ქმედების ხასიათსა და გარემოებებს, თვით მისი ჩამდენის პიროვნებას, არის სამართლიანი და

დასაბუთებული, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს პროკურორ ვ. მ-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების თაობაზე, რადგან ისეთი მაკვალიფიცირებელი ნიშნის არსებობისათვის, როგორცაა ქურდობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, საჭიროა, რომ ზიანი, რომელიც აღემატება 10 000 ლარს, უშუალოდ მიადგეს ყოველ დაზარალებულს ცალკე აღებულს ანდა ერთ დაზარალებულს მაინც და არა რამდენიმეს - ერთობლივად, როგორც მოცემულ შემთხვევაშია.

საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია, რომ ლ. გ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება იმ ნაწილში, რომელიც დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177 მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), ვინაიდან ამჟამად მოქმედი კანონით წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის გამკაცრდა სასჯელი. საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, ახალ კანონს, რომელიც სასჯელს ამკაცრებს, უკუძალა არა აქვს. ასეთ შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ამ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი კანონით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. მ-ძისა და მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის ქმედება იმ ნაწილში, რომელიც დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177 მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#2-აპ

14 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. კ-ოვის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენით ა. კ-ოვი ცნობილ იქნა ბრალეულად სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტითა და სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. განაჩენით მას სასჯელად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 3 ივნისიდან.

განაჩენის მიხედვით, ა. კ-ოვს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი

სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის; მანვე ჩაიდინა სხვისი ნივთის დაზიანება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2000 წლის 20 ნოემბერს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით ა. პ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. 2001 წლის 25 ივლისს თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით ა. პ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და მას საბოლოო სასჯელის ზომად დაუდგინდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2005 წლის 18 აპრილის განაჩენით ა. პ-ოვი მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი-მეორე ნაწილების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა 2001 წლის 25 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელიდან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მიუხედავად აღნიშნულისა, ა. პ-ოვი არ დაადგა გამოსწორების გზას და 2007 წლის 3 ივნისს, ღამის საათებში, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგურის ოპტიკისა და სპილენძის სადენებს. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ა. პ-ოვი აღნიშნულ დღესვე მივიდა თბილისში, ... #13-ში არსებულ შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგურთან, წინასწარ მომარჯვებული ხელსაწყოების - წერაქვისა და ლომის გამოყენებით უკანონოდ შეაღწია აღნიშნულ სადგურში, სადაც გადაჭრა ელექტროსადენები და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა შპს «მაგთიკომის» კუთვნილ ზემოხსენებულ სადენებს, ღირებულებს 634 ლარად. ა. პ-ოვის დანაშაულებრივი ქმედება შეამჩნიეს თბილისის ისანი-სამგორის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა, რომლებმაც იგი დააკავეს და პირადი ჩხრეკის შედეგად მისგან ამოიღეს თეთრი ფერის, ლურჯ და წითელზოლებიანი ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო ყვითელი და თეთრი ფერის ელექტროსადენები. მანვე, 2007 წლის 3 ივნისს, განიზრახა რა ოპტიკისა და ელექტროსადენების გატაცება, შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგურში გადაჭრა ელექტროსადენები, რის შედეგადაც დააზიანა შპს «მაგთიკომის» საბაზო სადგური, რომლის გათიშვის შედეგად ა. პ-ოვმა დაზარალებულ კომპანიას მიაყენა 27.314 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. პ-ოვმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია ის ქმედება, რომელშიც სასამართლომ ბრალეულად ცნო, ხოლო განაჩენი ემყარება მოწმეთა არასწორ ჩვენებებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 6 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: ა. პ-ოვის მსჯავრდებიდან ამოირიცხა მითითება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე, ვინაიდან მათ მოიცავს აღნიშნული მუხლის მომდევნო ნაწილები. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, იმავე კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ა. პ-ოვმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივის საფუძველზე, რაც მას მითითებული ჰქონდა თავის სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. პ-ოვის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. პ-ოვის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ხოლო აღნიშნული მტკიცებულებებიდან - მოწმეთა ჩვენებები, ჩხრეკის ოქმი, ამოღებული ნივთმტკიცებები და საქმეში არსებული სხვა მასალები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. კასატორის - მსჯავრდებულ ა. პ-ოვის მიერ საკასაციო საჩივარში მოწოდებული ვერსია იმის თაობაზე, რომ იგი დანაშაულის ჩადენის ადგილზე ღამის 1 საათზე შემთხვევით აღმოჩნდა, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მას არ გააჩნია რეალური საფუძველი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მისცა სწორი კვალიფიკაცია. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ა. პ-ოვის მიმართ განსაზღვრული სასჯელი სავსებით შეესაბამება მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და შედეგებს, ასევე მისი პიროვნების მახასიათებელ მონაცემებს, საქმის სხვა გარემოებებს, რის გამოც ვერ ჩაითვლება ზედმეტად მკაცრად და უსამართლოდ.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. პ-ოვის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იგი უნდა გათავისუფლდეს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რომელიც უნდა გამოაკლდეს მის მიმართ განსაზღვრულ საბოლოო სასჯელს, რის შედეგადაც მსჯავრდებულ ა. პ-ოვს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ა. პ-ოვის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. პ-ოვის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. პ-ოვი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, რის გამოც შესაბამისად, შეუმცირდეს აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი და მას მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#793-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განაჩენზე ი. პ-შვილის, ი. ჯ-შვილისა და გ. კ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით გ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 25,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობაში თანამონაწილეობა, ე.ი. თანამონაწილეობა სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ამავე განაჩენით ი. პ-შვილი და ი. ჯ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გ. კ-ძის, ი. პ-შვილისა და ი. ჯ-შვილის ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ი. პ-შვილი 2002 წლის 4 თებერვალს გასამართლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ» ქვეპუნქტებით და შეეფარდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ი. ჯ-შვილი 2005 წლის 14 ივლისს გასამართლდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ სსკ-ის 389-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობითი მსჯავრით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, ი. პ-შვილი და ი. ჯ-შვილი არ დაადგინენ გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს ახალი დანაშაული, კერძოდ: ი. პ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა მეზობლებს - ი. ჯ-შვილსა და გ. კ-ძეს. მათ იცოდნენ რა, რომ თანასოფელელ გ. ჯ-შვილს ჰყავდა მსხვილფეხა პირუტყვი, გადაწყვიტეს მისი საქონლის მოპარვა. 2006 წლის 9-დან 10 ივნისის დამეს ისინი მივიდნენ გ. ჯ-შვილის სახლის ეზოში, სადაც დაბინავებული იყო საქონელი. ი. პ-შვილმა და ი. ჯ-შვილმა, წინასწარი მოლაპარაკებისამებრ, სამი წლის დეკეული წაიყვანეს სოფლის განაპირას, სადაც გ. კ-ძე მივიდა დ. ჯ-შვილის ავტომანქანით, მიიტანა დანა, წყალი და მიეხმარა მათ დეკეულის დაკვლაში. ი. პ-შვილმა და ი. ჯ-შვილმა გაატყავეს დეკეული, ხორცი გაამზადეს წასაღებად, ჩააწყვეს დ. ჯ-შვილის ავტომანქანაში და გადაიტანეს ქ. თბილისში სარეალიზაციოდ. იმავე დამეს ქ. თბილისის ცენტრალურ ბაზარში ი. პ-შვილმა ხორცი 480 ლარად მიჰყიდა დაუდგენელ პირს, აღებული თანხიდან 50 ლარი გადაუხადა მძღოლს - დ. ჯ-შვილს, 110 ლარი მისცა ი. ჯ-შვილს, დარჩენილი თანხიდან ნაწილი უნდა გადაეხადა გ. კ-ძისათვის, რომელიც ვერ ნახა, ამიტომ ეს თანხა ვერ გადასცა და გახარჯა საჭიროებისამებრ.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. კ-ძესა და ი. პ-შვილს განესაზღვრათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ი. ჯ-შვილს კი 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; გაუქმდა 2005 წლის 14 ივლისის განაჩენით სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე შეფარდებული 2 წლით პირობითი მსჯავრი, 1 წლით პირობითი მსჯავრი შეეცვალა 1 წლით თავისუფლების აღკვეთით; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპით, ი. ჯ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 11 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს დაზარალებულმა გ. ჯ-შვილმა და მსჯავრდებულ გ. კ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. რ-შვილმა.

დაზარალებულმა გ. ჯ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულებისათვის 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

ადვოკატმა ზ. რ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმება და გ. კ-ძის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ გ. კ-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ განაჩენის დადგენისას დაარღვია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს; განაჩენი გ. კ-ძის მიმართ კი დადგინდა ამ ნორმათა დარღვევით.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ გ. კ-ძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ დ. ჯ-შვილი ი. პ-შვილმა თვითონ წაიყვანა მისი სახლიდან, მას კი ერთი ბოთლი წყლის მიტანა სთხოვა; გ. კ-ძემ წყალი მიუტანა და მანქანაში ჩაჯდა, ამიტომ რაზე ისაუბრეს ი. პ-შვილმა და დ. ჯ-შვილმა, მას არ გაუგია; აღნიშნული ჩვენება სასამართლო სხდომაზე დაადასტურა ი. პ-შვილმა და განმარტა, რომ პოლიციის თანამშრომელმა ბ. ქ-შვილმა, რომელსაც ცუდი ურთიერთობა აქვს გ. კ-ძესთან, სცემა და ისე დააწერინა გ. კ-ძის საწინააღმდეგო ჩვენება; ი. პ-შვილის ჩვენება ასევე დაადასტურა ი. ჯ-შვილმა. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის შესახებ და ვერ დაასაბუთა ვარაუდი, რომ გ. კ-ძემ ჩაიდინა დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ზ. რ-შვილი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და გ. კ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, რასაც ეთანხმება მსჯავრდებული გ. კ-ძეც.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულ გ. ჯ-შვილის, მოწმეების: ჟ. ჯ-შვილის, ბ. ქ-შვილის, პ. კ-ისა და დ. ჯ-შვილის, ასევე, თავად მსჯავრდებულთა ჩვენებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ გ. კ-მ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება.

ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ი. ჯ-შვილს საბრალდებო დასკვნით ბრალი არ ედებოდა არაერთგზის ქურდობის ჩადენაში. ამის მიუხედავად იგი ცნობილია დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითაც, რაც ეწინააღმდეგება სსკ-ის 450-ე მუხლის მოთხოვნებს. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან ი. ჯ-შვილის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 177-ე მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას და სააპელაციო პალატის განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს ამ მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი.

გასაჩივრებული განაჩენი სამართლიანია და სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, გარდა აღნიშნულისა, არ დარღვეულა.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 მარტის განაჩენიდან ი. ჯ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ამ ნაწილში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენიდან ი. პ-შვილისა და ი. ჯ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ხოლო გ. კ-ის მიმართ - სსკ-ის 25-ე, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის გ. კ-ის, ი. პ-შვილისა და ი. ჯ-შვილისათვის დანიშნული სასჯელები, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#2176-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით დ. გ-შვილი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 22 მარტიდან.

იმავე განაჩენით დ. გ-იანი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. სსკ-ის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 22 მარტიდან.

იმავე განაჩენით სტეფან ა-იანი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 22 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, დ. გ-შვილს, დ. გ-იანსა და ს. ა-იანს მსჯავრი დაედოთ ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მათ მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 19 მარტს დ. გ-შვილი, დ. გ-იანი და ს. ა-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი მივიდნენ თბილისში, . . . , «წმინდა ბარბარეს» ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ, მოქალაქე შ. გ-იანის კუთვნილ «ფორდ-ტრანზიტის» მარკის ავტომანქანასთან, გაადეს ავტომანქანის ჩაკეტილი კარი და მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ 5270 ლარად ღირებულ ზემოხსენებულ ავტომანქანას, რომელიც იმავე დღეს გადაამალეს თბილისში, . . . ქუჩა #10-ში, ს. ა-იანის საცხოვრებელი სახლის ეზოში, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მეორე დღეს, 20 მარტს, ს. ა-იანმა და დ. გ-იანმა მოპარულ ავტომანქანას მოხსნეს ბუნებრივი აირის სამი ავზი და ერთი ჟანგბადის ავზი, რომლებიც იმავე დღეს, დაახლოებით 16:30 საათზე, დ. გ-იანმა 700 ლარად გაასალა თბილისში, მე-8 პოლკის დასახლებაში მდებარე ავტონაწილების ბაზრობის #. . . სავაჭრო ჯიხურში, საიდანაც 2006 წლის 21 მარტს ერთი ცალი ბუნებრივი აირის ავზი ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ხოლო შ. გ-იანის «ფორდ-ტრანზიტის» მარკის ავტომანქანა 2006 წლის 22 მარტს ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ს. ა-იანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ოქტომბრის განაჩენის მის სასიკეთოდ შებრუნებას, კერძოდ, მის მიმართ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე მსჯავრდებულმა დ. გ-იანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე მსჯავრდებულ დ. გ-შვილს ადვოკატმა მ. ფ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ დ. გ-შვილის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ დ. გ-შვილს აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულების - დ. გ-იანის, დ. გ-შვილისა და ს. ა-იანის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. გ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულ შ. გ-იანისა და მოწმეების: მ. ა-იანის, ზ. მ-ოვისა და ლ. ა-მის ჩვენებებით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, ამოცნობის ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა დ. გ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება დ. გ-შვილის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულების - დ. გ-იანისა და სტეფანე ა-იანის მიმართ და მიიჩნია, რომ აღნიშნული განაჩენი მსჯავრდებულ სტეფანე ა-იანის მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს

უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ დ. გ-იანის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: დ. გ-იანის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას გასაჩივრებული განაჩენით დანიშნულ ძირითად სასჯელზე დამატებული, წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას მოსახდელად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ დ. გ-იანს გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით - უნდა შეუმცირდეს 3 თვით და მას მოსახდელად საბოლოოდ უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ დ. გ-იანის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ დ. გ-იანს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე ძირითად სასჯელზე დამატებული, წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. გ-იანს გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით - შეუმცირდეს 3 თვით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#988-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ა. ზ-ოვისა და ნ. ჩ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ნ-ძისა და ი. მ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 18 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ნ. ჩ-იანი სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ« და „გ« ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მე-19, 109-ე მუხლის „ა«, „გ«, „დ« პუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა«, „ბ«, „დ« ქვეპუნქტებით, 109-ე მუხლის „ა«, „ზ«, „ი«, „ლ« და „ო« პუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - განზრახ მკვლელობის მცდელობა ორი ან მეტი პირის მიმართ, მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; ასევე - ყაჩაღობა ჯგუფურად, არაერთგზის და

დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - განზრახ მკვლელობა ორი ან მეტი პირისა, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ანგარებით, სხვა დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, არაერთგზის; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება;

2. ა. ზ-ოვი სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „დ» ქვეპუნქტებითა და 375-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება; ასევე - ჯგუფურად და არაერთგზის ყაჩაღობა, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა.

ნ. ჩ-იანისა და ა. ზ-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

ა. ზ-ოვი 2004 წლის 24 იანვარს გაასამართლა დუშეთის რაიონულმა სასამართლომ და სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებისათვის მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც მსჯავრდებულს ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

ა. ზ-ოვი და ნ. ჩ-იანი მსახურობდნენ თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ბრიგადის სპეციალური დანიშნულების ბატალიონში, ნ. ჩ-იანი - უმცროსი სერჟანტის თანამდებობაზე, ხოლო ა. ზ-ოვი - დაცვის ასულის რიგითად. 2004 წლის 14 ნოემბერს, დაახლოებით 22 საათზე, ნ. ჩ-იანი, იმყოფებოდა რა სამხედრო ნაწილში, მივიდა ა. ზ-ოვთან, რომელიც პირველ გამშვებ საგუშაგო პუნქტზე განწესებული იყო მედლეკედ და სხვა ჯარისკაცებთან ერთად ასრულებდა დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობას. იმ მოტივით, რომ თითქოს ნ. ჩ-იანს მეორე დღეს მევალისათვის უნდა გაესტუმრებინა ვალი - 500 აშშ დოლარი, ა. ზ-ოვს სთხოვა, დახმარებოდა ფულის შოვნაში, კერძოდ, შესთავაზა, უკანონოდ შეეღწიათ გარდაბნის რაიონის დ. ... მდებარე კ. ბ-ძის სააგარაკე სახლში და ფარულად დაუფლებოდნენ ფულსა და ძვირფასეულობას. ნ. ჩ-იანი, მიიღო რა ა. ზ-ოვის თანხმობა, მასთან ერთად მივიდა ბრიგადის ტერიტორიაზე განთავსებულ საავტომობილო პარკში და იქ გაჩერებული ერთ-ერთი ავტომანქანიდან, თანამზრახველთან შეთანხმების გარეშე, აიღო თავის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული 7,62 მმ კალიბრის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მისთვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა, „რგდ-ს» ტიპის ხელყუმბარა და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ორივე გაემართა დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

2004 წლის 15 ნოემბერს, დაახლოებით 1 საათზე, ბოროტმოქმედები მივიდნენ კ. ბ-ძის სახლთან, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ზუმბის გამოყენებით გააღეს ერთ-ერთ შესასვლელ კარზე გარეთა მხრიდან გაკეთებული დამცავი ცხაური, ჩამსხვრიეს კარის მინა, საკეტში არსებული გასაღებით გააღეს კარი და შეაღწიეს სახლის პირველ სართულზე, შესასვლელ ოთახში, რა დროსაც ჩაირთო სიგნალიზაციის სისტემა. იმ მიზნით, რომ ეს სისტემა მწყობრიდან გამოეყვანათ, ჩამოაგდეს კედელზე დამონტაჟებული სიგნალიზაციის აპარატი და დაიწყეს ფულისა და ძვირფასეულობის ძებნა. ა. ზ-ოვი და ნ. ჩ-იანი ავიდნენ მეორე სართულზე, სადაც შემოესმათ ავტომანქანის ძრავას ხმა. მათ სიტუაციაში გასარკვევად გააღეს კარი, გადაიხედეს ქვემოთ და დაინახეს შპს „ბიზნესდაცვის» სამორიგეო ნაწილში შესული შეტყობინების საფუძველზე მისული დაცვის მუშაკები - ი. ნ-შვილი და ი. გ-ავა. ამ უკანასკნელმა შენიშნა სახლში უცხო პირის ლანდი, მოსთხოვა მათ დაბლა ჩასვლა და შესაშინებლად მასზე გაპიროვნებული საფანტის იარაღით ჰაერში მოახდინა გამაფრთხილებელი გასროლა. ნ. ჩ-იანმა, ა. ზ-ოვთან შეთანხმების გარეშე, თანხაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, მათი მოკვლის მიზნით, ი. ნ-შვილისა და ი. გ-ავას მიმართულებით ერთხელ გაისროლა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ი. ნ-შვილი მოეფარა სახლის კედელს, ხოლო ი. გ-ავამ მობილური ტელეფონით სცადა დახმარე ძალის გამოძახება. ნ. ჩ-იანმა, თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, დაცვის თანამშრომლების განზრახ მოკვლის მიზნით, ძირს გადააგდო თავის ხელთ არსებული, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი „რგდ-ს» ტიპის ხელყუმბარა, რომლის აფეთქების შედეგად ი. გ-ავამ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. ამის შემდეგ ბოროტმოქმედები სამზარეულო ოთახის ფანჯრიდან გადახტნენ ეზოში და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, ხოლო ი. გ-ავა დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადარჩა.

მომხდარის შემდეგ ნ. ჩ-იანი და ა. ზ-ოვი ფეხით გაემართნენ აღნიშნული სახლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მდებარე კოტეჯებისაკენ. ერთ-ერთ კოტეჯში დაჰყვეს დაახლოებით 3 საათი, შემდეგ კი ტყის გავლით გაემართნენ სამხედრო ნაწილის მიმართულებით. დაახლოებით 18 საათზე, როცა ისინი იმყოფებოდნენ თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ბრიგადის ტერიტორიაზე, შენიშნეს ტყეში გაჩერებული „ფოლკსვაგენ-გოლფის» მოდელის ავტომანქანა, რომლითაც იქ მივიდნენ რუსუდან ფ-ავა და მისი მეგობარი - თ. ბ-შვილი. ნ. ჩ-იანმა და ა. ზ-ოვმა ერთობლივად განიზრახეს მათზე ყაჩაღური თავდასხმა. კერძოდ, ნ. ჩ-იანს თანხაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით უნდა უზრუნველყო მათი წინააღმდეგობის დაძლევა, ხოლო ა. ზ-ოვს -

ავტომანქანის სალონში მოეპებნა ფული და მათთვის საინტერესო ნივთები. ბოროტმოქმედთა მიახლოებისას მანქანიდან გადმოვიდა თ. ბ-შვილი. ნ. ჩ-იანი საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების მუქარით შეეცადა მისი მხრიდან მოსალოდნელი წინააღმდეგობის თავიდან აცილებას. ა. ზ-ოვმა შეაღწია მანქანის სალონში, რაზეც რ. ფ-ავამ დაიწყო ყვირილი, თუმცა თავდამსხმელმა მაინც ჩაიდო ჯიბეში სავარძელზე დადებული „სონის« ფირმის მობილური ტელეფონის აპარატი და განაგრძო სხვა ნივთების ძებნა. იმავდროულად ნ. ჩ-იანმა, რომელმაც ვერ შეძლო თ. ბ-შვილის წინააღმდეგობის დაძლევა, განიზრახა მისი მოკვლა და ახლო მანძილიდან „აკმ«-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, პირდაპირი დამიზნებით, გულმკერდის არეში ესროლა თ. ბ-შვილს, რომელმაც მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებები და გარდაიცვალა. ამის შემდეგ, ვინაიდან ვერ მოხერხდა რ. ფ-ავას წინააღმდეგობის დაძლევა, ამასთან, წარმოიქმნა ჩადენილ დანაშაულში მათი მხილებისა და პასუხისმგებლობის საშიშროება, ნ. ჩ-იანმა იმავე იარაღიდან ორჯერ ესროლა რ. ფ-ავას თავის არეში, რომელიც სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანებების მიღების შედეგად გარდაიცვალა. ამის შემდეგ ა. ზ-ოვმა და ნ. ჩ-იანმა გარდაცვლილთა გვამები გადაათრეს და გადაყარეს ხევში და დაეუფლნენ თ. ბ-შვილის კუთვნილ ნივთებს. მათ, ავტომანქანის გადამალვის მიზნით, სცადეს ძრავას ამუშავება, რაც ვერ შეძლეს. ა. ზ-ოვი დაჯდა საჭესთან, მათ უკუსვლით დააგორეს მანქანა, რომელიც შეეჯახა ხეს და ჩაიმსხვრა მინა. ორივე ბოროტმოქმედი დანაშაულის ჩადენის ადგილიდან მიიშალა. ისინი დაბრუნდნენ სამხედრო ნაწილში და ავტომანქანიდან წაღებული ნივთები, ავტომატსა და საბრძოლო მასალასთან ერთად, დამალეს იმ ადგილზე, საიდანაც თავდაპირველად წამოიღეს. მეორე დღეს ა. ზ-ოვმა თ. ბ-შვილის კუთვნილი ტანსაცმელი წაიღო სახლში, რაც ამოღებულ იქნა.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. ჩ-იანს საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ა. ზ-ოვს - 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვე და საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2005 წლის 26 ივლისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ზ. ჯ-ძემ და მ. ნ-ძემ.

ადვოკატმა ზ. ჯ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდებულ ნ. ჩ-იანის გამართლება მისთვის წარდგენილ ყველა ბრალდებაში და პატიმრობიდან განთავისუფლება, ხოლო ადვოკატმა მ. ნ-ძემ - ა. ზ-ოვისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა:

ნ. ჩ-იანსა და ა. ზ-ოვს მოეხსნათ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ« ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება; ნ. ჩ-იანს მოეხსნა ამავე კოდექსის მე-19, 109-ე მუხლის „ა«, „გ« და „დ« ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი; ნ. ჩ-იანსა და ა. ზ-ოვს ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« და „გ« ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« და მე-4 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტებზე, ხოლო 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტებიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) - ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« და მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტებზე; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ა. ზ-ოვის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ა. ზ-ოვი რეალურად თანამშრომლობდა გამოძიებასთან და იმსახურებდა საპროცესო შეთანხმების დადებას; მსჯავრდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული; გამოძიებას დაეხმარა ორი უმძიმესი გაუხსნელი საქმის გახსნაში; ამხილა ნ. ჩ-იანი და დანაშაულის ჩადენის დეტალები დაუკონკრეტა გამოძიებას; ამის გამო ადვოკატს მიაჩნია, რომ ა. ზ-ოვის მიმართ სასამართლომ უნდა გამოეყენოს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი და 7-წლიანი სასჯელიდან 1 წელი და 9 თვე განუსაზღვროს პირობითად.

კასატორი - მსჯავრდებულ ნ. ჩ-იანის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. მ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, მასში გადმოწერილია ბრალის საბრალდებო დასკვნისეული ფორმულირება და მტკიცებულებები რეალურად არ შეფასებულა; მხედველობაშია მისაღები მსჯავრდებულის უტყუარი ალიბის უგულებელყოფა, რომ ნ. ჩ-იანი 2004 წლის 14 ნოემბერს იმყოფებოდა სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე კარანტინში და მისი გასვლა ნაწილის ტერიტორიიდან შეუძლებელი იყო; სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოწმეების: ი. ჩ-უას, დ. ბ-შვილის, ი. ჭ-ძის, გ. მ-შვილის, დ. ც-შვილის, ი. პ-იასა და მ. ბ-ძის ჩვენებები აღნიშნულთან დაკავშირებით; საქმეშია ქსეროასლი სამხედრო ნაწილში წარმოებული ყურნალიდან, სადაც პასუხისმგებელი პირი ხელმოწერით ადასტურებს ნ. ჩ-იანის სამხედრო ნაწილში ყოფნას 2004 წლის 14 ნოემბერს, რაც ასევე არ გაიზიარა სასამართლომ; საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის, სსკ-ის მე-10 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 503-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს

და ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, რაც უგულებელყო სასამართლომ ნ. ჩ-იანისათვის განაჩენის გამოტანის დროს.

ადვოკატი ი. მ-მე ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მოწმის სახით გამოძიებულ მ. ს-იანის დაკითხვის თაობაზე, რომელმაც ბევრი რამ იცის იმ ყაჩაღური დაჯგუფების შესახებ, რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულის დროს ამოღებული ავტომატის მასრები იდენტურია ბ-მის ბინის ქურდობისა და კოჯორში ჩადენილი მკვლელობის დროს ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მასრებისა; გარდა ამისა, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ იკვეთება ნ. ჩ-იანის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი; არადამაჯერებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებულია მსჯავრდებულ ა. ზ-ოვის ჩვენებები, რადგან თავდაცვის სამინისტროს ოფიცერს, რომელსაც ხელფასი 600 ლარამდე ჰქონდა და გრანტის სახით იღებდა 100 დოლარს, არაფერში სჭირდებოდა კარანტინიდან გაპარვა ქურდობისა და ყაჩაღობისათვის; ამასთან, თუ ნ. ჩ-იანს ფული სჭირდებოდა, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ შემთხვევის ადგილიდან წამოღებული ტანსაცმელი მან ა. ზ-ოვს „აჩუქა“, ხოლო გარდაცვლილ რ. ფ-ავას ეკეთა საათი, ვერცხლის ბეჭედი და საყურეები; ასეთ მნიშვნელოვან საქმეზე აუცილებელი იყო დასახელებული მოწმის სასამართლო პროცესზე დაკითხვა; ნ. ჩ-იანს რომც ჩაედინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები, ამ შემთხვევაშიც კი მისთვის დანიშნული სასჯელი შეუსაბამოა მსჯავრდებულის ქმედების ხასიათსა და პიროვნებასთან და მეტისმეტი სიმკაცრის გამო აშკარად უსამართლოა; სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ნ. ჩ-იანი არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი; დევნილია აფხაზეთიდან; იყო სამხედრო მოსამსახურე და მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში; სამხედრო აკადემიაში სწავლის პერიოდში დაჯილდოებული და წახალისებულია სანიმუშო ყოფაქცევისათვის; არის კარგი შვილი, ძმა და მეგობარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი ი. მ-მე ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და ნ. ჩ-იანის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით სრულყოფილად დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არსებითად არ დარღვეულა, შეკრებილი მტკიცებულებები სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა და დაადგინა დასაბუთებული განაჩენი, რომლის გაუქმების საფუძველი არ არსებობს, კერძოდ:

მსჯავრდებულმა ა. ზ-ოვმა სასამართლოს განუმარტა, რომ 2004 წლის 14 ნოემბერს ნ. ჩ-იანმა დახმარება სთხოვა, კერძოდ უთხრა, რომ ჰქონდა ვალი 500 აშშ დოლარის ოდენობით, რაც მეორე დღეს უნდა გაესტუმრებინა. ნ. ჩ-იანმა შესთავაზა კოჯორში მდებარე ერთ-ერთი სახლის გაქურდვა. როდესაც ა. ზ-ოვი დასთანხმდა, ნ. ჩ-იანმა წამოიღო ავტომატი - შეიძლება ვინმე იყოს და დაგვჭირდესო. ადგილზე მისვლისას ნ. ჩ-იანმა გააღო ცხაური და კარები, რა დროსაც ჩაირთო სიგნალიზაცია. პირველ სართულზე ვერაფერი ნახეს და ავიდნენ მეორეზე. ამ დროს ქვევიდან დაიძახეს - ჩამოდით დაბლაო და ისროლეს ჰაერში. მიხვდნენ, რომ წაასწრეს პოლიციელებმა და ნ. ჩ-იანმა მათ ავტომატიდან ესროლა. როდესაც ა. ზ-ოვმა ნ. ჩ-იანს უთხრა, რომ პოლიციელები უხმობდნენ დამხმარე ძალას, ამ უკანასკნელმა ამოიღო ხელყუმბარა და პოლიციელთა მიმართულებით გადაადგო. გაისმა აფეთქების ხმა. ორივემ მოახერხა სამხედრო კოტეჯში დამალვა, სადაც დაახლოებით 2-3 საათი დაჰყევს. დილის 7 საათზე ა. ზ-ოვმა გააღვიძა მალაზიის გამყიდველი და შეიძინა პროდუქტი, რა დროსაც ნ. ჩ-იანი ტყეში ელოდებოდა. სამხედრო ნაწილიდან დაახლოებით 1 კილომეტრში, ტყეში შენიშნეს ავტომანქანა. ა. ზ-ოვმა და ნ. ჩ-იანმა გაინაწილეს როლები, კერძოდ, ნ. ჩ-იანი მგზავრებს შეაკავებდა, ხოლო ა. ზ-ოვი ავტომანქანიდან წამოიღებდა ფასეულ ნივთებს. როდესაც მანქანას მიუახლოვდნენ, იქიდან გადმოვიდა ახალგაზრდა ბიჭი და ა. ზ-ოვისკენ გაემართა. მას ნ. ჩ-იანმა დაუყვირა, გაჩერებულიყო, მაგრამ არ ჩერდებოდა. ზ. ზ-ოვი ჩაჯდა მანქანაში, რა დროსაც მოესმა ავტომატიდან გასროლის ხმა. მანქანის წინა მარჯვენა სავარძელზე გოგო იჯდა. იგი გადავიდა მანქანიდან და დაიწყო ყვირილი, რასაც კვლავ სროლა მოჰყვა. მანქანასთან ორი გვამი იდო. გაჩხრიკეს მანქანა. ა. ზ-ოვმა აიღო «სონი-ს» ფირმის მობილური ტელეფონი და წამოიღეს ტანსაცმელიც. თავდამსხმელებმა გვამები გადაათრიეს ხეში და სურდათ მანქანის გადამალვაც, მაგრამ ძრავა ვერ ამუშავეს. დაბრუნდნენ სამხედრო ნაწილში. ნ. ჩ-იანმა ტანსაცმელი იმ ადგილას შეინახა, საიდანაც წასვლამდე ავტომატი აიღო. მეორე დღეს ა. ზ-ოვმა აიღო ნ. ჩ-იანის შენახული ავტომატი, ტყვიები და ხელყუმბარა და ტანსაცმელთან ერთად წაიღო სახლში და დამალა თივაში. ა. ზ-ოვმა დედამისს მოატყუა, რომ სწავლებაზე მიდიოდა და ავტომატი ამიტომ ჰქონდა. მეორე დღეს დაუძახეს ასეულის სერჟანტებმა: კ-შვილმა და ბ-შვილმა და უთხრეს, მოპარული ავტომატი დაებრუნებინა. ა. ზ-ოვი თავიდან უარყოფდა ყველაფერს, მაგრამ შემდეგ უთხრა, რომ ავტომატს დააბრუნებდა. იგი დაბრუნდა სახლში, მაგრამ ავტომატი ვერ იპოვა. დედამისს უთხრა, რომ ავტომატი ნ. ჩ-იანის იყო. გაირკვა, რომ ეს ავტომატი ა. ზ-ოვის დედამ სამხედრო ნაწილში მიიტანა და ჩააბარა.

ანალოგიურად აღწერა მომხდარი ა. ზ-ოვმა საქმის წინასწარი გამოძიების დროს ჩვენების ადგილზე შემოწმებისას, რა დროსაც ექვმიტანილის სახლიდან ამოიღეს ტანსაცმელი. ა. ზ-ოვმა მიუთითა, რომ ეს ტანსაცმელი გადასცა ნ. ჩ-იანმა.

ა. ზ-ოვის დედამ - ლ. გ-ემ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას განაცხადა, რომ 2004 წლის ნოემბერში ა. ზ-ოვი სახლში ავტომატით დაბრუნდა, ხელთ ჰქონდა პოლიეთილენის პარკიც, რომელიც დედას მისცა, სთხოვა შეენახა და უთხრა, რომ მასში მეგობრის ტანსაცმელი იდო. ლ. გ-ემ შეამჩნია, რომ თავისმა შვილმა ავტომატი თივაში დამალა. ეს იარაღი ლ. გ-ემ სახლში შეინახა. მეორე ღამით ა. ზ-ოვი სახლში დაბრუნდა და იარაღს ეძებდა, დედამისს უთხრა, რომ იგი ჩ-იანს ეკუთვნოდა, რაზეც ლ. გ-ემ უპასუხა, რომ ავტომატი სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობას ჩააბარა. ამის თქმისთანავე ა. ზ-ოვი გაიქცა ისე, რომ მისი თანმხლები ჯარისკაციც არ უნახავს. მეორე დღეს ჩანთაში შენახული იარაღი ლ. გ-ემ მიიტანა სამხედრო ნაწილში და ისე, რომ არ უთქვამს, მასში რა იდო, ჩააბარა ვინმე ბ-მეს და სთხოვა, გადაეცა ჩ-იანისათვის. სახლში ა. ზ-ოვი დახვდა, რომელმაც უთხრა, რომ ნაწილში არ დაბრუნებულა, რადგან ეშინოდა. მოგვიანებით პოლიციელებმა ამოიღეს ა. ზ-ოვის მიერ სახლში მიტანილი ტანსაცმელი.

მოწმე მ. ბ-ემ დაადასტურა, რომ სამხედრო ნაწილში მასთან მივიდა უცნობი ქალბატონი და ჯერ იკითხა ნ. ჩ-იანი, შემდეგ კი ამ უკანასკნელისათვის გადასაცემად ჩანთა დაუტოვა. იგი მ. ბ-ემ შეინახა და ნ. ჩ-იანს უთხრა ჩანთის ადგილსამყოფელი, მაგრამ მან აიღო თუ არა, არ იცის, თუმცა სხვა არავინ აიღებდა.

დაზარალებულების: ი. გ-ავასა და ი. ნ-შვილის ჩვენებებით დადგენილია, რომ კ. ბ-ძის სახლთან მივიდნენ შეტყობინების საფუძველზე. სახლის მეორე სართულზე შენიშნეს ორი ადამიანის სილუეტი და მოსთხოვეს ქვევით ჩამოსვლა, თან ისროლეს ჰაერში. ამ დროს სახლის შიგნიდანაც ისროლეს და ი. გ-ავამ ტელეფონით დამხმარე ძალას უხმო. ი. ნ-შვილმა დაუძახა - გაიქციო და სანამ მობრუნდა, გაისმა აფეთქების ხმა. ი. გ-ავა დაიჭრა მუცლისა და ბარძაყის არეში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ რუსუდან ფ-ავასა და თ. ბ-შვილის მკვლელობის ადგილიდან და კ. ბ-ძის სახლიდან ეზოდან ამოღებული მასრები გასროლილია ერთსა და იმავე ავტომატიდან. ასევე დადგენილია, რომ ყაჩაღობისას გატაცებული მობილური ტელეფონი 2004 წლის 19 ნოემბერს ჰქონდა ა. ზ-ოვს.

პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოში დაიკითხა არაერთი დაზარალებული და მოწმე, გამოკვლეულ იქნა წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებს მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას და საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ამასთან პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 375-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვისი დანაშაულის დაფარვისათვის. მოცემულ შემთხვევაში ა. ზ-ოვმა ფაქტობრივად დაფარა თავისი დანაშაულიც და მისი ქმედების ხსენებული მუხლით დაკვალიფიცირება არასწორია.

გარდა ამისა, საბრალდებო დასკვნიდანაც არ გამომდინარეობს, რომ ნ. ჩ-იანსა და ა. ზ-ოვს ამომრავებდათ დიდი ოდენობით ნივთის ქურდობის მიზანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 375-ე მუხლითა და მე-19, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებულების მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ჩადენილი ქმედებების სიმძიმისა და პიროვნული მახასიათებლების გათვალისწინებით ნ. ჩ-იანსა და ა. ზ-ოვს დანიშნული აქვთ სამართლიანი სასჯელები, რომელთა შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს. ა. ზ-ოვისათვის სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ მან გულწრფელად აღიარა ჩადენილი დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და ამხილა სხვა დამნაშავე.

ამრიგად, გასაჩივრებული განაჩენი სამართლიანიცაა და სასჯელთა შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების: ა. ზ-ოვისა და ნ. ჩ-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. ნ-ძისა და ი. მ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენიდან ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 375-ე მუხლით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდებში ნ. ჩ-იანისა და ა. ზ-ოვის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;»

ნ. ჩ-იანსა და ა. ზ-ოვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და დღეს მოქმედი რედაქციის სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით განესაზღვროთ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მსჯავრდებულებისათვის საბოლოო სასჯელების დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1250-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 თებერვლის განაჩენით რ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტების, მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 2 წლით, 5 თვითა და 27 დღით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 5 თვისა და 27 დღის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 3000 ლარის ოდენობით.

განაჩენით რ. ნ-ძეს მსჯავრი დაედო ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ჩადენილი ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

წარსულში სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის არაერთგზის ნასამართლევია რ. ნ-ძე 2006 წლის 14 სექტემბერს სტუმრად იმყოფებოდა ხაშურში, პლენხანოვის ქუჩაზე მცხოვრებ ნაცნობთან - მ. მ-შვილთან, ვისთანაც ღამის გათევაც მოუხდა. მ. მ-შვილის ბინაში ყოფნისას მან შეამჩნია იქ არსებული ტელევიზორი, მაგნიტოფონი, სხვა ნივთები და განიხილა ფარულად დაუფლებოდა მათ. 2006 წლის 15 სექტემბერს, დილით, მან დატოვა მ. მ-შვილის ბინა, სადაც დაბრუნდა იმავე ღამეს, ძალაყინით შეამტვრია კარი, უკანონოდ შეაღწია ბინაში და ფარულად დაეუფლა ფერად ტელევიზორ «ტომიბას», ღირებულს 299 ლარად, მაგნიტოფონ «ჯივისის», ღირებულს 50 ლარად, ბეჭდის ჩასადებ გულის ფორმის იასამნისფერ კოლოფს, ღირებულს 5 ლარად, ოქროსფერ ბეჭედს, ღირებულს 15 ლარად, ოქროს ჯვარს, ღირებულს 20 ლარად, ოქროს ძეწვეს, ღირებულს 30 ლარად, ოქროს საყურეს, ღირებულს 20 ლარად, მზის 2 ცალ სათვალეს, ერთად ღირებულს - 15 ლარად, ხატს, ღირებულს 10 ლარად, მაჯის საათს, ღირებულს 12 ლარად, რითაც დაზარალებულს მიაყენა 471 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

ხაშურის რაიონული სასამართლოს აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ნ-ძემ.

აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ იგი არის უკანონო, დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ რ. ნ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ნ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 მაისის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. ნ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ რ. ნ-ძის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურებულია, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნულ ნაწილში მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულთა ჩვენებებით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა რ. ნ-ძის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ რ. ნ-ძის ქმედება არასწორად დააკვალიფიცირა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით. ასეთი კვალიფიკაციის უსაფუძვლობა გამომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან: მართალია, რ. ნ-ძე წინათ ორჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, მაგრამ ამ ნასამართლობებიდან, მოქმედი კანონის მიხედვით, პირველი ნასამართლობა ბოლო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის გაქარწყლებულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, გაქარწყლებული ნასამართლობა დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ თავის განაჩენში საქმეზე დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ კი არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რაც წარმოადგენს განაჩენის შეცვლის საფუძველს.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ რ. ნ-ძეს უნდა მოეხსნას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა.

რაც შეეხება რ. ნ-ძის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად, რის გამოც უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 20 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ რ. ნ-ძეს მოეხსნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ რ. ნ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1808-აპ

5 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 მაისის განაჩენით რ. ხ-ძე ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. სსკ-ის 67-ე მუხლის შესაბამისად, გაუქმდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღნიშნულ სასჯელს დაემატა 2006 წლის 7 ივლისის განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 11 იანვრიდან.

განაჩენის მიხედვით, რ. ხ-ძეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 7 ივლისს რ. ხ-ძე გაასამართლა ტყიბულის რაიონულმა სასამართლომ და სასჯელის სახით შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაუთვალა პირობით, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას. 2006 წლის ოქტომბერში, ღამის საათებში, მან შეადგინა ტყიბულში, იმერეთის ქუჩაზე გაჩერებულ, მოქალაქე მ. ჩ-ძის კუთვნილ «ზილის» მარკის ავტომანქანის, სალონში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა საგარდლოს ქვეშ არსებულ, 24 კილოვატი სიმძლავრის, 70 ლარად ღირებულ აკუმულატორსა და ერთ ცალ გასაღებს წარწერით - «კამაზი», რითაც დაზარალებულ მ. ჩ-ძეს მიაყენა 70 ლარის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ხ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ მან აღიარა დანაშაული, ანაზღაურა ზიანი და გულწრფელად მოინანია თავის მიერ ჩადენილი ქმედება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 მაისის განაჩენი მსჯავრდებულ რ. ხ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ხ-ძემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ არის ობოლი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. ხ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა რ. ხ-ძემ ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულის არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ რ. ხ-ძისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულ რ. ხ-ძის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგისა და თვით მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, კერძოდ, მას დაენიშნა მის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი, რასაც, კანონის თანახმად, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული და მოუხდელი სასჯელი, რის გამოც არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. ხ-ძეს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩათვალოს მისი პატიმრობაში ყოფნის დრო - 2006 წლის 10 მაისიდან 2006 წლის 7 ივლისამდე ე. ი. 1 თვე და 27 დღე, რაც არ გაუკუთვლიათ ტყიბულის რაიონულ სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მათ მიერ მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის დადგენისას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენი უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ რ. ხ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 13 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ რ. ხ-ძეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს მისი პატიმრობაში ყოფნის დრო - 2006 წლის 10 მაისიდან 2006 წლის 7 ივლისამდე ე. ი. 1 თვე და 27 დღე, რაც გამოაკლდეს მის მიმართ განსაზღვრული სასჯელის ზომას - 8 წლით თავისუფლების აღკვეთას და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 10 თვისა და 3 დღის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1848-აპ

24 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. ლ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 აგვისტოს განაჩენით შ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლითა და 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ასევე ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 19 მარტს შ. ლ-ძე, ხაშურში გამგზავრების მიზნით, იმყოფებოდა დაბა ... მდებარე ავტოგასამართ სადგურ „...» ტერიტორიაზე, სადაც დაახლოებით 20.³⁰ საათზე თავისი ავტომანქანა „ოპელ-ვექტრით» მივიდა მოქალაქე ნ. რ-შვილი და შეიძინა 5 ლიტრი ბენზინი, რომელიც ჩაასხა ბალონში და მოათავსა ავტომანქანის საბარგულში, რის შემდეგაც მასთან მივიდა შ. ლ-ძე და მოსთხოვა ხაშურში წაყვანა. ნ. რ-შვილმა უარი უთხრა. განაწყენებული შ. ლ-ძე მივიდა მანქანასთან, ახადა საბარგული და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლა ზემოაღნიშნულ ბალონსა და ბენზინს, საერთო ღირებულებით 9 ლარი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გატაცებული საწვავი მან გადამალა თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, საიდანაც ამოიღეს.

2006 წლის 4 ივლისს ხარაგაულის რაიონულმა სასამართლომ შ. ლ-ძეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღის ვადით. 2006 წლის 18 და 19 სექტემბერს მან კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება და 2006 წლის 20 სექტემბერს პოლიციის თანამშრომლებმა ის წარადგინეს ხაშურის ნარკოლოგიურ განყოფილებაში, სადაც შემოწმებისას დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალების - „ბუპრენორფინისა» და „კანაბინოიდების» მიღების ფაქტი.

აღნიშნული ქმედებისათვის შ. ლ-ძეს სსკ-ის 273-ე მუხლით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; საბოლოოდ სასჯელთა შეკრებით მას განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 1000 ლარი. მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2007 წლის 20 მარტიდან. გაუქმდა მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო და გირაოს თანხა - 2500 ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ხ-შვილმა. მან ითხოვა განაჩენის შეცვლა, შ. ლ-ძის გამართლება სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით

გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, მისთვის სსკ-ის 273-ე მუხლით ჯარიმის განსაზღვრა, ასევე - გირაოს სახით შეტანილი თანხის გირაოს შემტანისათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - ადვოკატი გ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი შ. ლ-ძის მიმართ ნაწილობრივ უკანონო და უსაფუძვლოა, არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან და იგი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ორივე ინსტანციის სასამართლოების მიერ სსკ-ის მე-10, მე-19, 131-ე, 503-ე მუხლების უხეში დარღვევითაა შ. ლ-ძე ცნობილი დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; განაჩენის დადგენისას დაირღვა როგორც სისხლის სამართლის საპროცესო, ისე - მატერიალური ნორმები; საქმეში არ მოიპოვება არანაირი მტკიცებულება, გარდა დაზარალებულის ჩვენებისა, რომ შ. ლ-ძემ საერთოდ ჩაიდინა რაიმე დანაშაული; ვარაუდი კი არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს დაედოს საფუძვლად; მსჯავრდებული უარყოფს ძარცვის ან ქურდობის ფაქტს და განმარტავს, რომ ნ. რ-შვილს დარჩა ბენზინის ბალონი, მან კი სახლში წაიღო, რათა მეორე დღეს მისთვის დაებრუნებინა; დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ადგილი ჰქონდა ქურდობას და არა - ძარცვას, ანუ მსჯავრდებულის ქმედება ფორმალურად შეიცავს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს; სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით, დანაშაულად არ ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე; შ. ლ-ძე არ შეხებია დაზარალებულის მანქანაში არსებულ სხვა ნივთებს, ხოლო ზიანი შეადგენს 9 ლარს, რომელიც ნ. რ-შვილისათვის არ წარმოადგენს რაიმე მნიშვნელობის მქონეს; მან აღმფოთებაც კი გამოთქვა შ. ლ-ძის დაკავების გამო და დაეთანხმა მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას სსკ-ის 178-ე მუხლით 1-ლი ნაწილით.

კასატორის აზრით, შ. ლ-ძეს არ ჩაუდენია დანაშაული; მას არ დაურღვევია გირაოს მოთხოვნები, ამიტომ გირაოს სახით შეტანილი თანხა უკან უნდა დაუბრუნდეს; დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაშიც კი ზარალი მცირე მნიშვნელობისაა და, სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, არ წარმოადგენს დანაშაულს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გ. ხ-შვილი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას, შ. ლ-ძის გამართლებას სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გირაოს სახით შეტანილი თანხის გირაოს შემტანისათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგ გარემოებათა გამო:

ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულ ნოდარ რ-შვილის ჩვენებას, რომლიდან გამომდინარე პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ შ. ლ-ძეს ამომრავებდა სხვისი ნივთის აშკარად დაუფლების განზრახვა და მისი ქმედება თვალსაჩინო იყო დაზარალებულისათვის.

აღნიშნული დასკვნა გაიზიარა სააპელაციო პალატამაც და თავის განაჩენში აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სწორად გამოიყენა მატერიალური კანონი.

ნ. რ-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ დაინახა, როგორ ამოიღო საბარგულიდან საწვავი შ. ლ-ძემ, მაგრამ ეს შეამჩნია თუ არა თავად მსჯავრდებულმა, არ იცის. დაზარალებულმა აღნიშნა, რომ შ. ლ-ძემ საბარგული გააღო და სწრაფად დახურა, წაიღო ბენზინი და მანქანას გვერდიდან მოუარა, მოეფარა, რომ არ დაენახათ.

დაზარალებულის ჩვენებიდან არ გამომდინარეობს, რომ შ. ლ-ძეს ამომრავებდა სხვისი ნივთის აშკარად დაუფლების მიზანი, პირიქით, იგი ცდილობდა, ფარულად ემოქმედა. მხოლოდ ის გარემოება, რომ დაზარალებულმა შენიშნა შ. ლ-ძის მიერ საწვავის დაუფლება, არ არის საკმარისი ამ მოქმედების სსკ-ის 178-ე მუხლით დაკვალიფიცირებისათვის.

პალატა განმარტავს, რომ ქურდობისა და ძარცვის გამიჯვნისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თავად დამნაშავე აცნობიერებს თუ არა, რომ მისი ქმედება გარემომცხოვრებულთა შესამჩნევია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

დადგენილია, რომ საწვავის ქურდობისას შ. ლ-ძემ იცოდა მისი დანიშნულება, დაზარალებულს ბენზინი სჭირდებოდა ელექტრო გენერატორისათვის, რათა შვილიშვილები სიბნელეში არ ჰყოლოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით იმჯელა ორივე ინსტანციის სასამართლომ და შ. ლ-ძის ქმედება სწორად არ ჩათვალა მცირემნიშვნელოვნად.

მსჯავრდებულის მიერ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა უდავოდ დადასტურებულია საქმეში არსებული მტკიცებულებებით, მათ შორის - შ. ლ-ძის ჩვენებით.

სასჯელის განსაზღვრისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებასა და მისი ქმედების სიმძიმეს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ იმ გარემოებებს, რომ შ. ლ-ძეს ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი და ხასიათდება დადებითად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ შ. ლ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: შ. ლ-ძის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და მიესაჯოს 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და შ. ლ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1318-აპ

28 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დუშეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განაჩენზე მსჯავრდებულ დ. გ-ურის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 სექტემბრის განაჩენით დ. გ-ური ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 178-ე მუხლის მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» და «დ» ქვეპუნქტებით, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

განაჩენით დ. გ-ურს მსჯავრი დაედო ძარცვისათვის, ჩადენილი გამოიხატა შემდეგში: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ძალადობით, რომელიც საშიში არაა, რაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის პირველ სექტემბერს გ. გ-ური, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დანაშაულებრივად დაუკავშირდა გო. გ-ურს, დ. გ-ურსა და ძიებით დაუდგინებლად «უაზის» მარკის ავტომანქანის მძღოლს, ვინმე ნ., რომლებმაც წინასწარი შეთანხმებით ჩამოაყალიბეს პირთა ჯგუფი და განიზრახეს მოქალაქე უ. ც-ძის კუთვნილი ყველის დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იმავე ღამეს, დაახლოებით 23.00 საათზე, «უაზის» მარკის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ვინმე ნ., მოხსნეს სანომრე ნიშნები და მივიდნენ დუშეთის რაიონის სოფელ როშკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სამოვრებზე, საიდანაც გაიტაცეს და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს მოქალაქე უ. ც-ძის კუთვნილი, 5000 ლარად ღირებული 1000 კგ. ყველი, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. გ-ურმა. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა დუშეთის რაიონული სასამართლოს განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ აღნიშნული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, რომ ბრალდების მხარემ მიერ ვერ წარმოადგინა ვერც ერთი მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა მისი ბრალეულობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ დ. გ-ურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დუშეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 სექტემბრის განაჩენი შევიდა ცვლილება ჩადენილი ქმედების

კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში, კერძოდ: დ. გ-ურის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ», «დ» ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებზე, რის გამოც დ. გ-ურს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.

აღნიშნული განაჩენის თაობაზე დუშეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ა. ბ-მემ და მსჯავრდებულმა დ. გ-ურმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

პროკურორი ა. ბ-მე საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული მასალების თანახმად, დ. გ-ურის მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც მარცვა, ხოლო სასჯელი უნდა განესაზღვროს ამ დანაშაულის შესაბამისად.

მსჯავრდებული დ. გ-ური თავისი საჩივრით ითხოვს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას იმ მოტივებით, რაც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე სასამართლო განხილვა ჩატარებულია ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით, ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი კანონის სანქციით დადგენილ ფარგლებში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება მის მიერ ჩადენილი ქმედების თაობაზე საქმის მასალებიდან გამომდინარე, არავითარ ეჭვს არ იწვევს, რის გამოც, საკასაციო პალატის დასკვნით, არავითარი საფუძველი არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისათვის და გასაჩივრებული განაჩენის გასაუქმებლად.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 2006 წლის 28 აპრილს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები.

სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, შეესაბამება ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტს. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) სასჯელის ზომად განსაზღვრული იყო თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ექვს წლამდე. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) იმავე ქმედებისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე. სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, კანონს, რომელიც სასჯელს ამსუბუქებს, აქვს უკუძალა, რაც დ. გ-ურის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. გ-ურის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე, რისთვისაც ამ მიმართებით შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ დ. გ-ურის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

დუშეთის რაიონული პროკურატურის პროკურორ ა. ბ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამომდინარე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 მაისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ დ. გ-ურის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე მსჯავრდებულ დ. გ-ურის მიმართ დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1054-აპ

7 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენით დ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, ბინასა და საცავში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 4 ნოემბრის განაჩენით დ. ბ-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობით, ამავე ვადით.

მიუხედავად ამისა, დ. ბ-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და განაგრძო თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა, კერძოდ:

2006 წლის აგვისტოში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, მან უკანონოდ შეაღწია ქ. რუსთავის მე-17 ბაგა-ბადის შენობაში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლა სხვადასხვა ნივთს, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 151 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2006 წლის ზაფხულში, ზუსტი თვე და რიცხვი დაუდგენელია, დ. ბ-შვილმა უკანონოდ შეაღწია ქ. რუსთავში, ... მ\რ-ნის #3\45 საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრებ მ. მ-იანის სამზარეულო ოთახში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა „ტურბოს“ ფირმის თმის საშრობს და კონსერვის ქილებს, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 50 ლარის ზიანი.

მანვე 2006 წლის ზაფხულში, ზუსტი თვე და რიცხვი დაუდგენელია, უკანონოდ შეაღწია ქ. რუსთავში, ... მ\რ-ნის საერთო საცხოვრებლის #1\550-ში მცხოვრებ გ. თ-ავას სამზარეულო ოთახში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა „ჰამილტონის“ ფირმის მტვერსასრუტს, ღირებულს 25 ლარად.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ბ-შვილს განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სრულად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი - 3 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 10 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის განაჩენით გასაჩივრებულ განაჩენი შეიცვალა: დ. ბ-შვილს განაჩენიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, როგორც შეცდომით წარდგენილი; მას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც სრულად დაემატა წინა განაჩენით მისჯილი სასჯელი და საბოლოოდ მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ გაითვალისწინა მისი აღიარებითი ჩვენება; აგრეთვე - ის, რომ ჰყავს სამი მცირეწლოვანი შვილი, მე-2 ჯგუფის ინვალიდი და უმუშევარი მამა; მძიმე ოჯახური მდგომარეობა. ის სრულად აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს, მისთვის დანიშნულ სასჯელს მოაკლდეს წინა განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელის მოხდილი ნაწილი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ

დ. ბ-შვილმა საცავსა და ბინაში უკანონო შეღწევით, არაერთგზის ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის დაზარალებულების - გ. თ-ავას, მ. ს-ძის და მ. მ-იანის, მოწმე ნ. ზ-ურის და სხვათა ჩვენებები, ბინის ჩხრეკისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმები. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, რომ ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მოაკლდეს წინა განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელის ნაწილი, ვინაიდან სსსკ-ის 503-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის მოხდის ვადაში ითვლება პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, ასევე, სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო. დადგენილია, რომ ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის დ. ბ-შვილი დააკავეს 2005 წლის 25 აპრილს. დაკავებიდან მეორე დღეს იგი გათავისუფლდა გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე და 2005 წლის 27 აპრილს აღკვეთის ღონისძიებად შეეფარდა პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა. შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე და 29 დღე.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრი, ვინაიდან აღნიშნული მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

უსაფუძვლოა კასატორის მოთხოვნა სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, რადგან დ. ბ-შვილს დანიშნული აქვს კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი, რომლის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძველობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 აპრილის განაჩენიდან დ. ბ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრი;

დ. ბ-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი, 11 თვე და 29 დღე და საბოლოოდ განესაზღვროს 6 წლით, 11 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1220-აპ

22 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის განაჩენით:

ი. ხ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე მუხლის მეორე ნაწილის «გ» და მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რასაც, თანახმად საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლისა, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლით, 3

თვითა და 4 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 3 თვისა და 4 დღის ვადით;

ტ. ხ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის პირველი ნაწილით, მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რასაც, თანახმად საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლისა, დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წლით, 3 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის გამოც ტ. ხ-შვილს საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის, 3 თვისა და 26 დღის ვადით;

3. მ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, მათ მსჯავრი დაედოთ:

ი. ხ-შვილს, - ქურდობისათვის, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მასვე მსჯავრი დაედო ქურდობის მცდელობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის;

ტ. ხ-შვილს - ქურდობის მცდელობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის;

მ. მ-შვილს - თვითნებობის ჩადენისათვის, ე.ი. ნამდვილად თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

განაჩენის მიხედვით, ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის აპრილის თვის დაუდგენელ რიცხვში ი. ხ-შვილმა ქ. საგარეჯოში, იუნკერთა ქუჩაზე, შენიშნა ხეზე მიბმული, მ. მ-შვილის კუთვნილი ერთი სული დეკეული და განიზრახა მისი ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იგი მივიდა ხესთან, აუშვა საქონელი და ფარულად დაეუფლა მას. ნაქურდალი დეკეული მან გადაიყვანა ქ. საგარეჯოში მცხოვრებ გ. ზ-მის საცხოვრებელ სახლში, რომელსაც მოატყუა, რომ თითქოს საქონელი თავისი იყო. ი. ხ-შვილმა იქვე დაკლა მოპარული საქონელი, ხოლო მისი ხორცი გ. ი-ურის კუთვნილი «ვაზ - 2106» მარკის ავტომანქანით, წაიღო თბილისში, ვარკეთილის ბაზარში და გამოძიებით დაუდგენელ პირზე მოახდინა მისი რეალიზაცია, რითაც დაზარალებულ მ. მ-შვილს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი 400 ლარის ოდენობით.

დაზარალებულ მ. მ-შვილისათვის ცნობილი გახდა თავისი კუთვნილი ერთი სული დეკეულის ქურდობის ჩამდენის ვინაობა, რის შემდეგაც მან არაერთხელ მიმართა ი. ხ-შვილის მამას - ი. ხ-შვილს, რათა სანაცვლოდ მას მიეცა თავისი ძროხა, რაზედაც უარი მიიღო. ამის შემდეგ მ. მ-შვილმა განიზრახა, თვითნებურად, ე.ი. თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელების გზით მიეთვისებინა ი. ხ-შვილის კუთვნილი პირუტყვი. 2005 წლის 18 ივნისს, საღამოს, მ. მ-შვილი თავის შვილთან ერთად, «ვაზ - 2103» მარკის ავტომანქანით მივიდა ი. ხ-შვილის საცხოვრებელ სახლში და თვითნებურად დაეუფლა მის კუთვნილ ერთ სულ მსხვილფეხა საქონელს, რომელიც გადაიყვანა თავის საცხოვრებელ სახლში. აღნიშნულით მან დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი 800 ლარის ოდენობით.

ზემოაღნიშნულის გარდა, ი. ხ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გარდაზნის რაიონის სოფ. ... მცხოვრებლებს: ი. ბ-ულსა და ტ. ხ-შვილს. ისინი შეთანხმდნენ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდნენ საგარეჯოს რაიონის სოფ. ... მცხოვრები ნ. ტ-მის კუთვნილ ცხენს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 12 ივნისს, ღამით, დაახლოებით 2 საათზე, ი. ხ-შვილი, ი. ბ-ული და ტ. ხ-შვილი მივიდნენ ნ. ტ-მის სახლთან და შეეცადნენ ეზოში დაბმული ცხენის დაუფლებას. მალის ყეფის ხმაზე სახლიდან გამოსულმა ნ. ტ-მემ შენიშნა ისინი, რის გამოც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, ვერ მოიყვანეს რა თავიანთი განზრახვა სისრულეში, მიატოვეს შემთხვევის ადგილი და სცადეს მიმალვა. მათ დაედევნა დაზარალებული, რომელმაც მეზობლების დახმარებით ისინი დააკავა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. დ-მემ, მსჯავრდებულ მ. მ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ნ. ა-შვილმა და მსჯავრდებულმა ი. ხ-შვილმა. აპელანტები საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მათ არ ჩაუდენიათ განაჩენით მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

მსჯავრდებული ტ. ხ-შვილი გამართლდა სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხულ ბრალდებაში. მასვე მსჯავრდებიდან ამოერიცხა სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითება, როგორც ზედმეტად შერაცხული ბრალდება. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელიდან 2 წლით, 3 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, რის შედეგადაც ტ. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის, 9 თვისა და 21 დღის ვადით.

მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს მოეხსნა სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილის, აგრეთვე სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი. მისი ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ასევე სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და მეოთხე ნაწილის «გ» ქვეპუნქტის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დანიშნულ სასჯელს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან დაემატა თავისუფლების აღკვეთა 11 თვისა და 12 დღის ვადით, რის გამოც ი. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის, 11 თვისა და 12 დღის ვადით.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულებმა - ტ. ხ-შვილმა და ი. ხ-შვილმა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. თავიანთი საჩივრებით კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მათი ბრალდების საქმის ახალი განხილვისათვის თბილისის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნებას იმ მოტივით, რომ მათ დანაშაული არ ჩაუდენიათ, ხოლო განაჩენი არის უკანონო, ვინაიდან იგი გამოტანილია არასარწმუნო მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დარღვევით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები სრული მოცულობით და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებულების: ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის ბრალდების საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებითა და სასამართლო გამოძიებით მოპოვებულია უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩადინეს ქურდობა და ქურდობის მცდელობა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, კერძოდ, მხედველობაშია დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებები, რომლებითაც ისინი იმხილებიან დანაშაულის ჩადენაში და რომელთა მოპოვებისას არ ყოფილა დაშვებული საპროცესო ნორმების ისეთი არსებითი დარღვევები, რის გამო შეიძლება ექვექვემ დადგეს სასამართლოს დასკვნები მსჯავრდებულთა ბრალეულობის თაობაზე.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულების: ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის მოსაზრებებს მათი უდანაშაულობის თაობაზე, რადგან ისინი მოკლებულია რეალურ საფუძველს, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში მოცემული დასკვნები მათი ბრალეულობის თაობაზე არავითარ ეჭვს არ იწვევს, ხოლო კასატორების მოთხოვნა განაჩენის გაუქმების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან ერთად, საკასაციო პალატის დასკვნით, არ არსებობს კანონიერი საფუძველი გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულ ტ. ხ-შვილის სასიკეთოდ შეცვლისათვის.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უნდა დაზუსტდეს მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ასევე მის მიმართ დანიშნული სასჯელის ნაწილში. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ქმედება ერთ ნაწილში დააკვალიფიცირა სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, ასევე სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას ქურდობის მცდელობისა და დამთავრებული ქურდობისათვის, როდესაც ისინი ჩადენილია იმ პირის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლები სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. საქმეში არსებული მასალებით (ცნობა ი. ხ-შვილის ნასამართლობის შესახებ; საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 7 მარტის განაჩენი ი. ხ-შვილისა და სხვათა მიმართ; საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 იანვრის

განაჩენი ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიმართ), ირკვევა, რომ ამჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს ბოლო დანაშაულის ჩადენის დროს ჰქონდა მხოლოდ ერთი გაუქარწყლებელი ნასამართლობა მის მიერ ჩადენილ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას ბოლო დანაშაული - ქურდობის მცდელობა და დამთავრებული ქურდობა ჩადენილი აქვს არაერთგზის.

განხილული გარემოებიდან გამომდინარე, მისი ქმედება სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არაერთგზის ჩადენილი ქურდობის მცდელობისათვის, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ი. ხ-შვილის მიერ დამთავრებული ქურდობა ჩადენილია 2006 წლის 31 მაისამდე, ამ ნაწილში მისი ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას არაერთგზის ჩადენილი დამთავრებული ქურდობისათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს მის მიერ ჩადენილი ბოლო დანაშაულისათვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით უნდა შეუმცირდეს და, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მისი პიროვნების, საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ამ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 11 თვისა და 12 დღის ვადით, რომელიც მოითხოვს დაზუსტებას, რადგან აღნიშნული განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ ი. ხ-შვილი ბოლო მსჯავრდების შემდეგ სასჯელის მოხდისგან, რომლის ათვლა დაიწყო 2000 წლის 6 ივლისიდან, გათავისუფლდა 2005 წლის 15 მარტს, ანუ დანიშნულ ვადაზე 9 თვითა და 24 დღით ადრე, ამიტომ სწორედ ეს ვადა უნდა დაემატოს გასაჩივრებული განაჩენით ი. ხ-შვილის მიმართ განსაზღვრულ ძირითად სასჯელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენის კანონიერება სარევიზიო წესით გადამოწმდა მსჯავრდებულ მ. მ-შვილის მიმართაც, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. საქმეში არსებული მასალებით უტყუარად არის დადგენილი მ. მ-შვილის მიერ სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული განაჩენი მის მიმართ როგორც ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში არის დასაბუთებული.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. მ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, იმავე კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებული იყო ძირითადი სასჯელის სახით, იგი უნდა გათავისუფლდეს სასამართლოს მიერ მისთვის ძირითად სასჯელად დანიშნული ჯარიმის მოხდისაგან იმ შემთხვევაში, თუკი მას აღნიშნული ჯარიმა არ გადაუხდია მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, «დ» ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების: ი. ხ-შვილისა და ტ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ი. ხ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლიდან და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, ასევე მისივე ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), ხოლო ჩადენილი დანაშაულისათვის აღნიშნული განაჩენით მისთვის განსაზღვრული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - შეუმცირდეს და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატოს წინა განაჩენით

დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 9 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა და მსჯავრდებულ ი. ხ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 9 თვისა და 24 დღის ვადით.

იმავე განაჩენით მსჯავრდებული მ. მ-შვილი «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აგრეთვე, იმავე კანონის მესამე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, რომლის მიხედვით ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 1000 ლარის ჯარიმის მოხდისაგან, თუკი მას აღნიშნული ჯარიმა არ გადაუხდია მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების: ი. ხ-შვილის, ტ. ხ-შვილისა და მ. მ-შვილის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1845-აპ

5 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. შ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ლაგოდების რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის განაჩენით გ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და მეოთხე ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო შემდეგისათვის:

2006 წლის დეკემბრის დასაწყისში იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს და შეთანხმდნენ, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ლაგოდების რაიონის სოფ. ... მცხოვრები მოქალაქეების ცხენებს, დაეკლათ და ხორცი ჩაებარებინათ. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 4 დეკემბერს, ღამით, გ. შ-ძე, გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, მივიდა ზემოაღნიშნულ მისამართზე, შევიდნენ მ. გ-ძის ეზოში, საიდანაც გამოიყვანეს მისი კუთვნილი, 800 ლარად ღირებული ცხენი და დაეუფლნენ მას, რითაც ამდენივე ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს დაზარალებულს. მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ცხენი მათ დაკლეს, რის შემდეგაც გ. შ-ძეს თავისი კუთვნილი ავტომანქანით ხორცი გადაჰქონდა სარეალიზაციოდ. 2006 წლის 8 დეკემბერს გ. შ-ძე მხილებულ იქნა ჩადენილ დანაშაულში და მისი კუთვნილი ავტომანქანიდან ამოღებულ იქნა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული მერაბ გ-ძის ცხენის ხორცი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. შ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ს-ავამ. აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. შ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განაჩენით ლაგოდების რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. შ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გ. შ-ძის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა თვლის, რომ მოწმეთა ჩვენებებით, დაზარალებულის ჩვენებით, ამოღების ოქმით, საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, გ. შ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილება უნდა იქნეს შეტანილი მსჯავრდებულ გ. შ-ძის სასიკეთოდ, კერძოდ:

როგორც საქმის მასალებით დგინდება, გ. შ-ძე პირველად გასამართლებულ იქნა 1995 წელს, იმ დროს მოქმედი სსკ-ის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი პუნქტითა და 243-ე მუხლის მე-3 ნაწილით. სსკ-ის 79-ე მუხლის თანახმად, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის მიმართ ნასამართლობა გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან 8 წლის შემდეგ. გ. შ-ძე შეწყალბულ იქნა პრეზიდენტის 1998 წლის 3 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე. საქმის მასალების მიხედვით, გ. შ-ძემ მ. გ-ძის ცხენის ქურდობა ჩაიდინა 2006 წლის 4 დეკემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. შ-ძეს პირველი ნასამართლობა გაქარწყლებული აქვს, ხოლო გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტისას. ამდენად, პალატა თვლის, რომ გ. შ-ძის ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ცვლილება უნდა შევიდეს გ. შ-ძის მიმართ დანიშნულ სასჯელშიც, კერძოდ: მას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. შ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ გ. შ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე.

გ. შ-ძეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სხვა ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#88-აპ

30 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის განაჩენით რ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. მ-შვილმა ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმენა-შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 2 ნოემბერს, ღამის საათებში, რ. მ-შვილმა დაუდგენელ ორ პირთან ერთად განიზრახა, უკანონოდ შეეღწია გორის რაიონის სოფ. ... მცხ. მ. კ-შვილის საცხოვრებელი ბინის სარდაფში და

ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა საოჯახო ნივთებსა და კვების პროდუქტებს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს იგი დაუდგენელ პირებთან ერთად მივიდა მ. მ-შვილის სახლთან, ფარულად შეაღწია ბინის ეზოში, რკინის ნაჭრის გამოყენებით გატეხა ბინის პირველ სართულზე არსებული სარდაფის კარი, შეაღწია შიგ და ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლა საოჯახო ნივთებსა და კვების პროდუქტებს, რის შემდეგაც მიიმალა. რ. მ-შვილმა თანამზრახველებთან ერთად დაზარალებულს სულ მიაყენა 755 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად 2006 წლის 4 დეკემბერს დააკავეს რ. მ-შვილი, რომელსაც დაკავების დროს ჩატარებული პირადი ჩხრეკისას ამოუღეს ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა«, წონით 15,2 გრამი, რომელიც მან უკანონოდ შეიძინა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში და ასევე უკანონოდ ინახავდა პირადი მოხმარების მიზნით.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. მ-შვილს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით მიესაჯა 4 წლით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 8 მაისიდან. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გორის რაიონულმა პროკურორმა გ. ც-მემ და მსჯავრდებულმა რ. მ-შვილმა.

პროკურორმა გ. ც-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა რ. მ-შვილისათვის სასჯელის გამკაცრება და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა« და „გ« ქვეპუნქტებით - 5 წლით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა; საბოლოოდ რ. მ-შვილისათვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და დამატებით სასჯელად 5 ათასი ლარის დანიშვნა.

მსჯავრდებულმა რ. მ-შვილმა ითხოვა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 ივლისის განაჩენი შეიცვალა: რ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« და „გ« ქვეპუნქტებით - 5 წლით, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 4 დეკემბრიდან. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებული რ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ და ითხოვს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, რ. მ-შვილმა უკანონოდ შეაღწია სახლის პირველ სართულზე არსებულ სარდაფში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ბინას წარმოადგენს ადგილი, სადაც ადამიანი ცხოვრობს (დაბინავებულია) და შექმნილი აქვს საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები. ამასთან, ბინაში უკანონო შეღწევას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც პირი საცხოვრებელ ფართს ან მის ნაწილს, რომელიც მოიაზრება როგორც საცხოვრებელი ფართი, იყენებს საწყობად. მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულის ჩვენებებიდან გამომდინარე, სახლის პირველი სართული იმთავითვე წარმოადგენდა სარდაფს და იგი საცხოვრებელ ფართად არ მოიაზრებოდა. აღნიშნულის გამო, რ. მ-შვილის ქმედება უნდა შეფასდეს საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობად, რაც უდავოდ დადგენილია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით და ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტს (ქურდობა ჯგუფურად) იგი გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს ფაქტობრივი გარემოება დადგენილად არ მიუჩნევია. სააპელაციო პალატამაც აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მსჯავრდებულის მიერ ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილი ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით რ. მ-შვილი ცნობილია დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (ქურდობა, საცავში უკანონო შეღწევით), რომლითაც განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ გარემოებათა მექანიკურ შეცდომად შეფასება არასწორია, მით უფრო, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა განაჩენის შეცვლას მხოლოდ სასჯელის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რ. მ-შვილის ქმედება ქურდობის ბრალდების ეპიზოდში უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით და, შესაბამისად, მას უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ნოემბრის განაჩენიდან რ. მ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი;

რ. მ-შვილის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და რ. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით და ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა. სასჯელის შემსუბუქება

განაჩენი

#705-აპ

8 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ბ. შ-იასა და თ. შ-იას ინტერესების დამცველი ადვოკატების - ზ. ჯ-ავასა და მამუკა ქირიას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ბ. შ-ია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა», „ბ», „გ» ქვეპუნქტებით, 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად;

2. თ. შ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით, 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჯგუფურად.

ბ. შ-იასა და თ. შ-იას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 12.30 საათზე, ბ. შ-ია იმყოფებოდა თბილისში, ... გამზირზე, #30ა კორპუსთან, რა დროსაც მან მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწია აღნიშნული კორპუსის მე-40, ნ. შ-ძის კუთვნილ ბინაში და ფარულად დაეუფლა იქ არსებულ სხვადასხვა ნივთს, სულ ღირებულს 120 ლარად, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

იმავე დღეს ბ. შ-ია დაუკავშირდა თ. შ-იასა და დაუდგენელ პირს. მათ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ბინაში უკანონო შეღწევით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით,

დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გაინაწილეს როლები და 2007 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 15 საათზე, თ. შ-იას კუთვნილი ავტომანქანა „ოპელ-ვექტრით» მივიდნენ თბილისში, ... გამზირის #29\22 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე. საფრთხის შემთხვევაში თანამზრახველების გასაფრთხილებლად ბ. შ-ია დარჩა ავტომანქანაში, ხოლო თ. შ-ია დაუდგენელ პირთან ერთად ავიდა ზემოხსენებული კორპუსის მე-7 სართულზე მდებარე მ. ბ-ძის #73 ბინასთან. მათ გატეხეს შესასვლელი კარის საკეტი, მართლსაწინააღმდეგოდ შეაღწიეს ბინაში და ფარულად დაუფლნენ იქ არსებულ ნივთებს, მათ შორის - „მაკაროვის» სისტემის პისტოლეტსა და საბრძოლო მასალას - 7 ვაზნას, რის შემდეგაც მათ მოპარული ნივთები მოათავსეს მანქანაში და მიიმალნენ. ბოროტმოქმედებმა მ. ბ-ძეს მიაყენეს 4000 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ბ. შ-იასა და თ. შ-იას საბოლოოდ მიესაჯათ თითოეულს - 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოთ 2007 წლის 5 აპრილიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. ქ-იამ და ზ. ჯ-ავამ.

ადვოკატმა მ. ქ-იამ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა, ბ. შ-იასათვის საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდების მოხსნა და ამ ეპიზოდში მისი გამართლება, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა» და მე-3 ნაწილის „ა», „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით - მინიმალური სასჯელის შეფარდება.

ადვოკატმა ზ. ჯ-ავამ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და თ. შ-იას გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ თ. შ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ჯ-ავა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

თ. შ-იამ თავი არ ცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მან თავის ბიძაშვილ ბ. შ-იას ჩანთები მანქანით წააღებინა რკინიგზის სადგურზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი ორივე დააკავა პოლიციამ, რის შემდეგაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ შეხვედრის დღეს ბ. შ-იას გაუქურდავს ბინა და წამოუღია ნივთები, მათ შორის - ცეცხლსასროლი იარაღი; განაჩენი დაეყრდნო მოწმე ა. ო-ოვის ჩვენებებს, მაშინ, როდესაც მან ვერც ერთი მსჯავრდებულის ვერ აღწერა გარეგნობის მიხედვით, მას შეეძლო დაენახა მხოლოდ მანქანაში საჭესთან მჯდარი თ. შ-ია, რადგან ბ. შ-იამ მანქანის ტარება არ იცის და არც მართვის მოწმობა აქვს; ბ. შ-იამ აღიარა მ. ბ-ძის ბინის დამოუკიდებლად ქურდობის ფაქტი.

ადვოკატ ზ. ჯ-ავას განმარტებით, სასამართლო სხდომაზე დაათვლიერეს ნივთმტკიცება - ჩი დისკი, რომელშიც თ. შ-ია მანქანიდან გადმოსული არ ჩანს, მაგრამ ამაზე სხდომის ოქმში არაფერია აღნიშნული, რადგან ეს ფაქტი სასამართლოსათვის მიუღებელი იყო; ბ. შ-იას არ ჰქონია ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლების პირდაპირი განზრახვა, იარაღი მან სხვა ნივთებთან ერთად წაიღო, რის შესახებაც საერთოდ არაფერი იცოდა თ. შ-იამ; ბ. შ-იას მიერ იარაღის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების შემთხვევაშიც მისი ქმედების კვალიფიკაცია ჯგუფურ დანაშაულად არასწორია; ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლებაზე წინასწარი შეთანხმება თ. შ-ია და ბ. შ-იებს არ ჰქონიათ; არსებობს ბ. შ-იას - ამსრულებლის ექსცესი და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; გარდა აღნიშნულისა, საქმეში არ არის სასამართლო სხდომის სათანადოდ გაფორმებული ოქმი, რაც, სსკ-ის 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენის გაუქმების საფუძველია.

ამრიგად, ადვოკატ ზ. ჯ-ავას მიაჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვება საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, თ. შ-იას დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლო დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობები მტკიცებულებათა შორის; განაჩენი ემყარება მხოლოდ ექვსს; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, სწორად არ განმარტა კანონი და მსჯავრი დასდო უდანაშაულო ადამიანს, რის გამოც კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და თ. შ-იას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

მსჯავრდებულ ბ. შ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ქირია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

ბ. შ-იას განმარტებით, მან მ. ბ-ძის ბინის ქურდობა ჩაიდინა მარტომ, დამოუკიდებლად, რის შემდეგაც ბიძაშვილს - თ. შ-იას დაურეკა და სთხოვა რკინიგზის სადგურზე გაყვანა; მას თ. შ-იასათვის არ უთქვამს, რომ მიჰქონდა ნაქურდალი ნივთები; რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, მისი გატაცების განზრახვა ბ. შ-იას არ ჰქონია; იარაღი გამოჰყვა სხვა ნაქურდალ ნივთებს, რის შესახებ თ. შ-იამ საერთოდ არაფერი იცოდა; ბ. შ-იას მიერ ცეცხლსასროლი იარაღის დაუფლების განზრახვის შემთხვევაშიც კი მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 237-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რადგან სახეზეა ამსრულებლის ექსცესი; თუ ა. ო-ოვის ჩვენებას დავეყრდნობით, საერთოდ გაუგებარია, რა კავშირი აქვს ბ. შ-იას მ. ბ-ძის ბინიდან ცეცხლსასროლი იარაღის გატაცებასთან; სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 538-ე და 539-ე მუხლების მოთხოვნები, რადგან განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობები მტკიცებულებებს შორის; სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი

და მიიღო მეორე მტკიცებულება, რამაც ხელი შეუშალა საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად განხილვას და კანონიერი, საფუძვლიანი და სამართლიანი განაჩენის დადგენას.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ადვოკატი მ. ქ-ია ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას, ბ. შ-იას გამართლებას საქართველოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა«, „ბ«, „გ« ქვეპუნქტებით – სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ ბ. შ-იას სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ადვოკატ ზ. ჯ-ავას საკასაციო საჩივრის მოტივს, თითქოს მოწმე ა. ო-ოვის ჩვენებები ეწინააღმდეგება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

ა. ო-ოვმა საქმის წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში განმარტა, რომ ავტომანქანის გაჩერების შემდეგ მასში ჩაჯდა ახალგაზრდა მამაკაცი. იგი რამდენიმე წუთში შევიდა სადარბაზოში და დაახლოებით 20 წუთში სხვა პირთან ერთად გამოვიდა. მათ თან ჰქონდათ პოლიეთილენის პარკები და კომპიუტერის პროცესორი, რაც მოათავსეს ავტომანქანაში და წავიდნენ. ამ ხნის განმავლობაში მძღოლი მანქანიდან არ გადმოსულა. მოწმის ეს ჩვენება დეტალებში ემთხვევა შპს «მიკა-ჯორჯია-ს» ოფისიდან ამოღებულ «ჩი»-ზე არსებული ვიდეოჩანაწერის დათვალეობის ოქმს. გარდა ამისა, წინასწარი გამოძიებისას ა. ო-ოვი აღწერს ორ პირს, რომელთა ამოცნობაც შეუძლია და უთითებს მათ სავარაუდო ასაკს, რაც ემთხვევა ბ. და თ. შ-იების დაბადების თარიღს.

პირის ამოსაცნობად წარდგენისას ა. ო-ოვმა კატეგორიულად მიუთითა, რომ ბ. შ-ია ავტომანქანიდან არ გადასულა, იგი იჯდა საჭესთან. რაც შეეხება თ. შ-იას, იგი კომპიუტერის პროცესორით ხელში, სხვა პირთან ერთად გამოვიდა სადარბაზოდან. მოწმემ სასამართლოშიც დაადასტურა, რომ საჭესთან ბ. შ-ია იჯდა.

ამრიგად, მოწმე ა. ო-ოვის ჩვენებები თანმიმდევრული და დამაჯერებელია და მათ ობიექტურობაში დაეჭვების საფუძველი არ არსებობს.

საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, მათ შორის – ჩხრეკისა და საგნის ამოსაცნობად წარდგენის, ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმები და დაზარალებულთა ჩვენებები უტყუარად ადასტურებს, რომ ბ. შ-იამ ჯგუფურად, არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ასევე ეჭვს არ იწვევს, რომ თ. შ-იამ ჯგუფურად და ბინაში უკანონო შეღწევით ჩაიდინა ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. გარდა ამისა, თ. შ-ია ჯგუფურად და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფულა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას.

რაც შეეხება ბ. შ-იასათვის სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებას, ამ ეპიზოდში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, რადგან საქმის მასალებიდან, მათ შორის – საბრალდებო დასკვნიდანაც არ გამომდინარეობს, რომ ბ. შ-იამ იცოდა ბინაში ცეცხლსასროლი იარაღის არსებობის შესახებ. რამდენადაც ეს უკანასკნელი თანამზრახველებს ავტომანქანაში ელოდებოდა, არსებობს სსკ-ის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ამსრულებლის ექსცესი და ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებისათვის ბ. შ-იას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს.

სააპელაციო პალატის განაჩენიდან თ. შ-იას მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი, რადგან მას არაერთგზის ქურდობაში ბრალი არ ედებოდა.

გარდა აღნიშნულისა, საქმეზე მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა. რაც შეეხება ბ. შ-იასათვის სსკ-ის 177-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს, იგი ზომიერი და სამართლიანია და მისი შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის 2007 წლის 25 აპრილის დადგენილებით თ. და ბ. შ-იების ბრალდების საქმიდან ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი საქმე დაუდგენელი პირის მიმართ, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «გ» ქვეპუნქტებით და 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ, ჯგუფურად დაუფლების ფაქტზე). ამის გამო ნივთმტკიცებად ცნობილი «მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის საკითხი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. შ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ჯ-ავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ბ. შ-იას ადვოკატ მამუკა ქირიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განაჩენიდან თ. შ-იას მიმართ ამოირიგბოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი;

გასაჩივრებული განაჩენიდან ბ. შ-იას მიმართ ამოირიგბოს სსკ-ის 237-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ბ. შ-იას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ. შ-იას საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 9 თვით;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#633-აპ

22 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ლ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით მ. ლ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საცავში უკანონო შელწევით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 26 იანვარს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა პროკურატურამ მ. ლ-ური ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისცა სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ» ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ» ქვეპუნქტებითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. 2005 წლის 10 თებერვალს მ. ლ-ურის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში. მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ, განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. ამისათვის იგი 2007 წლის 10 მარტს, დაახლოებით 1.²⁰ საათზე, შევიდა თბილისში, არმაზის ქუჩაზე, „ეჩმიადინის» სახელობის სომხური ეკლესიის ეზოში და დაახანა ეკლესიის ეზოში მდებარე დამხმარე სათავსის კარის საკეტი, რის შემდეგაც უკანონოდ შეაღწია შიგნით და ფარულად დაეუფლა იქ შენახულ, შპს „მდვიმის» კუთვნილ ბეტონის ტრანსფორმატორს, ღირებულს 250 ლარად. ამის შემდეგ მ. ლ-ურმა ტრანსფორმატორი ეკლესიის ქუჩის ეზოდან გამოიტანა არმაზის ქუჩის შესახვევში და, ვინაიდან სიმძიმის გამო გაუჭირდა მისი შემდგომი გადაადგილება, დაბრუნდა თავის სახლში და მასთან სტუმრად მყოფ ვლადიმერ ჩ-ის სთხოვა, დახმარებოდა თითქოსდა ნაპოვნი ტრანსფორმატორის სახლამდე გადატანაში, რაზეც იგი დასთანხმდა. მ. ლ-ური ვ. ჩ-ისთან ერთად მივიდა არმაზის ქუჩაზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც შენახული ჰქონდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ტრანსფორმატორი, რომელიც ვ. ჩ-იმ, მ. ლ-ურის დახმარებით, ზურგზე მოიკიდა. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ ის დააკავეს ძველი თბილისის სამმართველოს პირველი

განყოფილების თანამშრომლებმა, ხოლო მ. ლ-ური შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. 2007 წლის 10 მარტს, დაახლოებით 20.10 საათზე, მ. ლ-ური გამოცხადდა ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში, სადაც ის დააკავეს ეჭვმიტანილის სახით.

მ. ლ-ურის დანაშაულებრივი ქმედებით შპს „მღვიმის“ დირექტორ ა. ს-შვილს მიადგა 250 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ლ-ურს მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 10 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა მ. ლ-ურმა და ითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: მ. ლ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული მ. ლ-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით მოეხსნა სსკ-ის 184-ე მუხლი; სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში საუბარი არ არის 2001 წლის 18 ივლისის განაჩენზე, რომლითაც მსჯავრი დაედო სსკ-ის 91-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული მ. ლ-ური ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, მისთვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოხსნას და სასჯელის სახით 3 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, მ. ლ-ურის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით (ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის) დაკვალიფიცირდა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში იყო მიცემული სსკ-ის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენით, სსკ-ის 184-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდების ეპიზოდში მ. ლ-ურის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო პალატამ მსჯავრდებულის ქმედება შეაფასა არაერთგზის ქურდობად და აღნიშნა, რომ მ. ლ-ური 2001 წლის 18 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულია ქურდობის ჩადენისათვის, ეს ნასამართლობა არ გაქარწყლებულა და იგი პირველი ინსტანციის სასამართლომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია.

საქმეშია თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის განაჩენი, რომლის მიხედვით მ. ლ-ური ცნობილია დამნაშავედ ადრე მოქმედი სსკ-ის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 110-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ მისჯილი აქვს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მ. ლ-ურს ადრინდელი ნასამართლობა დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა სწორედ იმის გამო, რომ იგი ქმედების მაკვალიფიცირებელ ნიშნად საბრალდებო დასკვნაში არ იყო მითითებული, შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 450-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, სააპელაციო სასამართლო გასცდა ბრალდების ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მ. ლ-ურის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში და ამ ნაწილში მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს.

მსჯავრდებულის მიერ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული არაერთი უტყუარი მტკიცებულებით, მათ შორის დაზარალებულ ა. ს-შვილის, მოწმეების - დ. ნ-შვილის, ი. გ-ურის, ვ. ჩ-ის და სხვათა ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით და თავად მსჯავრდებულის მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებით. ამ ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

სასჯელის განსაზღვრისას საკასაციო პალატა ითვალისწინებს დადგენილ, მ. ლ-ურის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის, წარსულ ცხოვრებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ლ-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მარტის განაჩენიდან მ. ლ-ურის მიმართ ამოირიგბოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

მ. ლ-ურს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მიესაჯოს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2007 წლის 10 მარტიდან.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#331-აპ-08

11 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ლ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ლ-მე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დაეკისრა ჯარიმა 3 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით ბ. ლ-მეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 3 დეკემბერს ბ. ლ-მე იმყოფებოდა თბილისში, ... #12-ში მდებარე კაზინოში, რა დროსაც განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა კაზინოში მყოფი ნ. ჩ-ელის ხელჩანთას. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი, დაახლოებით 22.00 საათზე, შეჰყვა ნ. ჩ-ელს კაზინოს რესტორანში, სადაც ისარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და ფარულად დაეუფლა სკამის საზურგეზე გადაკიდებულ მის ხელჩანთას, რომელშიც მოთავსებული იყო თანხა 13000 აშშ დოლარის ოდენობით, აგრეთვე, 500 აშშ დოლარის ღირებულების სათამაშო ქეტონები, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ბ. ლ-მემ აღნიშნული ქმედებით დაზარალებულ ნ. ჩ-ელს მიაყენა 13500 აშშ დოლარის ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ბ. ლ-მის დამცველმა, ადვოკატმა ი. ჩ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულის სასიკეთოდ განაჩენის შეცვლას, კერძოდ, მისი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით იმ მოტივით, რომ ბ. ლ-მემ თავისი ქმედებით დაზარალებულს მიაყენა არა დიდი ოდენობის, არამედ - მნიშვნელოვანი ზიანი, ხოლო დაზარალებულ ნ. ჩ-ელის განცხადება იმის თაობაზე, რომ ხელჩანთაში, რომელიც ბ. ლ-მემ ფარულად გაიტაცა, შენახული ჰქონდა 13000 აშშ დოლარი, არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან აღნიშნული რაიმე სხვა სარწმუნო მტკიცებულებით არ არის დადასტურებული.

საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ბ. ლ-მის მიმართ დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ბ. ლ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას მის სასიკეთოდ, კერძოდ, მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე

მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და მისთვის სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ბ. ლ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორ ბ. ლ-ძის არგუმენტებს, რომლის მიხედვით, მის მიმართ წარდგენილი ბრალდება ქურდობის დიდი ოდენობით ჩადენის თაობაზე საქმის მასალებით არ დასტურდება.

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით ირკვევა: დაზარალებულ ნ. ჩ-ელის განცხადება იმის თაობაზე, რომ კაზინოში თამაშის დროს მას ხელჩანთაში შენახული ჰქონდა 13000 აშშ დოლარი, სხვა სარწმუნო მტკიცებულებით ვერ დასტურდება. დაზარალებულის ჩვენებების მიხედვით, კაზინოში ყოფნისას მის ხელჩანთაში აღნიშნული თანხის არსებობის თაობაზე არავინ იცოდა, მისმა მეუღლემაც კი, რომელიც მას თან ახლდა კაზინოში. ასეთ პირობებში მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება ვერ ჩაითვლება უტყუარ და საკმარის მტკიცებულებად, რათა ბ. ლ-ძეს ბრალად შეერაცხოს დაზარალებულისათვის დიდი ოდენობით ზიანის მიყენება. ასევე დადასტურებულად ვერ ჩაითვლება, რომ დაზარალებულ ნ. ჩ-ელის ხელჩანთაში, რომელსაც ბ. ლ-ძე ფარულად დაეუფლა, ინახებოდა 500 აშშ დოლარის ღირებულების სათამაშო ქეტონები (ე.წ. «ფიშკები»), რადგან აღნიშნულის დასადასტურებლად სხვა სარწმუნო მტკიცებულება არ მოიპოვება. თვითონ მსჯავრდებულის ბ. ლ-ძე ჩვენებაშიც და საჩივრებშიც აღიარებს, რომ დაზარალებულ ნ. ჩ-ელის ხელჩანთაში, რომელიც მან წაიღო, იყო 400 აშშ დოლარის ღირებულების სათამაშო ქეტონები და კიდევ 100 აშშ დოლარის ნომინალის ერთი კუპიურა.

იქიდან გამომდინარე, რომ დაზარალებული ნ. ჩ-ელი ჩვენებებში მიუთითებს თავის ხელჩანთაში 150 ლარზე მეტი ღირებულების მქონე სათამაშო ქეტონების, ასევე, აშშ დოლარების სახით გარკვეული თანხის არსებობაზე, რაც ასევე დადასტურებულია მსჯავრდებულ ბ. ლ-ძის ჩვენებებით, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ მსჯავრდებულმა ბ. ლ-ძემ თავისი ქმედებით დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, რის გამოც აღნიშნული ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და უნდა შევასდეს როგორც ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მსჯავრდებულ ბ. ლ-ძის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნია და, შესაბამისად, მას უნდა დაენიშნოს სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც საკმარისი იქნება მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ბ. ლ-ძის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ბ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 დეკემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ბ. ლ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე, ხოლო მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვის შემადგენლობა

განჩინება

#1073-აპ

12 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშარელი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ღ-შვილისა და მსჯავრდებულ მ. კ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ღ-ის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 30 ნოემბრის განაჩენით:

მ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით - უვადო თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მ. კ-ის სასჯელის ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. კ-ის სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მარტიდან.

ვ. ჭ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ ვ. ჭ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მარტიდან.

ა. ღ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელის ნაწილი - 4 წელი და საბოლოოდ ა. ღ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. ღ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 7 მარტიდან.

ა. ც-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელის ნაწილი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ ა. ც-შვილს სასჯელის ზომად

განესაზღვრა 22 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ა. ც-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 6 მარტიდან.

დამტკიცდა 2007 წლის 14 ნოემბრის საპროცესო შეთანხმება ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურასა და განსასჯელ ვ. გ-ძეს შორის.

ვ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 375-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვ. გ-ძის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდა და გირაოს სახით გადახდილი თანხა 3000 ლარი უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს.

დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. მსჯავრდებულებს: მ. კ-იას, ვ. ჭ-შვილს, ა. ლ-შვილს, ა. ც-შვილსა და ვ. გ-ძეს უნდა დაეკისროთ 38032 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის სოლიდარულად გადახდა საქართველოს მილსადენი კომპანიის სასარგებლოდ გადახდის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად.

მსჯავრდებულების - მ. კ-იას, ვ. ჭ-შვილის, ა. ლ-შვილის, ა. ც-შვილისა და ვ. გ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

მ. კ-იამ გარდაბნის რაიონის სოფ. ნორიოს ტერიტორიაზე გამავალი ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის მაგისტრალური ხაზიდან, დიდი ოდენობით ნედლი ნავთობის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, 2005 წლის ოქტომბერში დანაშაულის მოსამზადებლად შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, დაუკავშირდა ახლობლებს - ვ. გ-ძეს, ა. ც-შვილს, ვ. ჭ-შვილს, ა. ლ-შვილს და შესთავაზა მათ ნავთობსადენის მაგისტრალური ხაზიდან შესაბამისი საფასურის გადახდით, დიდ ოდენობით ნედლი ნავთობის ფარული დაუფლება, რის თაობაზეც მათგან მიიღო თანხმობა.

დანაშაულის თანამონაწილეებმა გაინაწილეს სამოქმედო როლები: ა. ც-შვილს და ვ. გ-ძეს უნდა მოემიათ და მოემარჯვებინათ სპეციალური საშუალებები და იარაღი, რითაც განზრახ შექმნიდნენ პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად. ვ. ჭ-შვილს და ა. ლ-შვილს ხელი უნდა შეეწყობათ მათთვის აღნიშნულის განხორციელებაში და ეთვალთვალათ, მ. კ-იას კი უნდა ეხელმძღვანელა და გაეკონტროლებინა მათი საქმიანობა.

2005 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, ღამის საათებში, ვ. გ-ძემ და ა. ც-შვილმა წინასწარ მომარჯვებული საშუალებებით დაიწყეს აღნიშნულ ობიექტზე სპეციალური მოწყობილობის მონტაჟი, დიდი ოდენობით ნავთობის დასატაცებლად. მათ საქმიანობას თვალს ადევნებდნენ და ეხმარებოდნენ ვ. ჭ-შვილი და ა. ლ-შვილი. აღნიშნულ პირთა დანაშაულებრივ საქმიანობას შემთხვევით შეესწრო საქონლის სამებრად გასული, იქვე ახლოს მდებარე, ა. ქ-ძის კუთვნილი მესაქონლეობის ფერმის მწყემსი ე. მ-ოვი, რომელიც თავის მეუღლესთან - ს. ს-ოვასთან და სამ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად ცხოვრობდა ფერმის ტერიტორიაზე მდგარ სამხედრო მანქანიდან მოხსნილ მარაში.

2005 წლის 19 ოქტომბერს, დილის საათებში, შემოვლის დროს, მიერთებული ონკანი აღმოაჩინა მილსადენის დაცვის თანამშრომელმა უ. გ-ძემ. მან აღნიშნულის თაობაზე აცნობა ხელმძღვანელობას და მილსადენის კომპანიას. ეს ამბავი ცნობილი გახდა რა მ. კ-იასათვის, უსაფუძვლოდ იფიქრა, რომ ე. მ-ოვმა დაასმინა ისინი და გადაწყვიტა, შურისძიების მოტივით, ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, მოეკლა იგი. იმავე დღეს, დაახლოებით 23 საათზე მთვრალი მ. კ-ია, ვ. გ-ძესთან ერთად, თავისი კუთვნილი თეთრი ფერის «ნივის» მარკის ავტომობილით ავიდა სოფ. ნორიოში, სადაც წინასწარი შეთანხმებით დახვდნენ ა. ც-შვილი, ვ. ჭ-შვილი, ა. ლ-შვილი და გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომლებსაც მან გაანდო თავისი დანაშაულებრივი განზრახვა. ა. ც-შვილმა, ა. ლ-შვილმა და ვ. ჭ-შვილმა თავის მხრივ დახმარება აღუთქვეს ე. მ-ოვის მკვლელობაში. ამ მიზნით მათ მ. კ-იას გადასცეს საბრძოლო ვაზნებით დატენილი აკს-ის მოდელის «კალაშნიკოვის» სისტემის ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი, რომელიც მათ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ ჰქონდათ შეძენილი და ინახავდნენ ვ. ჭ-შვილის საცხოვრებელ ბინაში. ამის შემდეგ მ. კ-ია საკუთარი ავტომანქანით, ვ. გ-ძესთან ერთად, გაემგზავრა ე. მ-ოვის საცხოვრებელი ადგილისაკენ, მასზე შურისძიების მიზნით. გზაში ვ. გ-ძე შეეცადა, მ. კ-იასათვის გადაეფიქრებინა მკვლელობის ჩადენა, მაგრამ მან ყურად არ იღო მისი თხოვნა. სიმთვრალის, შურისძიებისა და სხვა დანაშაულის დაფარვის სურვილით შეპყრობილმა მ. კ-იამ მას გაჩუმება ურჩია. 20 ოქტომბრის დაახლოებით 2 საათისათვის ისინი მივიდნენ ფერმაში, მ. კ-იამ ავტომანქანიდან გადმოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ ჰქონდა შეძენილი ა. ც-შვილისაგან, ა. ლ-შვილისა და ვ. ჭ-შვილისაგან, ბინიდან გამოიხმო ე. მ-ოვი და მას გამოსვლისთანავე განზრახ მოკვლის მიზნით ჯერით ესროლა ავტომატური იარაღიდან. შემდეგ, განსაკუთრებული სისასტიკით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენდა იქვე, ახლოს მყოფი ბავშვებისათვისაც, რამდენჯერმე ესროლა. სროლის ხმაზე გარეთ გამოსულ მ-ოვის მეუღლეს - ს. ს-ოვას. აღნიშნულის შედეგად ე. მ-ოვმა მიიღო ხუთი ჭრილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში,

ნეკნების, გულის, ფილტვის, ღვიძლის დაზიანებით, ს. ს-ოვამ მიიღო ოთხი ჭრილობა თავის, სახის ძვლებისა და ქალა-ფუძის არეში, ასევე გამჭოლი ჭრილობა წვრილი ნაწლავების მარჯვნივ მრავლობითი დაზიანებებით, მარცხენა თემოს ძვლის მოტეხილობით, რის შედეგადაც ე. მ-ოვი და ს. ს-ოვა ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო მ. კ-ია დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა.

გარდა აღნიშნულისა, მ. კ-ია საცხოვრებელ ბინაში ინახავდა გამოძიებით დაუდგენელ დროს მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ, 1895 წლის ნომუმის, რუსული სამხედრო რევოლვერ «ნაგანისათვის» განკუთვნილ 7,62მმ კალიბრიან ვაზნას, რომელიც განეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

მ. კ-იასა და მისი თანამზრახველების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ იცოდა რა ვ. გ-ემ, წინასწარ შეუპირებლად დაფარა ისინი და არ აცნობა სამართალდამცავ ორგანოებს.

ვ. ჭ-შვილი საცხოვრებელ ბინაში ინახავდა გამოძიებით დაუდგენელ დროს მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ, 1943 წლის ნომუმის, რუსული სამხედრო რევოლვერ «კალაშნიკოვისათვის» განკუთვნილ 7,62მმ კალიბრიან ვაზნას, რომელიც განეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულებს - ა. ღ-შვილსა და ა. ც-შვილს მოეხსნათ სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდნენ.

მსჯავრდებულ ვ. ჭ-შვილს მოეხსნა სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

მ. კ-იას წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა სსკ-ის 109-ე მუხლის «თ» ქვეპუნქტი და ამ ნაწილში გამართლდა.

მსჯავრდებულების - მ. კ-იას, ვ. ჭ-შვილის, ა. ღ-შვილისა და ა. ც-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე.

მსჯავრდებულების - ვ. ჭ-შვილის, ა. ღ-შვილისა და ა. ც-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტსა და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია).

მსჯავრდებულ მ. კ-იას მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტითა და 109-ე მუხლის «ზ», «ლ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტსა და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია).

მ. კ-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), 109-ე მუხლის «ა», «ვ» ქვეპუნქტებით - 19 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის გათვალისწინებით, საბოლოოდ მ. კ-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ვ. ჭ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, 375-ე მუხლით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ ვ. ჭ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 5500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ა. ღ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით, 375-ე

მუხლით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დამატა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 4 წელი და საბოლოოდ ა. ლ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი - 4 წელი. მასვე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ა. ც-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით, 375-ე მუხლით - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დამატა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 4 წელი და საბოლოოდ ა. ც-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი - 4 წელი. მასვე დამატებითი სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

დაზარალებულის სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა. მსჯავრდებულებს: მ. კ-იას, ვ. ჯ-შვილს, ა. ლ-შვილს, ა. ც-შვილს საქართველოს მილსადენი კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრათ 38032 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის სოლიდარულად გადახდა.

მსჯავრდებული ა. ლ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, სსკ-ის 27-ე მუხლის მესამე ნაწილი ზუსტად განსაზღვრავს ორგანიზებული ჯგუფის ცნებას - «პირთა მყარი ჯგუფი, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით შეთანხმდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად». დადგენილია, რომ მ. კ-იამ ითხოვა დახმარება მხოლოდ ერთი კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში, რაზედაც მიიღო თანხმობა, ამიტომ ორგანიზებული ჯგუფი უნდა შეიცვალოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა« ქვეპუნქტით - „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ». სსკ-ის 177-ე მუხლის ქვემოთ არის შენიშვნა: „დიდ ოდენობად ითვლება ნივთიერი ღირებულება 10 000 ლარს ზევით». ამ შემთხვევაში ნივთში მოხსენიებულია ნავთობის ღირებულება. კასატორის მოსაზრებით, მან სხვა განსაჯულებთან ერთად მოამზადა პირობები დანაშაულის ჩასადენად, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი და რის თაობაზეც კომპანიამ წარმოადგინა სარჩელი. ამიტომ ჩადენილია დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა« და „გ« ქვეპუნქტებით; ეს დანაშაული, სსკ-ის მე-12 მუხლის მოთხოვნის თანახმად, განეკუთვნება მიმე კატეგორიის დანაშაულს, ხოლო სსკ-ის (2006 წლამდე რედაქცია) მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

რაც შეეხება ჯარიმას, კასატორის განმარტებით, მან სასამართლო პროცესზე წარმოადგინა ცნობა, რომ არის სოციალურად გაჭირვებული და არა აქვს შემოსავალი, ამდენად, მისთვის ჯარიმის დაკისრების ნაწილში განაჩენი არის უკანონო.

მსჯავრდებულ მ. კ-იას ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ლ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მ. კ-იას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 108-ე მუხლით და ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში შესაბამისი სასჯელის დანიშვნას. კასატორის მოსაზრებით, საქმეზე წინასწარი გამოძიებისას და შემდეგ, როგორც გარდაბნის, ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მ. კ-იას ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 109-ე მუხლის შესაბამისი პუნქტებით, მაშინ, როდესაც საქმეში საერთოდ არ მოიპოვებოდა საამისოდ არავითარი მტკიცებულებები და გარემოებები. მ. კ-იას ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო სსკ-ის 108-ე მუხლით. არც პირველი ინსტანციის და შემდეგ არც სააპელაციო სასამართლომ, რატომღაც, სათანადოდ არ შეაფასეს მ. კ-იას მიერ მიცემული ჩვენებები. როგორც გამოძიებამ, ისე სასამართლომ გაიზიარეს მ. კ-იას ერთ-ერთი პირველი ჩვენება, რითაც მან, თითქოს, აღიარა ორივე პირის მკვლელობა, რაც დაუსაბუთებელია, უფრო მეტიც: პირველი ინსტანციის სასამართლომ და შემდეგ სააპელაციო სასამართლომაც დაარღვიეს სსსკ-ის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, როცა განაჩენებში მათ მტკიცებულებად მიიჩნიეს მ. კ-იას აღიარებითი ჩვენება, თუმცა, თანახმად ხსენებული კანონის ნორმისა, სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლოს სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მსჯავრდებულების: ა. ც-შვილის, ა. ლ-შვილის, ვ. გ-ძის ჩვენებებით, მოწმე გ. ა-იევას ჩვენებით, საქმეში არსებული ფარული ვიდეო-აუდიოჩანაწერის მასალებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სქემით, ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულ

მ. კ-იას მიერ სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით, მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ», «დ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისიდან მოქმედი რედაქცია), 109-ე მუხლის «ა», «ვ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორ თ. ლ-ძის საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ მ. კ-იას არ ჩაუდენია სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. აღნიშნული მოსაზრება არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებიდან, კერძოდ:

მსჯავრდებულების: ა. ც-შვილისა და ა. ლ-შვილის ჩვენებებით, 2005 წლის ოქტომბერში ვ. გ-ძესა და მ. კ-იასთან ერთად გადაწყვიტეს ნორიოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი მილის გახვრეტა ნავთობის დატაცების მიზნით, გაინაწილეს როლები და შეთანხმდნენ ნავთობის რეალიზაციის შემდეგ წილების განაწილებაზე. მათ დაამონტაჟეს მილსადენზე ონკანი, მაგრამ მეორე დღეს ონკანი აღმოაჩინეს მილსადენის დაცვის თანამშრომლებმა. იმავე დღეს ქ. ბათუმიდან დარეკა მ. კ-იამ და სთხოვა მათ, ჩასულიყვნენ ქ. ბათუმში. მათ იფიქრეს, რომ მილსადენის გახვრეტის გამჟღავნების თაობაზე ექნებოდათ «გარჩევები». ბათუმში ჩასვლისას დახვდათ მ. კ-ია და ვ. გ-ძე. მათთან საუბარში მ. კ-იამ თქვა, რომ აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარი მისი დახოცილები იყვნენ. ვ. ც-შვილის ჩვენებით ასევე დადგენილია, რომ მ. კ-ია ამბობდა: „ცოლ-ქმარი არ უნდა დამეხოცაო“.

მსჯავრდებულ ვ. გ-ძის ჩვენებით, 2005 წლის ოქტომბერში, მ. კ-იას ინიციატივით, გახვრიტეს ნორიოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენი, ნავთობის მოპარვის მიზნით. მეორე დღეს მ. კ-იასაგან გაიგო, რომ დაცვის თანამშრომლებს მათ მიერ დამონტაჟებული ონკანი აზერბაიჯანელი მწყემსების დახმარებით აღმოუჩენიათ. ამის შემდეგ ავიდნენ ნორიოში, სადაც დახვდნენ ა. ც-შვილი და ვ. ჭ-შვილი. იქ მათთან საუბრის შემდეგ მ. კ-იამ ავტომატქანაში ჩადო ავტომატი და წავიდნენ ლილოს მიმართულებით. გზაში საუბრისას მ. კ-იამ უთხრა მათ (იგულისმება ა. ც-შვილი, ა. ლ-შვილი და ვ. ჭ-შვილი): «არაფრის თავი არ აქვთ და მე ვიცი, რასაც გავაკეთებო». ფერმასთან მისვლისას მ. კ-ია გადავიდა ავტომატქანიდან. ცუდი ამინდი იყო და არაფერი დაუნახავს, გაიგონა მხოლოდ ავტომატის ჯერის ხმა. უკან დაბრუნების შემდეგ მ. კ-იამ თქვა, რომ ჯერ მოკლა კაცი, მაგრამ ქალმა დაინახა და იძულებული გახდა, ქალიც მოეკლა.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით ასევე უტყუარადაა დადასტურებული მსჯავრდებულ ვ. ჭ-შვილის მიერ სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, მსჯავრდებულების - ა. ლ-შვილისა და ა. ც-შვილის მიერ სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა.

ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულებს - ვ. ჭ-შვილს, ა. ლ-შვილსა და ა. ც-შვილს უნდა მოეხსნათ სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

საქმის მასალების მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული ბრალდების საქმის განხილვისას, კამათის სტადიაზე, სახელმწიფო ბრალმდებელმა წარმოადგინა ბრალდების ახალი წერილობითი ფორმულირება, რომლითაც მსჯავრდებულებს - ა. ლ-შვილსა და ა. ც-შვილს მოეხსნათ სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდნენ. მსჯავრდებულ ვ. ჭ-შვილს მოეხსნა სსკ-ის 236-ე მუხლის მეორე ნაწილით, 23-ე, 24-ე, 109-ე მუხლის «ა», «ვ», «ზ», «თ», «ლ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა. ამასთან, მსჯავრდებულების - ვ. ჭ-შვილის, ა. ლ-შვილისა და ა. ც-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 375-ე მუხლით,

ახალი საბრალდებო სიტყვითა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატა იმაში, რომ მსჯავრდებულებმა: ვ. ჭ-შვილმა, ა. ლ-შვილმა და ა. ც-შვილმა იცოდნენ რა, რომ მ. კ-იამ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული - ე. მ-ოვისა და ს. ს-ოვას განზრახ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით, წინასწარ შეუპირებლად დაფარეს აღნიშნული და არ აცნობეს სამართალდამცავ ორგანოებს.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ვ. ჭ-შვილის, ა. ლ-შვილისა და ა. ც-შვილის მსჯავრდებას სსკ-ის 375-ე მუხლით. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის არსებობისათვის საჭიროა აქტიური მოქმედება - წინასწარ შეუპირებლად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა. დანაშაულის დაფარვაში იგულისხმება დამნაშავეს, აგრეთვე, დანაშაულის ჩადენის იარაღისა და საშუალების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, მსჯავრდებულების: ვ. ჭ-შვილის, ა. ლ-შვილისა და ა. ც-შვილის მიერ მათთვის ცნობილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა, რაც გამოიხატა მათი მხრიდან უმოქმედებით ჩადენილ ქმედებაში, კერძოდ ის ფაქტი, რომ მათ მ. კ-იას მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ე. მ-ოვისა და ს. ს-ოვას განზრახ მკვლელობის შესახებ არ

აცნობეს სამართალდამცავ ორგანოებს, არ გვაძლევს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას.

მართალია, დღეს მოქმედი სსკ-ის 376-ე მუხლი დანაშაულად თვლის ასევე პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, როცა მან ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული და არ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ მ. კ-იას მიერ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის შეუტყობინებლობას იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, არ თვლიდა დანაშაულად.

სსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, უკუმაღლა არა აქვს.

ამდენად, მსჯავრდებულებს: ა. ღ-შვილს, ა. ც-შვილსა და ვ. ჭ-შვილს გასაჩივრებელი განაჩენიდან უნდა ამოერიცხოთ სსკ-ის 375-ე მუხლით შერაცხული მსჯავრი და შესაბამისად ამ მუხლით დანიშნული სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ღ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

მსჯავრდებულ მ. კ-იას ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულებს: ა. ღ-შვილს, ა. ც-შვილსა და ვ. ჭ-შვილს მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით შერაცხული ბრალდება და ამ ნაწილში მათ მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

ვ. ჭ-შვილს საქართველოს სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 5500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ა. ღ-შვილს საქართველოს სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით, რასაც დაემატოს გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 4 წელი ამავე გამოსაცდელი ვადით და საბოლოოდ ა. ღ-შვილს მოსახდელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი - 4 წელი ამავე გამოსაცდელი ვადით, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ა. ც-შვილს საქართველოს სსკ-ის მე-18, 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» და მეოთხე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით, რასაც დაემატოს გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი - 4 წელი ამავე გამოსაცდელი ვადით და საბოლოოდ ა. ც-შვილს მოსახდელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი - 4 წელი ამავე გამოსაცდელი ვადით, დამატებითი სასჯელის სახედ - ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში, აგრეთვე მსჯავრდებულ მ. კ-იას მიმართ დანიშნული სასჯელი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#547აპ-08

24 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - გ. ლ-ძისა და ხ. ვ-ძის დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ძის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით: გ. ლ-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 6000 ლარის ოდენობით; ხ. ვ-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 5500 ლარის ოდენობით.

იმავე განაჩენით მსჯავრდებულ გ. ლ-ძეს დაეკისრა დაზარალებულ გ. ო-ძის სასარგებლოდ - 1100 ლარის გადახდა; დაზარალებულ ლ. ნ-შვილის სასარგებლოდ - 1210 ლარის გადახდა; დაზარალებულ მ. მ-შვილის სასარგებლოდ მსჯავრდებულ ხ. ვ-ძესთან ერთად სოლიდარულად - 1820 ლარის გადახდა; დაზარალებულ ნ. ც-შვილის სასარგებლოდ მსჯავრდებულ ხ. ვ-ძესთან ერთად სოლიდარულად - 1250 ლარის გადახდა, ხოლო მსჯავრდებულ ხ. ვ-ძეს დაეკისრა: დაზარალებულ მ. მ-შვილის სასარგებლოდ მსჯავრდებულ გ. ლ-ძესთან ერთად სოლიდარულად - 1820 ლარის გადახდა; დაზარალებულ ნ. ც-შვილის სასარგებლოდ მსჯავრდებულ გ. ლ-ძესთან ერთად სოლიდარულად - 1250 ლარის გადახდა, დაზარალებულ კ. ჭ-ძის სასარგებლოდ - 400 ლარის გადახდა; დაზარალებულ მ. ბ-ძის სასარგებლოდ - 235 ლარის გადახდა; დაზარალებულ ავ. ჩ-ძის სასარგებლოდ - 930 ლარის გადახდა და დაზარალებულ არ. ჩ-ძის სასარგებლოდ - 650 ლარის გადახდა.

განაჩენით გ. ლ-ძეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ხ. ვ-ძეს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აგრეთვე, იმავე მაკვალიფიცირებელ გარემოებებში ჩადენილი ქურდობის მცდელობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ლ-ძე 1997 წლის 4 აგვისტოს თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ ქურდობისა და ქურდობის მცდელობისათვის მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 150-ე მუხლის მესამე ნაწილის, იმავე კოდექსის მე-17 მუხლისა და 150-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. 1999 წლის 30 იანვარს იგი შეწყალებულ იქნა, რის შედეგადაც სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა. სასჯელის მოხდის შემდეგ მან უკრაინაში კვლავ ჩაიდინა ახალი განზრახვი დანაშაული - ქურდობა და 2003 წლის 20 თებერვალს დნეპროპეტროვსკის სასამართლოს განაჩენით გასამართლდა უკრაინის სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და სასჯელად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 თვისა და 10 დღის ვადით.

მიუხედავად აღნიშნულისა, გ. ლ-ძემ განაგრძო კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა და 2006 წლის ზაფხულში განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში შეღწევით, არაერთგზის ჩაედინა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება. ამასთან, მან დანაშაულის ჩადენაში მხილების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტა, რომ დანაშაულები სხვა რაიონის ტერიტორიაზე, ქ. ზესტაფონში ჩაედინა. გ. ლ-ძემ ბინაში შეღწევის ხერხად ბინის კარის სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმირებელი“ გაღება აირჩია, რაც საშუალებას მისცემდა, დანაშაულები დღისით ხმაურის გარეშე ჩაედინა, ამასთან, სხვა პირთათვის ნაკლებად შესამჩნევი და საეჭვო ყოფილიყო. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი სხვადასხვა დროს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ყაჩაღური თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე შენახვა-ტარებისათვის, ყაჩაღური თავდასხმით ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო

მოხმარებისათვის ნასამართლევ ხ. ვ-ძესა და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებს, რომლებთან ერთად არაერთგზის ჩაიდინა სხვისი ქონების ქურდობა, კერძოდ, 2006 წლის 2 აგვისტოს, დღის საათებში, 14.30-დან 15.30 საათამდე პერიოდში, გ. ლ-ძემ და ხ. ვ-ძემ, ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმიჩკებით» კარის საკეტის გაღებით, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ზესტაფონში, ... ქ. #27/7-ში მცხოვრებ ნ. ა-ძის ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს: ვიდეომაგნიტოფონი „პანასონიკი», ღირებული 150 ლარად; წიგნი „მუშანიკის წამება», ღირებული 200 ლარად; დანა, ღირებული 60 ლარად; ფოტოაპარატი „სამსუნგი», ღირებული 180 ლარად; ოქროს 2 ყელსაბამი, ღირებული 1400 ლარად, რითაც დაზარალებულს სულ მიაყენეს 1990 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 2 აპრილს, დღის საათებში, 10-დან 16.10 საათამდე პერიოდში, გ. ლ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ თანამზრახველებთან ერთად, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმიჩკებით» კარის საკეტის გაღებით უკანონოდ შეაღწია ქ. ზესტაფონში, ... ქ. #71/16-ში მცხოვრებ გ. ო-ძის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა: ვიდეომაგნიტოფონი „სამსუნგი», ღირებული 250 ლარად; აუდიომაგნიტოფონი „პანასონიკი», ღირებული 150 ლარად; ტყავის 2 ქურთუკი, ღირებული 330 ლარად; ნაჭრის პალტო, ღირებული 280 ლარად, რითაც დაზარალებულს სულ 1100 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

2007 წლის 4 აპრილს, დღის საათებში, 10.30-დან 15.30 საათამდე პერიოდში, გ. ლ-ძემ და ხ. ვ-ძემ, ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმიჩკებით» კარის საკეტის გაღებით უკანონოდ შეაღწიეს ქ. ზესტაფონში, ... ქ. #4/30-ში მცხოვრებ მ. მ-შვილის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს: ვერცხლის ყელსაბამი, ღირებული 20 ლარად; ქურთუკი - „დუბლიონკა», ღირებული 900 ლარად; „კარაკულის» ქურქი, ღირებული 900 ლარად, რითაც დაზარალებულს სულ მიაყენეს 1820 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2007 წლის 4 აპრილს, დღის საათებში, 11-დან 15 საათამდე პერიოდში, გ. ლ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ თანამზრახველებთან ერთად, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმიჩკებით» კარის საკეტის გაღებით უკანონოდ შეაღწია ქ. ზესტაფონში, ... ქ. #4/30-ში მცხოვრებ ლ. ნ-შვილის საცხოვრებელ ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლა და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა: ტყავის ქურთუკი, ღირებული 400 ლარად; ვერცხლის ჯაჭვი კულონით, ღირებული 30 ლარად; ვერცხლის 2 ბეჭედი, ღირებული 40 ლარად; ვერცხლის საყურე, ღირებული 60 ლარად; ტყავის პალტო, ღირებული 450 ლარად; ტყავის პიჯაკი, ღირებული 200 ლარად; ფული - 30 ლარი, რითაც დაზარალებულს სულ 1210 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

2007 წლის აპრილის დასაწყისში გ. ლ-ძე კვლავ დანაშაულებრივად დაუკავშირდა ხ. ვ-ძესა და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირს. ისინი შეთანხმდნენ, რომ ქ. ზესტაფონში, ... ქ. #87-ის პირველ სართულზე მდებარე #40 ბინიდან, რომელიც ა. წ-ძეს ეკუთვნოდა, ფარულად გაეტაცებინათ მისი ქონება.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შეთანხმებისამებრ, 2007 წლის 6 აპრილს, დაახლოებით 14 საათზე, გ. ლ-ძე, ხ. ვ-ძე და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირები ერთად მივიდნენ ა. წ-ძის ბინასთან. დარწმუნებულებმა, რომ იქ არავინ იმყოფებოდა, ბინაში უკანონოდ შეღწევისა და ქონების ფარულად გატაცების მიზნით, მათ სცადეს თანაქონი, სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმიჩკებით» ბინის კარის საკეტის გაღება. ბინაში მყოფმა ა. წ-ძემ, რომელსაც უცნობ პირთა საეჭვო მოქმედების შესახებ მეზობლებმა აცნობეს და რომელიც სათვალთვალოდან ადევნებდა თვალს მათ ქმედებას, მობილური ტელეფონით გამოიძახა პოლიცია. ამასობაში ბოროტმოქმედები კიბეზე ჩამომაჯალმა ა. წ-ძის მეზობელმა ე. ც-ძემ დააფრთხო, რის გამოც, დანაშაულის ჩადენაში მხილების თავიდან აცილების მიზნით, გ. ლ-ძე, ხ. ვ-ძე და დაუდგენელი პირები ერთად მოსცილდნენ ა. წ-ძის ბინის კარს და გამოვიდნენ სადარბაზოდან. ბოროტმოქმედებს ა. წ-ძე დაედევნა და შეძლო გ. ლ-ძის დაკავება, ხოლო ხ. ვ-ძემ და დაუდგენელმა პირებმა მოახერხეს შემთხვევის ადგილიდან გაქცევა და მიმალვა.

გარდა აღნიშნულისა, ხ. ვ-ძემ, რომელიც 1993 წლის 30 სექტემბერს ქ. ჭიათურის სასამართლოს მიერ ყაჩაღური თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღის სათანადო ნებართვის გარეშე შენახვა-ტარებისა და ყაჩაღური თავდასხმით ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია) 152-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი და მეხუთე პუნქტების, იმავე კოდექსის 238-ე მუხლის პირველი - მეორე ნაწილებისა და 240-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდის შემდეგ კვლავ ჩაიდინა ახალი განზრახი დანაშაული, რის გამოც 2005 წლის 13 ოქტომბერს ჭიათურის რაიონული სასამართლოს მიერ იგი პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენის, შენახვისა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის, ასეთი მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე, რისთვისაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით, რაც ჩათვალა პირობით, სამი წლის გამოსაცდელი ვადით.

2006 წლის 14 ივნისს, დღის საათებში, 8.30-დან 17 საათამდე პერიოდში, ხ. ვ-ძემ, გამოიძიებთ დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, სპეციალურად დამზადებული საგნებით, ე.წ. „ატმინგებით“ კარის საკეტის გაღებით უკანონოდ შეაღწია ქ. ზესტაფონში, ... ქ. #9/12-ში მცხოვრებ რ. ფ-ძის ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს: პერსონალური კომპიუტერი, ღირებული 1900 ლარად; კობალტით გაფორმებული საათი ბრინჯაოს 2 შანდალთან ერთად, ღირებული 2400 ლარად; ყავის სერვიზი, ღირებული 400 ლარად; ჩაის სერვიზი „მადონა“, ღირებული 250 ლარად; ტყავის ქურთუკი - „დუბლიონკა“, ღირებული 700 ლარად; 2 მანტო, ღირებული 300 ლარად; საწოლის 2 გადასაფარებელი, ღირებული 30 ლარად; 300 ლარი და 50 აშშ დოლარი, რითაც დაზარალებულს სულ 6370 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

2006 წლის 24-25 ნოემბრის დამის საათებში ხ. ვ-ძემ, გამოიძიებთ დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, სპეციალურად დამზადებული საგნებით - ე.წ. „ატმინგებით“ კარის საკეტის გაღებით უკანონოდ შეაღწია ქ. ზესტაფონში, ... ქ. #9/21-ში მცხოვრებ ავ. ჩ-ძის ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს: ტყავის ქურთუკი, ღირებული 300 ლარად; „ოფთალმოსკოპი“, ღირებული 350 ლარად; 4 ქურთუკი - „დუბლიონკა“, ღირებული 2100 ლარად; ტყავის პიჯაკი, ღირებული 350 ლარად; 4 ყელსაბამი, ღირებული 117 ლარად; ვერცხლის გულსაბნევი, ღირებული 200 ლარად, რითაც დაზარალებულს სულ 3417 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

2007 წლის 8 თებერვალს, დღის საათებში, 13.30-დან 16 საათამდე პერიოდში, ხ. ვ-ძემ, გამოიძიებთ დაუდგენელ სხვა პირებთან ერთად, ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ სახლში არავინ იმყოფებოდა, იმავე ხერხით - კარის საკეტის გაღებით უკანონოდ შეაღწია ქ. ზესტაფონში, ... ქ. #8/7-ში მცხოვრებ ვ. ჭ-ძის ბინაში, სადაც ფარულად დაეუფლნენ და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს: ოქროს ბეჭედი, ღირებული 70 ლარად; ტყავის პიჯაკი, ღირებული 150 ლარად, რითაც დაზარალებულს სულ 635 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ლ-ძემ და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ვ. პ-ძემ, აგრეთვე - მსჯავრდებულმა ხ. ვ-ძემ. აპელანტები - ვ. ლ-ძე და ვ. პ-ძე თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, მსჯავრდებულ გ. ლ-ძისათვის სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარდგენილი ბრალდების მოხსნას, ასევე - დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის - 6000 ლარის მოხსნას. აპელანტი - მსჯავრდებულ ხ. ვ-ძე თავისი საჩივრით ითხოვდა მისთვის სასჯელის შემსუბუქებასა და დამატებითი სასჯელის - ჯარიმისაგან განთავისუფლებას იმ საფუძველით, რომ იგი, თავის ოჯახთან ერთად, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სააპელაციო საჩივრები განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2008 წლის 31 იანვრის განაჩენით არ დააკმაყოფილა მსჯავრდებულ გ. ლ-ძისა და მისი დამცველის, ადვოკატ ვ. პ-ძის სააპელაციო საჩივარი, ხოლო მსჯავრდებულ ხ. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ, ამასთან, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენში შეიტანა შემდეგი ცვლილებები: მსჯავრდებულ გ. ლ-ძეს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით შეუმცირა 2 წლით და მას სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა - 6000 ლარი შეუმცირა 2000 ლარით და დამატებით სასჯელად განუსაზღვრა ჯარიმა - 4000 ლარის ოდენობით, ხოლო მსჯავრდებულ ხ. ვ-ძეს მოუხსნა განაჩენით დანიშნული დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 5500 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - გ. ლ-ძისა და ხ. ვ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულების - გ. ლ-ძისა და ხ. ვ-ძის დამცველმა, ადვოკატმა ვ. პ-ძემ საკასაციო საჩივრებით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ვ. პ-ძე ითხოვს: მსჯავრდებულ გ. ლ-ძეს მოეხსნას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უკანონოდ შერცხული ბრალდება, მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, ხოლო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, მასვე მოეხსნას დამატებითი სასჯელი - 4000 ლარის ოდენობით დანიშნული ჯარიმა.

კასატორი ვ. პ-ძე თავისი საჩივრით ასევე ითხოვს, რომ მსჯავრდებულ ხ. ვ-ძეს მოეხსნას წინა განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დამატებული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სასჯელად განესაზღვროს 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - გ. ლ-ძის, ხ. ვ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. პ-ძის საკასაციო საჩივარი გ. ლ-ძის მიმართ უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მისივე საკასაციო საჩივარი ხ. ვ-ძის მიმართ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლო გამოძიების სტადიაზე, დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა - გ. ლ-მემ და ხ. ვ-მემ ნამდვილად ჩაიდინეს ქურდობა პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის და ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით.

რაც შეეხება გ. ლ-მის მსჯავრდებას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლითაც მას დაეკისრა პასუხისმგებლობა ქურდობისათვის, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლელი სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების გამო, უნდა აღნიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად არ განიხილა და დასაბუთებული პასუხი არ გასცა აპელანტ ვ. პ-მის არგუმენტებულ მოთხოვნას გ. ლ-მის მიმართ აღნიშნული კვალიფიკაციით უსაფუძვლოდ შერაცხული ბრალდების მოხსნის თაობაზე, რის შედეგადაც დაუშვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

მოცემულ შემთხვევაში საკითხის არსი მდგომარეობს შემდეგში: მართალია, გ. ლ-მე წინათ ორჯერ იქნა მსჯავრდებული სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის, მაგრამ, საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გაქარწყლებული ნასამართლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში არ მიიღება, ხოლო იმ დროისათვის, როდესაც გ. ლ-მემ ბოლო დანაშაულის პირველი ეპიზოდი ჩაიდინა, მისი პირველი ნასამართლობა უკვე გაქარწყლებული იყო, ვინაიდან სსკ-ის იმავე, 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ. საქმეში არსებული მასალებითა და განაჩენით დადგენილია, რომ გ. ლ-მე პირველი დანაშაულის გამო დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 1999 წლის 30 იანვარს შეწყალებით, საიდანაც დაიწყო მისი ნასამართლობის ექვსწლიანი ვადის დინება, რომელსაც, იმავე კანონის თანახმად ვერ წყვეტს ახალი დანაშაულის ჩადენა. ასე რომ, აღნიშნული ვადა ამოიწურა და გ. ლ-მის ნასამართლობა გაქარწყლდა 2005 წლის 30 იანვარს, ხოლო განაჩენით დადგენილია, რომ ბოლო დანაშაულის პირველი ეპიზოდი მან ჩაიდინა 2006 წლის 2 აგვისტოს, ე.ი. როცა მისი პირველი ნასამართლობა უკვე გაქარწყლებული იყო და გ. ლ-მე აღარ ითვლებოდა მისი პირველი დანაშაულისათვის ნასამართლობის მქონედ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ლ-მის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებზე და მას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ქურდობისათვის, ჩადენილი არაერთგზის, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. შესაბამისად, მის მიერ ჩადენილი ქმედებების სიმძიმის, შედეგების, მისი პიროვნებისა და წარსულის გათვალისწინებით, გ. ლ-მეს ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო აპელანტ ვ. პ-მის მოთხოვნა მისთვის სასჯელის ზომის - თავისუფლების აღკვეთის ხუთ წლამდე შემცირებისა და დამატებითი სასჯელისაგან განთავისუფლების თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება, რადგან საამისოდ არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო პალატის აზრით, არ არსებობს აგრეთვე საფუძველი კასატორ ვ. პ-მის იმ საჩივრის დაკმაყოფილებისათვის, რომლითაც იგი ითხოვს, რომ მსჯავრდებულ ხ. ვ-მეს მოეხსნას წინა განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დამატებული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ახალი დანაშაულისათვის განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს ოთხ წლამდე, ვინაიდან პირველთან მიმართებით არ არსებობს ახლად გამოვლენილი გარემოება, რომლითაც კასატორი აპელირებს, ხოლო ბოლო დანაშაულისათვის სასჯელის ზომა სასამართლომ ხ. ვ-მეს განუსაზღვრა ჩადენილი ქმედების სიმძიმის, შედეგების, მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს საფუძველი მისი შემცირებისათვის.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ გ. ლ-მის სასიკეთოდ, ხოლო სხვა ნაწილში განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

ადვოკატ ვ. პ-მის საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულ გ. ლ-მის მიმართ დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მისივე საკასაციო საჩივარი მსჯავრდებულ ხ. ვ-მის მიმართ არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ გ. ლ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ« ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა«, „ბ«, „გ« ქვეპუნქტებზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - გ. ლ-ძისა და ხ. ვ-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1410-ა3

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზევირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 აგვისტოს განაჩენით მ. ს-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

მ. ს-შვილს «ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» კანონის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით.

მ. ს-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 2 აპრილიდან. მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალა დაკავებაში ყოფნის დრო - 3 დღე, 2008 წლის 12 მარტიდან 2008 წლის 14 მარტის ჩათვლით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ს-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 6 დეკემბერს წარსულში ნასამართლევი მ. ს-შვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დააჯარიმა 500 ლარით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარებისათვის. აღნიშნულიდან მან სათანადო დასკვნები არ გამოიტანა და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 12 მარტს ქ. თბილისში, ... ქუჩის #1-ში მდებარე, სს „პოპულის« #3 ფილიალში თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს მ. ს-შვილი, რომელსაც ვიზუალურად ეტყობოდა, რომ, სავარაუდოდ იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. იგი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ნარკოლოგიური შემოწმების კაბინეტში, სადაც ჩაუტარდა გამოკვლევა და #3411159 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეტამფეტამინის« მიღების ფაქტი.

2008 წლის 2 აპრილს, დაახლოებით 07.00 საათზე, მ. ს-შვილმა განიზრახა, ჩაედინა ქურდობა და მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდა რომელიმე მოქალაქის კუთვნილ მოძრავ ქონებას, შემდგომში გაეყიდა და რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა დაეხარჯა პირადი საჭიროებისამებრ. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი იმავე დღეს, დაახლოებით 7.50 საათზე, მივიდა ქ. თბილისში, ... ქუჩის #33-ის ეზოში, სადაც შენიშნა „მერსედეს-ელეგანტის« მარკის ავტომანქანა. მივიდა ავტომანქანასთან და ფარულად მოხსნა კარზე დამაგრებული ორი სარკე თავისი ბუდეებით, რომლებიც მან მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა, რის შემდეგაც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ნივთებით შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას. ამ დროს მ. ს-შვილი შენიშნეს

თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლებმაც იგი დააკავეს.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული მ. ს-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ საფუძველით, რომ აღიარებს და იწინააღმდეგება ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, გულით ავადმყოფი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებით და საქმეში არსებული სხვა მასალებით მ. ს-შვილის მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა დადასტურებულია, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი პირიქების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მ. ს-შვილს დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ს-შვილს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, რაც თავისთავად მოიცავს ამავე მუხლის მეორე ნაწილს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი) მსჯავრდებულ მ. ს-შვილს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით - უნდა გაუნახევრდეს. მას სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტითა და მესამე მუხლის მეორე პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ მ. ს-შვილს ამოერიცხოს მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, როგორც ზედმეტად წარდგენილი;

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტისა და მესამე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ მ. ს-შვილს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ მ. ს-შვილს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#634-აპ-08

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ვ-ურისა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ვ-ური ამჟამად პატიმრობაში მყოფი, დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით მის მიმართ დანიშნული მოუხდელი სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და მას სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენით ვ. ვ-ურს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ჩადენილი სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: წარსულში ქურდობისათვის ნასამართლევა ვ. ვ-ურმა 2005 წლის 28 ივლისს განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ... მცხოვრებ, დაზარალებულ ნ. ბ-შვილის კუთვნილ «ტ-25» მარკის ტრაქტორსა და მასზე დამონტაჟებულ საწამლ აპარატს.

განზრახვის სისრულეში მსოფყანად ვ. ვ-ური იმავე დამეს მივიდა დაზარალებულ ნ. ბ-შვილის საცხოვრებელ სახლთან, სადაც ქუჩაში მას გაჩერებული ჰყავდა თავისი კუთვნილი, 3600 ლარად ღირებული ტრაქტორი - «ტ-25», მასზე დამონტაჟებული, 500 ლარად ღირებული საწამლი აპრატით, მომართა და ფარულად დაეუფლა მას, რითაც დაზარალებულს 4100 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული სატრანსპორტო საშუალება ვ. ვ-ურმა წაიყვანა და გადამალა გამოძიებით დაუდგენელ ადგილას, საწამლი აპრატით კი 2005 წლის სექტემბერში, გამოძიებით დაუდგენელ რიცხვში, თავისი მეგობრის, სოფ. ... მცხოვრები ს. ხ-შვილის ეზოდან 180 ლარად მიჰყიდა ამავე სოფელში მცხოვრებ ე. გ-შვილს, ვისგანაც პოლიციის მუშაკებმა ამოიღეს გამოძიების დროს.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ვ-ურმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა უდანაშაულოდ ცნობასა და გამართლებას შემდეგი მოტივებით: საქმეში არ არსებობს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები მისი მსჯავრდებისათვის, ასევე არ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ტრაქტორის ქურდობა მან ჩაიდინა, ხოლო დაზარალებულის მიერ საწამლი აპრატის ამოცნობა ჩატარდა კანონით დადგენილი წესის დარღვევით. ამიტომ მის მიმართ წარდგენილი ბრალდება არის დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2008 წლის 4 მარტის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ამასთან, გასაჩივრებულ განაჩენში შეიტანა ცვლილებები მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, ვ. ვ-ურის მიმართ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტის (2006 წლის 29 დეკემბრის რედაქცია) საფუძველზე შერაცხული ბრალდება მიიჩნია უკანონოდ, ამიტომ მისი ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), ხოლო სასჯელის ნაწილში შეიტანა შემდეგი დაზუსტება: ბოლო განაჩენით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 (სამი) წლისა და 6 თვის ვადით - შეკრიბა წინა განაჩენით დანიშნულ პირობით მსჯავრთან, ამ უკანასკნელის გაუქმების გარეშე. ამავე დროს, პირობით დანიშნულ სასჯელში ვ. ვ-ურს ჩაუთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო, რის შემდეგაც პირობით ჩათვლილ სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 9 თვისა და 24 დღის ვადით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 დეკემბრის განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ვ. ვ-ურმა და მისმა დამცველმა, ადვოკატმა ა. კ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები საჩივრით აყენებენ იმავე მოთხოვნას, რაც მათ მითითებული

ჰქონდათ სააპელაციო საჩივარსა და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარდგენილ დაცვით სიტყვაში, კერძოდ, მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის გამართლებასა და ამ საფუძველზე მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, ხოლო ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად კასატორები მიუთითებენ იმ მოტივებზე, რომლებიც მათ გაცხადებული ჰქონდათ სააპელაციო საჩივარსა და სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს დასაბუთებული საფუძველი კასატორების იმ პოზიციის გასაზიარებლად, რომლის მიხედვით, მსჯავრდებულ ვ. ვ-ური მიჩნეულია უდანაშაულოდ, რადგან საქმეში მოიპოვება საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლითაც დადასტურებულია, რომ ვ. ვ-ურს ნამდვილად აქვს ჩადენილი ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამასთან, საქმის წარმოებისას არ ყოფილა დაშვებული საპროცესო დარღვევები, რასაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე, კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის დადგენის თვალსაზრისით. აღნიშნული გარემოების გამო კასატორების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებისას დაუშვა უზუსტობა, რაც უნდა გასწორდეს. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის მიერ ჩადენილ ქმედებას - ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, მისი ჩადენისას ითვალისწინებდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტი (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), რომელიც სასჯელის ზომად ადგენდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორიდან ექვს წლამდე. იმავე ქმედებისათვის ამჟამად პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, რომელიც სასჯელის ზომად ადგენს თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

მართალია, ახალი კანონით დადგენილი სასჯელის მინიმალური ზომა უფრო მეტია, ვიდრე ძველი კანონით დადგენილი ზომა, მაგრამ, იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ შესაძლებლად არ მიიჩნია წინათ მოქმედი კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის გამოყენება, მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულისათვის უფრო მსუბუქად უნდა ჩაითვალოს ახალი კანონი, რომლითაც მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმალური ზომა უფრო მცირეა, ვიდრე წინათ მოქმედი კანონით გათვალისწინებული ზომა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის ქმედება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის მიმართ დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ასევე დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით და შეესაბამება სასჯელის მიზნებს, რის გამოც აღნიშნული განაჩენი სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

განხილული გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. ვ-ურისა და მისი დამცველის, ადვოკატ ა. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ვ. ვ-ურის ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1502-აპ

18 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ც-ავას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხოზის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის განაჩენით:

დ. ც-ავა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 363-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა.

დ. ც-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის I ნაწილით - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა მთლიანად და დ. ც-ავას საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 3 დეკემბრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ დ. ც-ავას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 29 ნოემბერს დ. ც-ავა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან ერთად ხოზის რაიონის სოფ. ... მდებარე მ. ლ-ავას სააფთიაქო პუნქტში, საცავში უკანონო შეღწევით, ფარულად დაეუფლა მედიკამენტებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობას, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს, ასევე მართლსაწინააღმდეგოდ მისი საკუთრა ბეჭედი. მანვე ჩაიდინა 8.1 გრამი «მარიხუანას» უკანონოდ შექმნა და შენახვა.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აგვისტოს განაჩენით დარჩა უცვლელად.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აგვისტოს განაჩენი დ. ც-ავას მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გადაეგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით დ. ც-ავა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ სსკ-ის 363-ე მუხლის I ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და გამართლდა. დ. ც-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტით 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის I ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მას საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

მსჯავრდებული დ. ც-ავა საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ არის ავადმყოფი, ჰყავს მარტოხელა, პენსიონერი, ავადმყოფი, მოხუცი დედა, რომელიც დარჩენილია უპატრონოდ, რადგან მისმა დამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ დ. ც-ავას ნაწილობრივ აღიარებითი ჩვენებით, დაზარალებულ მ. ლ-ავასა და მოწმეების - გ. ა-აიას, მ. ჯ-ავას, მ. გ-უას ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის #145/27-21 დასკვნით და საქმეში არსებული სხვა მასალებით დ. ც-ავას მიერ მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა უტყუარადაა დადასტურებული.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მისი

პიროვნების მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ დ. ც-ავას დაუნიშნა ისეთი სასჯელი, რომლის შეცვლისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ც-ავას სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ უნდა განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ დ. ც-ავას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ დ. ც-ავას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ა» ქვეპუნქტითა და 260-ე მუხლის I ნაწილით საბოლოოდ განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ძარცვა

განჩინება

#1504-აპ-07

13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. გ-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. გ-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, მ. გ-შვილს მსჯავრი დაედო ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 9 ნოემბერს, დაახლოებით 19.30 საათზე, მ. გ-შვილი თავის თანმხლებ, გამოძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მეცნიერებათა აკადემიის მოპირდაპირე მხარეს არსებულ ავტობუსის გაჩერებასთან, სადაც განიზრახეს თავს დასხმოდნენ რომელიმე მოქალაქეს და ყაჩაღურად დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. ამ დროს მათ შენიშნეს იქვე, #61 ავტობუსიდან ჩამოსული მოქალაქე ო. ბ-ძე, რომელმაც ჯიბიდან ამოიღო მობილური ტელეფონი და გაემართა რუსთაველის გამზირის მიმართულებით. აღნიშნული დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. გ-შვილი და მისი თანმხლები ორი პირი წამოეწივნენ მას მაღაზია «გარდერობის» წინ და შეიყვანეს იქვე არსებული სახლის სადარბაზოში. მ. გ-შვილთან ერთად მყოფმა ერთ-ერთმა პირმა მოახდინა ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირება, ხოლო მ. გ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, მართლსაწინააღმდეგო

მისაკუთრების მიზნით, ო. ბ-ძეს ქურთუკის ჯიბიდან ამოაცალა მისი კუთვნილი «სონი-ერიქსონის» ფირმის მობილური ტელეფონი და გადასცა იქვე მყოფ, თავის თანმხლებ ორ პირთაგან ერთ-ერთს. ამის შემდეგ მ. გ-შვილმა გამოართვა ხსენებული იარაღი თანმხლებ პირს, დაზარალებულზე ზემოქმედების მიზნით მოიყვანა საბრძოლო მოქმედებაში და დაემუქრა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ მ. გ-შვილი და მისი თანამზრახველნი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. გ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად მ. გ-შვილის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივების საფუძველზე: განაჩენი ეყრდნობა დაზარალებულ ო. ბ-ძის ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ ჩვენებებს, რომლებიც არ დასტურდება სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, ამასთან, სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მსჯავრდებულის ალიბი, რომლის რეალობა დასტურდება მოწმეთა ჩვენებებით.

აპელანტის საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა საჩივრის მოთხოვნა, 2007 წლის 19 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ მ. გ-შვილის მიმართ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. გ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივებით, რაც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულ მ. გ-შვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ მ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ მ. გ-შვილის ბრალდების საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, უტყუარად დადგინდნ ფაქტობრივ გარემოებებს და მას ბრალად შეურაცხა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენა, ვიდრე სინამდვილეში ჩაიდინა მან. გასაჩივრებული განაჩენით მ. გ-შვილი მსჯავრდებულ იქნა ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენის ბრალდებით, მაგრამ, თუკი საქმეში არსებულ მტკიცებულებებს განვიხილავთ და შევფასებთ ერთობლივად და არა - ცალ-ცალკე, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მ. გ-შვილი დაზარალებულ ო. ბ-ძის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატს დაეუფლა ყაჩაღური თავდასხმის გზით. მართალია, წინასწარი გამოძიების სტადიაზე, განმეორებით დაკითხვისას და სასამართლოში დაკითხვის დროს მიცემულ ჩვენებებში დაზარალებული ო. ბ-ძე აღნიშნავს მსჯავრდებულის მიერ იარაღის დემონსტრირებისა და იარაღით დამუქრების შესახებ, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, როცა მიმდინარეობდა დაზარალებულ ო. ბ-ძის დაკითხვა, გამოქვეყნდა მის მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული პირველი ჩვენება, რომლის თაობაზეც მან მიუთითა, რომ აღნიშნული ჩვენება სწორია, ხოლო ამ ჩვენებაში იგი საერთოდ არ ახსენებს ტელეფონის აპარატის წართმევისას როგორც მის მიმართ იარაღის გამოყენების მუქარას, ასევე საერთოდ იარაღის არსებობის ფაქტს. გარდა ამისა, სასამართლოში დაკითხვა პოლიციის თანამშრომელი ნ. გ-ავა, რომელმაც დააკავა მ. გ-შვილი დაზარალებულ ო. ბ-ძის მითითებით. იგი აღნიშნავს, რომ ამ დროს დაზარალებულმა განაცხადა მ. გ-შვილის მიერ მისი დაყაჩაღებისა და იარაღით მუქარის გამოყენების თაობაზე. იმავე სასამართლო სხდომაზე დაკითხვა პოლიციის თანამშრომელი ა. ბ-ძეც, რომელიც ასევე მონაწილეობდა ო. ბ-ძის მითითებით მ. გ-შვილის დაკავებაში. მოწმე ა. ბ-ძე მიუთითებს, რომ დაზარალებულმა განაცხადა: «რამდენიმე დღის წინ აღნიშნულმა პიროვნებამ (მ. გ-შვილმა) მას წაართვა მობილური ტელეფონი». აქ რაიმე იარაღის გამოყენებაზე მას არაფერი აქვს ნათქვამი.

მითითებული გარემოებები საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ აყენებს ვერსიას მსჯავრდებულ მ. გ-შვილის მიერ დაზარალებულ ო. ბ-ძის კუთვნილი მობილური ტელეფონის დაუფლებისას მის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარის შესახებ, ამასთან, დაზარალებულის ყველა ჩვენება აშკარად მიუთითებს, რომ მ. გ-შვილი სხვა პირებთან ერთად აშკარად დაეუფლა მის კუთვნილ მობილური ტელეფონის აპარატს მისაკუთრების მიზნით, რა დროსაც დაზარალებულის მიმართ გამოიყენეს ისეთი ძალადობა, რომელიც საშიში არ იყო მისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი ქუჩიდან ძალდატანებით შეიყვანეს სადარბაზოში, სადაც მას წაართვეს მობილური ტელეფონის აპარატი, ღირებული 200 ლარად.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ძარცვა, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით.

აღნიშნული დანაშაულისათვის მსჯავრდებულ მ. გ-შვილის მიმართ სასჯელის ზომის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი ქმედების სიმძიმე და მისი პიროვნება, ის გარემოება, რომ იგი პირველად არის სამართალში, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ მას სასჯელად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რაც საკმარის ზომას წარმოადგენს სასჯელის მიზნის მისაღწევად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ საკასაციო საჩივარში მოცემულ პოზიციას მ. გ-შვილის უდანაშაულობის თაობაზე, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზი საწინააღმდეგოს ადასტურებს, ხოლო ასეთი დასკვნა გამომდინარეობს არა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებებიდან, არამედ ასევე იმ მოწმეთა ჩვენებებიდანაც, რომლებთანაც მ. გ-შვილის მეშვეობით აღმოჩნდა დაზარალებულ ო. ბ-მის კუთვნილი მობილური ტელეფონის აპრატი. ამიტომ საკასაციო პალატა სარწმუნოდ ვერ მიიღებს დაცვის მოწმეთა ჩვენებებს მ. გ-შვილის ალიბის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ მ. გ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ მ. გ-შვილის დამცველის, ადვოკატ მ. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ მ. გ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებზე, ხოლო ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა

განჩინება

#2177-აპ 19 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ი. ა-იანისა და ა. ც-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-შვილისა და მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 15 მარტის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. ი. ა-იანი სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

2. ა. ც-მე სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

3. ნ. ბ-შვილი სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ; ასევე - თაღლითობა, ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ი. ა-იანს, ა. ც-ძისა და ნ. ბ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 15 აპრილს ნ. ბ-შვილი გასამართლა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით და მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2005 წლის 30 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტით იგი გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისაგან. მიუხედავად ამისა, ნ. ბ-შვილი არ დაადგა გამოსწორების გზას და ჩაიდინა ახალი დანაშაული.

2006 წლის 19 სექტემბერს ნ. ბ-შვილი, ა. ც-ძე და ი. ა-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ ა. ჯ-შვილის კუთვნილ ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე ღამეს, დაახლოებით 3 საათზე, ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #13-ში მდებარე, ა. ჯ-შვილის კუთვნილ ავტოფარეხთან, გახსნეს შესასვლელი კარის ზემოთ არსებული მცირე ზომის ფანჯარა, უკანონოდ შეაღწიეს ავტოფარეხში, შიგნიდან გააღეს კარი და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ ა. ჯ-შვილის კუთვნილ ნივთებს: რკინის საჭრელ ე.წ. „ბალგარკას», ღირებულს 180 ლარად; ხელსაწყოების კრებულს, ე.წ. „გალოკებს», ღირებულს 120 ლარად; ალუმინის დისკს თავისივე საბურავით, ღირებულს 175 ლარად; საერთო ჯამში 150 ლარად ღირებულ ორ ცალ ელექტრობურღს. როდესაც ბოროტმოქმედებმა დააპირეს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა, ამ დროს ისინი შენიშნა ა. ჯ-შვილმა და მოუწოდა მათ, რომ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთები ადგილზე დაეტოვებინათ. მიუხედავად ამისა, ისინი არ დაემორჩილნენ დაზარალებულის კანონიერ მოთხოვნას, აშკარად დაეუფლნენ ზემოაღნიშნულ ნივთებს, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს ა. ჯ-შვილის ქონება და მიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. მათ აღნიშნული ქმედებით დაზარალებულს სულ მიაყენა 625 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2006 წლის 20 ნოემბერს, დაახლოებით 14.³⁰ საათზე, ნ. ბ-შვილი იმყოფებოდა თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, სადაც შეხვდა თავის ნაცნობს, არასრულწლოვან ლ. შ-ოვს, რომელსაც თავის მეგობრებთან ერთად სამარშრუტო ტაქსით გაჰყვა მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის» მიმართულებით. ნ. ბ-შვილმა ამ დროს განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა ლ. შ-ოვის სარგებლობაში არსებულ, ბ. კ-შვილის კუთვნილ „მოტოროლა-ლნ» მოდელის მობილურ ტელეფონს. დანაშაულებრივ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილთან» მისვლის შემდეგ, ნ. ბ-შვილმა სთხოვა ლ. შ-ოვს, გაჰყოლოდა მეტროს სადგურ „ახმეტელთან», რაზედაც ეს უკანასკნელი დასთანხმდა. მეტროს სადგურ „ახმეტელთან» ნ. ბ-შვილმა ლ. შ-ოვს სთხოვა მობილური ტელეფონი და უთხრა, რომ ჩადებდა თავის სიმ-ბარათს, დარეკავდა და ისევე დაუბრუნებდა. ლ. შ-ოვმა მას განუცხადა, რომ ტელეფონის ელემენტი არ იყო დამუხტული და ვერ შეძლებდა სარგებლობას. აღნიშნულზე ნ. ბ-შვილმა ლ. შ-ოვს უთხრა, რომ იქვე ტელეფონის შემკეთებლად მისი ნაცნობი მუშაობდა, მასთან დამუხტავდა ტელეფონს და ისევე უკან მოიტანდა. ლ. შ-ოვმა, იცნობდა და ენდობოდა რა ნ. ბ-შვილს, მას გადასცა მობილური ტელეფონი. ნ. ბ-შვილის წასვლის შემდეგ, მიუხედავად რამდენიმე საათის ლოდინისა, იგი აღარ გამოჩნდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ნ. ბ-შვილმა ბოროტად გამოიყენა ლ. შ-ოვის ნდობა და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ბ. კ-შვილის კუთვნილ „მოტოროლა-ლნ» მოდელის მობილურ ტელეფონს, ღირებულს 225 ლარად, რითიც დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. ა-იანსა და ა. ც-ძეს მიესაჯათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ნ. ბ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მათვე დაზარალებულ ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრათ 625 ლარის გადახდა. ი. ა-იანსა და ა. ც-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყოთ 2006 წლის 22 სექტემბრიდან, ნ. ბ-შვილს - 2006 წლის 24 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - თ. მ-შვილმა და მ. დ-ძემ.

ადვოკატმა თ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ი. ა-იანისა და ა. ც-ძის გამართლება. ასევე ნ. ბ-შვილის გამართლება ითხოვა ადვოკატმა მ. დ-ძემაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 15 მარტის განაჩენი შეიცვალა: მსჯავრდებულების - ი. ა-იანისა და ა. ც-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებიდან და მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებსა და მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტზე და ამ მუხლებით მიესაჯათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა; ნ. ბ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებიდან და მე-3 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 177-ე მუხლის

მე-2 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებსა და მე-3 ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებზე და ამ მუხლით განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „გ» ქვეპუნქტით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ ნ. ბ-შვილს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების - ი. ა-იანისა და ა. ც-ძის ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ი. ა-იანსა და ა. ც-ძეს დანაშაული არ ჩაუდენიათ; ისინი შემთხვევის ადგილზე არ ყოფილან და ორივეს აქვს ალიბი, რომლის უარყოფა გამოძიებამ და სასამართლომ ვერ შეძლეს; ი. ა-იანი და ა. ც-ძე მთელი დღის მანძილზე სახლში იყვნენ, გვიანობამდე უყურებდნენ ტელევიზორს და გვიან დაწვეს დასაძინებლად, რასაც ადასტურებენ მათი მშობლები, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა მათი ჩვენებები და ენდო დაზარალებულ ა. ჯ-შვილის არათანმიმდევრულ, ურთიერთსაწინააღმდეგო და საეჭვო ჩვენებებს; ა. ჯ-შვილის პირველი განცხადებით, მან თავისი ნივთები დაკარგა გაურკვეველ ვითარებაში, ე.ი. ამ პერიოდისათვის მისთვის არ იყო ცნობილი კონკრეტული პირები, ვისზეც ეჭვს მიიტანდა; მოგვიანებით, დაკითხვის დროს, მან დაასახელა ი. ა-იანი და ა. ც-ძე, ხოლო გამოძიებამ შექმნა ტექნიკური პირობები მათი დანაშაულები ცნობისათვის; ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ა. ჯ-შვილი დღემდე ი. ა-იანის მოვალეა და ვალი რომ არ გადაეხადა, სწორედ ამიტომ ჩამოიშორა იგი.

კასატორის განმარტებით, წინასწარმა გამოძიებამ თავის დროზე ჩაატარა ი. ა-იანისა და ა. ც-ძის ბინების ჩხრეკა რომელიმე მოპარული ნივთის აღმოსაჩენად, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო, თუმცა აღნიშნულ ფაქტებს სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა; არც დაქტილოსკოპი. ექსპერტიზის ჩატარებამ გამოიღო რაიმე შედეგი; გამოძიებამ შეგნებულად არ ისურვა დაზარალებულის ჩვენებათა სიმართლეში დარწმუნება და დაცვას უარი უთხრა საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარებაზე; სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დაცვის მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, მაგრამ დაკითხა ბრალდების მოწმეები, რომლებმაც, ფაქტობრივად, არაფერი იცოდნენ; განაჩენი აგებულია მხოლოდ ვარაუდებზე და რეალური მტკიცებულებები არ შექმნილა, ყველა ეჭვი კი უნდა გადაწყვეტილიყო განსასჯელთა სასარგებლოდ; სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-10 და მე-18 მუხლების მოთხოვნები და ორი უდანაშაულო ახალგაზრდა 4-4 წლით გაგზავნა ციხეში; ი. ა-იანი და ა. ც-ძე პირველად არიან სამართალში; ხასიათდებიან დადებითად; მათი წარსული არაფრითაა შებღაპული; ორივეს აქვს საცხოვრებელი ადგილი და ორივე ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი თ. მ-შვილი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, ი. ა-იანისა და ა. ც-ძის გამართლებას.

კასატორი - მსჯავრდებული ნ. ბ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სასამართლო გამოძიების დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა მისი უდანაშაულობა, რაც დადასტურეს მოწმეებმა; ქმედების კვალიფიკაციის შეცვლაც ადასტურებს იმას, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე „შეთითხნლია»; მის მიმართ უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის, სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3, მე-4 ნაწილებისა და მე-18 მუხლის მოთხოვნები; სასამართლო სხდომაზე უტყუარი მტკიცებულებებით არ დადასტურდა მის მიერ დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულ ა. ჯ-შვილის თანმიმდევრული და დამაჯერებელი ჩვენებებით დადგენილია, რომ სამივე მსჯავრდებულს, როგორც მეზობლებს, კარგად იცნობს. ამასთან, ნ. ბ-შვილი და ი. ა-იანი მისი მოსწავლეები იყვნენ და მათ დიდი ხნის მანძილზე ხელობას ასწავლიდა. ა. ჯ-შვილმა კატეგორიულად მიუთითა, რომ 2006 წლის 19 სექტემბერს, ღამით ეზო განათებული იყო და სამივე მსჯავრდებული დაინახა. ისინი ავტოფარეხში იყვნენ და დამახეზაზე გაიქცნენ. ა. ც-ძეს საბურავი ეკავა, ი. ა-იანს თეთრი ტომარა, მესამეს რა მიჰქონდა ვერ დააფიქსირა.

დაზარალებულის ჩვენებათა ობიექტურობაზე მეტყველებს სხვა პირთა ჩვენებები, კერძოდ:

მოწმე ნ. კ-კმა საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას განმარტა, რომ 2006 წლის 19 სექტემბერს, დაახლოებით 09 საათზე მიდიოდა სამსახურში. ა. ჯ-შვილი თავის სახლთან განერვიულებული იდგა და უამბო, რომ «ა.-მ, ი.-მ და ბ-შვილმა» ავტოფარეხი გაუქურდეს. ნ. კ-კმა მიუთითა, რომ ა. ჯ-შვილის ეზო და სახელოსნო განათებულია დიდი ნათურებით.

ანალოგიური ჩვენება მისცა მოწმე პ. ჭ-შვილმა.

მოწმე ი. შ-ოვის ჩვენებითაც ირკვევა, რომ ა. ჯ-შვილის ეზო და სახელოსნო მუდმივად განათებულია. დაზარალებულმა ქურდობის ჩამდენ ერთ-ერთ პირად დაასახელა ა. ც-ძე. მოწმემ ასევე აღნიშნა, რომ ავტომანქანას თვითონ არემონტებდა, რაშიც ი. ა-იანმა გადაიხადა 60 ლარი. ძირითადი სამუშაო შესრულებული იყო და ი. ა-იანს დამატებით სათანადო ნაწილები უნდა მიეტანა.

ნ. ბ-შვილის მიერ თაღლითობის არაერთგზის ჩადენა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, უტყუარადაა დადასტურებული ბ. კ-შვილის, ვ. შ-ოვას და ლ. შ-ოვის ჩვენებებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალები ობიექტურადაა შეფასებული, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და ეყრდნობა საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებულ და გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებებს.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენიდან სამივე მსჯავრდებულის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტები, რადგან აღნიშნული მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას. ამავე მოტივით განაჩენიდან ნ. ბ-შვილის მიმართ უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი. ნ. ბ-შვილის მიმართ განაჩენიდან ასევე უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი (ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის), რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ ნ. ბ-შვილი გაამართლა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (ძარცვა, ჩადენილი არაერთგზის) და ეს განაჩენი ბრალდების მხარის წარმომადგენელს არ გაუსაჩივრებია.

გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს მსჯავრდებულებისათვის დაზარალებულ ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში. ა. ჯ-შვილი სამოქალაქო მოსარჩელედ ცნეს საქმის წინასწარი გამოძიებისას. სამოქალაქო მოპასუხეებად ცნობილ იქნენ მხოლოდ ი. ა-იანი და ნ. ბ-შვილი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნათა მიუხედავად, ა. ც-მე სამოქალაქო მოპასუხედ არ უცვნიათ, რაზეც სააპელაციო პალატამ ყურადღება არ გაამახვილა. შესაბამისად, სამივე მსჯავრდებულს ისე დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე ფაქტობრივად არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება. ამის გამო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას ა. ჯ-შვილს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მსჯავრდებულებს დანიშნული აქვთ მათი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის შესაბამისი სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების - ი. ა-იანისა და ა. ც-მის ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-შვილისა და მსჯავრდებულ ნ. ბ-შვილის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი გაუქმდეს ნ. ბ-შვილის, ი. ა-იანისა და ა. ც-მისათვის დაზარალებულ ა. ჯ-შვილის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენიდან ნ. ბ-შვილის, ი. ა-იანისა და ა. ც-მისათვის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტები;

გასაჩივრებული განაჩენიდან ნ. ბ-შვილის მიმართ ამოირიცხოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა. სააპელაციო პალატის განაჩენიდან ნ. ბ-შვილის მიმართ ასევე ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - მსჯავრდებულებისათვის სასჯელების დანიშვნის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ძარცვა

განჩინება

#2185-აპ

20 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ზ. ქ-ურის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის განაჩენით ზ. ქ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჯგუფურად და ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ჩაიდინა მარცვა, ასევე - ხულიგნობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 იანვრის განაჩენით ზ. ქ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2005 წლის 15 აგვისტოდან.

2001 წლის 4 თებერვალს, დღის საათებში, ზ. ქ-ურმა და ლ. ხ-შვილმა დალიეს ალკოჰოლური სასმელი, რა დროსაც განიზრახეს, ელექტროსაქონლით მოვაჭრე დ. მ-შვილისა და გ. ვ-შვილისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით წაერთმიათ ავტომანქანის აუდიომაგნიტოფონი.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ნასვამი ზ. ქ-ური და ლ. ხ-შვილი იმავე დღეს მივიდნენ ქ. გორში, ... დასახლებაში არსებული სამრეწველო ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც დ. მ-შვილსა და გ. ვ-შვილს დახლზე გასაყიდად გამოტანილი ჰქონდათ სხვადასხვა სახის ელექტროსაქონელი, მათ შორის, აუდიომაგნიტოფონები. ზ. ქ-ური ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაეუფლა აღნიშნულ დახლზე არსებულ სხვის მოძრავ ნივთს, კერძოდ, ოც ლარად ღირებულ მაგნიტოფონს, რომელიც ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში. იმავედროულად ლ. ხ-შვილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლა 150 ლარად ღირებულ ავტომანქანის აუდიომაგნიტოფონს და ორივე მძარცველმა დააპირა გაქცევა. დ. მ-შვილმა მათ გაუწია წინააღმდეგობა და ლ. ხ-შვილი აიძულა, დახლზე დაედო აუდიომაგნიტოფონი. აღნიშნულით განაწყენებულმა ზ. ქ-ურმა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ლ. ხ-შვილთან ერთად, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დ. მ-შვილს, რომელსაც მუშტით სცემეს სახის არეში. მას დაეხმარა მმა - ავთანდილ მ-შვილი, იგი ცდილობდა, აღეკვეთა ზ. ქ-ურისა და ლ. ხ-შვილის უკანონო დანაშაულებრივი ქმედება, რის შემდეგაც მძარცველები ერთად გაიქცნენ ბაზრობის ტერიტორიიდან და გაიტაცეს 20 ლარად ღირებული მაგნიტოფონი.

აღნიშნული ქმედებისათვის ზ. ქ-ურს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 4 წლით, 239-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სასჯელთა შეკრებით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 წელი, 2 თვე და 21 დღე და საბოლოოდ მიესაჯა 12 წლით, 2 თვითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 24 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. ბიბილაშვილმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და ზ. ქ-ურის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გორის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის განაჩენი დაზუსტდა კვალიფიკაციის ნაწილში: ზ. ქ-ური ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული ზ. ქ-ური საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მას ხულიგნობა და მარცვა არ ჩაუდენია; მოწმეების ჩვენებები და ყველა სხვა გარემოება მიმართულია სულ სხვა პირისაკენ, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია. აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალები უდავოდ ადასტურებს, რომ ზ. ქ-ურმა ჯგუფურად და ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ჩაიდინა მარცვა, კერძოდ:

საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დაზარალებულმა გ. ვ-შვილმა განმარტა, რომ ლ. ხ-შვილმა მოსთხოვა მაგნიტოფონი ფულის შემდეგ გადახდის პირობით, რაზეც მან და დ. მ-შვილმა უარი უთხრეს. ლ. ხ-შვილმა მაგნიტოფონი დახლიდან მაინც აიღო. იქვე იდგა ზ. ქ-ური. ლ. ხ-შვილმა დ. მ-შვილს ხელი გაართვა სახეში და ჩხუბში ზ. ქ-ურიც ჩაერთო. ხმაურზე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ დაცვის პოლიციელები, რომელთა დანახვაზე ლ. ხ-შვილი და ზ. ქ-ური გაიქცნენ და გაიტაცეს მაგნიტოფონი.

დაზარალებულმა დ. მ-შვილმა განმარტა, რომ ზ. ქ-ური და ლ. ხ-შვილი ესაუბრებოდნენ გ. ვ-შვილს. ზ. ქ-ურმა დახლიდან აიღო აუდიომაგნიტოფონი და ჩაიღო ქურთუკის ჯიბეში. ამავდროულად ლ. ხ-შვილი მივიდა დ. მ-შვილის დახლთან, აიღო 150 ლარად ღირებული მაგნიტოფონი და უთხრა - უნდა წაგართვაო. დ. მ-შვილმა გამოსტაცა მაგნიტოფონი და დახლზე დადო. ამის გამო ლ. ხ-შვილმა დაზარალებულს ხელი გაართვა სახეში. ჩხუბში ზ. ქ-ურიც ჩაერთო. დაცვის პოლიციელების დანახვისთანავე ზ. ქ-ური და ლ. ხ-შვილი გაიქცნენ და გაიტაცეს აუდიომაგნიტოფონი.

საქმეში არსებული მასალებიდან, მათ შორის - საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, ზ. ქ-ური განაწყენდა დ. მ-შვილზე, რადგან ამ უკანასკნელმა აიძულა ლ. ხ-შვილი, აუდიომაგნიტოფონი დახლზე დაედო. ცხადია, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა გამოიწვია მარცვისას დაზარალებულის მიერ გაწეული წინააღმდეგობის შედეგად წარმოქმნილმა კონფლიქტმა, რაც გამორიცხავს ხულიგნობის შემადგენლობას. ზ. ქ-ურს არ ამოძრავებდა საზოგადოებასთან დაპირისპირების სურვილი, ე.ი. მას არ გამოუხატავს აშკარა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი. შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში ზ. ქ-ურის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებებს, რაც საკმარისია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ზ. ქ-ურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ნოემბრის განაჩენიდან ამოირიცხოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში ზ. ქ-ურის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ზ. ქ-ურს საბოლოოდ განესაზღვროს 10 წლით, 2 თვით და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა

განჩინება

#329-აპ

8 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით ი. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2004 წლის 4 ივლისის განაჩენით ი. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 182¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ:

2006 წლის 2 ივლისს, დაახლოებით 14 საათზე, ი. გ-შვილი დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ქ. მარნეულში, ... ქუჩაზე თავს დაესხა ა. ხ-ოვს, მუქართა და ძალის

გამოყენებით მართლსაწინააღმდეგოდ გასტაცა კუთვნილი 5 ათასი ლარი და „მოტოროლას» ფირმის მობილური ტელეფონი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. გ-შვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 3 თვის ვადით და დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 6 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 თებერვლიდან. დაკმაყოფილდა დაზარალებულ ა. ხ-ოვის სამოქალაქო სარჩელი და მსჯავრდებულს მის სასარგებლოდ დაეკისრა 5 ათასი ლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ნ. რ-ძემ. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და ი. გ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, ი. გ-შვილის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტებით.

კასატორი - მსჯავრდებული ი. გ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი გასაუქმებელია, რადგან სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან; არ აღმოფხვრილა წინააღმდეგობა მტკიცებულებებს შორის, რაც ეჭვქვეშ აყენებს განაჩენს; სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი და გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები; სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული თავს არ ცნობს დამნაშავედ და ითხოვს მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა აღნიშნავს, რომ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებული მასალებით, მათ შორის, დაზარალებულ ა. ხ-ოვისა და მოწმე ფ. ს-ოვას ჩვენებებით, ასევე - ამოცნობის ოქმებით უტყუარადაა დადასტურებული და ეჭვს არ იწვევს, რომ ი. გ-შვილმა ჯგუფურად ჩაიდინა მარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლია საქმეში არსებული მასალები, რომელთა ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით დაადგინა დასაბუთებული განაჩენი და უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს სასამართლოს დასკვნები არ გამომდინარეობს შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობიდან.

სასჯელის დანიშვნისას პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა სათანადოდ გამოიკვლიეს და შეაფასეს ი. გ-შვილის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, მისი პიროვნების მახასიათებელი მონაცემები და ჩადენილი ქმედების სიმძიმე, რომელთა მხედველობაში მიღებით მსჯავრდებულს განესაზღვრა სამართლიანი სასჯელი. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებული და სამართლიანია.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, რადგან ამ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას და ი. გ-შვილის ქმედება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით სწორად იყო დაკვალიფიცირებული.

გარდა ამისა, ი. გ-შვილის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით დაეკისრა დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რადგან არც ა. ხ-ოვი და არც ი. გ-შვილი, შესაბამისად, სამოქალაქო მოსარჩელედ და მოპასუხედ ცნობილი არ ყოფილან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, თუ გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო მიიჩნევს, რომ წარდგენილ სარჩელს აქვს საკმარისი საფუძველი, გამოაქვს გადაწყვეტილება პირის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, რის შემდეგაც, ამავე კოდექსის 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობს ბრალდებულს. ამდენად, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მსჯავრდებულს ისე დააკისრეს დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის გადახდა, რომ საქმეზე არ დაწყებულა სამოქალაქო სამართალწარმოება.

ამასთან, ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, წარედგინა სამოქალაქო სარჩელი საქმის სასამართლო გამოძიების დაწყებამდე. ა. ხ-ოვმა მისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურება მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვის დროს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი ი. გ-შვილისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში უნდა გაუქმდეს.

იმის გამო, რომ საქმეზე სამოქალაქო სამართალწარმოება არ დაწყებულა, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, სსსკ-ის 561-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქმე სამოქალაქო სარჩელის ნაწილში ხელახლა განსახილველად გადასცეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამავე კოდექსის

33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება არ უკარგავს უფლებას დაზარალებულს, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა და სხვა ნაწილში სააპელაციო პალატის განაჩენი კანონიერია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს ი. გ-შვილისათვის დაზარალებულ ა. ხ-ოვის სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა

განჩინება

#817-აპ

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ტ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 თებერვლის განაჩენით დ. ტ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა მარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 3 ივლისს, დაახლოებით 3 საათზე, დ. ტ-მე იმყოფებოდა ბათუმში, ... ქუჩაზე მდებარე აფთიაქ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც შეამჩნია ქვეითად მოსიარულე მ. ც-მე და დ. დ-მე, მიუახლოვდა მათ და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მ. ც-მეს ყელიდან ჩამოგლიჯა ოქროს ყელსაბამი ოქროს კულონით, რითიც დაზარალებულს მიაყენა 200 აშშ დოლარის მნიშვნელოვანი ზიანი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

2007 წლის 24 ივლისს, დაახლოებით 20.40 საათზე, ნ. დ-მე მოძრაობდა ბათუმში, ... ქ. #25-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის წინ, რა დროსაც მას მიუახლოვდა დ. ტ-მე, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ყელიდან ჩამოგლიჯა ოქროს ყელსაბამი და კულონი, რითიც დაზარალებულს სულ მიაყენა 1000 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი, რის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ტ-მეს მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 25 ივლისიდან; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 6 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულს დაზარალებულ ნ. დ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ლარის გადახდა, ხოლო დაზარალებულ მ. ც-მის სასარგებლოდ - 200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი შეიცვალა: დ. ტ-მეს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3

ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული დ. ტ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ განაჩენის დადგენისას დაარღვია საქართველოს სსკ-ის 486-ე და 508-ე მუხლების იმპერატიული მოთხოვნები; არ არსებობდა გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები; სასამართლომ გამოიყენა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც კანონის დარღვევით იყო მოპოვებული და დაუშვებელ მტკიცებულებებად უნდა ყოფილიყო ცნობილი; გარდა ამისა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად არ არსებობდა პროკურორის თანხმობა, ამიტომ გამომძიებლის მიერ მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება სასამართლოს დაუშვებლად უნდა ეცნო.

მსჯავრდებულის განცხადებით, მას დანაშაული არ ჩაუდენია, რასაც ამტკიცებს მისი ამოცნობის ოქმები, რომელშიც არ არის აღნიშნული ისეთი ამოსაცნობი ნიშანი, როგორცაა ხალი სახეზე; საქმის განხილვისას უხეშად დაირღვა საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რამაც გავლენა მოახდინა კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

უსაფუძვლოა საკასაციო საჩივრის მოტივი, თითქოს დ. ტ-მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად არ არსებობდა პროკურორის თანხმობა.

პალატა აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება ეჭვიმტანილის ან ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით.

მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო წინასწარი გამოძიება, რის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა პროკურორს. საქმეშია წინასწარი გამოძიების დაწყების ადრიცხვის ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ გამომძიებელი ა. ჯ-მე და ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი ვ. თ-მე. პროკურორს ეცნობა დ. ტ-მის ეჭვიმტანილის სახით დაკავების თაობაზე და სწორედ პროკურორის შუამდგომლობების საფუძველზე შეამოწმა სასამართლომ მისი გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებების კანონიერება. გარდა ამისა, დ. ტ-მის დაკავების მომდევნო დღეს ეჭვიმტანილი საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად პროკურორის დადგენილებით გამოყვანილ იქნა დაკავების ადგილიდან. ნ. დ-მის გამარცხის ფაქტზე დ. ტ-მის ეჭვიმტანილად ცნობის დადგენილება გამოტანილია პროკურორის წერილობითი თანხმობით და ამ უკანასკნელის დადგენილების საფუძველზე გაერთიანდა სისხლის სამართლის ორი საქმე.

გასაჩივრებული განაჩენის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით შეკრებილია დ. ტ-მის მამხილებელი არაერთი უტყუარი მტკიცებულება, კერძოდ:

დაზარალებულმა მ. ც-მემ და მოწმე დ. დ-მემ საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას დამაჯერებლად ამხილეს დ. ტ-მე და კატეგორიულად აღნიშნეს, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა აშკარად გაიტაცა ოქროს ნივთი.

ნ. დ-მის გამარცხის მომდევნო დღეს, დ. ტ-მეს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა საკრედიტო ხელშეკრულებები და მათ საფუძველზე ლომბარდიდან ამოიღეს ოქროს კულონი, რომელიც ამოიგნო დაზარალებულმა ნ. დ-მემ და განმარტა, რომ სწორედ ეს ნივთი გასტაცა ბოროტმოქმედმა. თავად მსჯავრდებულმა არ უარყო, რომ ნ. დ-მის მიერ ამოცნობილი ოქროს კულონი თავად ჩააბარა ლომბარდში, მაგრამ მიუთითა, რომ ეს ნივთი «დაზარალებულს არ შეიძლებოდა ამოეცნო».

უსაფუძვლოა მსჯავრდებულის მითითება, თითქოს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენებში არ არის აღნიშნული დ. ტ-მის მიერ დასახელებული, მისი გამამართლებელი გარემოებები და მოტივი, რის გამოც ეს გარემოებები არ იქნა გაზიარებული.

როგორც ირკვევა, დ. ტ-მემ პირველი ინსტანციის სასამართლოში უარი განაცხადა ადვოკატის მომსახურებაზე, მას სასამართლო სხდომის მოსამზადებელ ეტაპზე ან სასამართლო გამოძიებისას რაიმე შუამდგომლობა არ დაუყენებია და არც დაკითხვისას დაასახელა მისი გამამართლებელი რაიმე გარემოება, რომელიც უნდა გარკვეულიყო. დ. ტ-მემ უარყო წარდგენილი ბრალდება და სასამართლომ ამასთან დაკავშირებით ამომწურავად იმსჯელა.

მართალია, საჩივრის მოთხოვნიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უფრო ვრცლად გასაჩივრებული განაჩენის სამართლიანობასთან დაკავშირებით იმსჯელა, მაგრამ ამავედროულად შეამოწმა მისი კანონიერება და დასაბუთებულობაც.

ამასთან, ნ. დ-მე აღნიშნავდა, რომ ბოროტმოქმედმა გასტაცა ოქროს ძეწკვი და კულონი, შესაბამისად, 700 და 300 ლარად ღირებული და მოითხოვა ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურება.

საბრალდებო დასკვნით დადგენილია, რომ დ. ტ-მის ქმედების შედეგად დაზარალებულს მიაღდა 1000 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ნ. დ-მეს საქმის წინასწარი გამოძიებისას დაუბრუნდა ოქროს კულონი, მის სასარგებლოდ მსჯავრდებულისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხის ოდენობა უნდა შემცირდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ტ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 მარტის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულ დ. ტ-მეს დაზარალებულ ნ. დ-მის სასარგებლოდ საბოლოოდ დაეკისროს 700 ლარის გადახდა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მარცვა

განჩინება

#1427-აპ

28 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მაისის განაჩენით გ. ლ-შვილი გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ ამავე კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და მიესაჯა 10 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 ნოემბრიდან. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა დაკავების დრო - 2007 წლის 27 ოქტომბრიდან იმავე წლის 29 ოქტომბრამდე. მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

ამავე განაჩენით რ. ც-მე გამართლდა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» და «დ» ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ორი ქმედებისათვის და საბოლოოდ მიესაჯა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 ნოემბრიდან.

გ. ლ-შვილსა და რ. ც-მეს 3-3 წლით ჩამოერთვათ სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო და საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო უფლებები, ასევე - იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით გ. ლ-შვილი ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად და დაჯარიმდა 500 ლარით.

2007 წლის 20 სექტემბერს, დაახლოებით 16:55 საათზე ქ. თბილისში, ... ქუჩა #22-თან საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ იქნა გ. ლ-შვილი, რომელიც შემოწმების მიზნით წარადგინეს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა „ობიუმის» ჯგუფისა და „ბუპრენორფინის» ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი. აღნიშნულის მიუხედავად, მან კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ, 2007 წლის 17 ოქტომბერს, დაახლოებით 5 საათზე, ქ.

თბილისში, ... ქუჩა #73-თან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ადმინისტრაციული წესით დააკავეს გ. ლ-შვილი, რომელიც შემოწმების მიზნით წარდაგინეს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი.

იმავე წლის 27 ოქტომბერს გ. ლ-შვილი კვლავ დააკავეს ადმინისტრაციული წესით და ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი.

2007 წლის 8 ნოემბერს, დაახლოებით 23 საათზე, ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, #3-ე კორპუსთან საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დააკავებულ იქნა გ. ლ-შვილი, რომელსაც დაუდგინდა „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი.

იმავე წლის 20 ნოემბერს, დაახლოებით 4:30 საათზე გ. ლ-შვილმა განიზრახა აშკარად, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ... ქუჩა #53-ე საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ ავტოსადგომზე გაჩერებული ავტომანქანის გვერდითა ხედვის სარკეებს. იმავე დღეს, დაახლოებით 4:45 საათზე გ. ლ-შვილი და რ. ც-ძე, ამ უკანასკნელის ბიძაშვილ კ. ც-ძესთან ერთად „ვოლვო-740“ მარკის ტაქსით, რომელსაც მართავდა ი. ლ-ია, მივიდნენ აღნიშნულ ავტოსადგომზე, სადაც თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად გ. ლ-შვილმა ი. ლ-იას გამოართვა დანა, მიუახლოვდა «მერსედესის» მარკის ავტომანქანას, რომლის გვერდითა ხედვის სარკეები მოხსნა ფიზიკური ძალისა და დანის გამოყენებით. მიუხედავად ავტოსადგომის დარაჯის - მ. ნ-ძის მოწოდებისა, არ მოეხსნა სარკეები, გ. ლ-შვილი აშკარად დაუფლა მათ და სწრაფად ჩაჯდა ტაქსში, რომლის მძღოლსაც შემთხვევის ადგილიდან გაცლა მოსთხოვა. გ. ლ-შვილმა მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ზემოაღნიშნული სარკეები, შემდგომი რეალიზაციისათვის გადაძალა ქ. თბილისში, ... ქუჩის #5-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბუჩქებში, რასაც ხედავდნენ რ. ც-ძე, ი. ლ-ია და კ. ც-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 ოქტომბრის დადგენილებით, რ. ც-ძე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს სსკ-ის 45-ე მუხლის შესაბამისად და განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

მიუხედავად ამისა, იმავე წლის 26 ოქტომბერს, დაახლოებით 23 საათზე ქ. თბილისში, ... ქუჩა #23-თან, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დააკავებულ იქნა რ. ც-ძე, რომელიც შემოწმების მიზნით წარდაგინეს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად, დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი.

იმავე წლის 7 ნოემბერს, დაახლოებით 4:30 საათზე ქ. თბილისში, ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ ადმინისტრაციული წესით დააკავებულ იქნა რ. ც-ძე, რომელიც შემოწმების მიზნით წარდაგინილ იქნა საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად, კვლავ დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „მეტამფეტამინის“ მოხმარების ფაქტი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალდებულმა და მსჯავრდებულმა გ. ლ-შვილმა. პროკურორმა მოითხოვა გ. ლ-შვილის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და სასჯელად 17 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა. მანვე მოითხოვა რ. ც-ძის დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით და სასჯელად 6 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.

მსჯავრდებულმა გ. ლ-შვილმა მოითხოვა მისი ქმედების სსკ-ის 273-ე და 239-ე მუხლებით დაკვალიფიცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული გ. ლ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მარცვა არ ჩაუდენია, მისთვის ნაცნობმა დარაჯმა უარი უთხრა ავტოსადგომზე «ეფედრინის» მიღებაზე, რის გამოც განაწყენდა და იქვე მდგარ მანქანას დაუზიანა სარკე, რითაც, მისი აზრით, დარაჯს პრობლემები შეექმნებოდა. გ. ლ-შვილი აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება მარცვის ბრალდების ეპიზოდში მისი მამხილებელი მტკიცებულებები და ეჭვი უნდა გადაწყდეს მის სასარგებლოდ.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოწმე მ. ნ-ძემ საქმის წინასწარი გამოძიებისას მიუთითა, რომ გ. ლ-შვილმა «მერსედესს» დანის გამოყენებით მოხსნა მარცხენა სარკე, რის გამოც ბოროტმოქმედს დაედევნა ყვირილით - თავი დაანებე, არ გაპატიებო. გ. ლ-შვილმა მოწოდება არაფრად ჩააგდო, სწრაფად ჩაჯდა ტაქსში და მიიძალა. გაირკვა, რომ ავტომანქანის ორივე სარკე მოხსნილი იყო.

მ. ნ-ძის სასამართლოში მიცემული ჩვენებით, მას სარკის მოხსნა არ დაუნახავს, თუმცა დაადასტურა, რომ გ. ლ-შვილს მოუწოდებდა - სარკეს ნუ ხსნი, დააბრუნეო.

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოწმე მ. ნ-ძის მიერ გადმოცემული ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოში დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა პოლიციელებმა. მათგან ზ. დ-ძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დაკავებულის მითითებით აღმოაჩინეს მოპარული სარკეები.

საგულისხმოა ისიც, რომ მ. ნ-ძის მიერ საქმის წინასწარი გამოძიებისას აღწერილ გარემოებებს ემთხვევა სასამართლოში დაკითხული ი. ლ-იას ჩვენებაც. ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ ავტოსადგომის ტერიტორიაზე ელოდებოდა გ. ლ-შვილს, რომელმაც გამოართვა დანა. გ. ლ-შვილის უკან მობრუნებისას მოესმა ყვირილი - ბიჭო, მობრუნდიო. ამავდროულად გ. ლ-შვილმა უთხრა: «არ არის პრობლემა, მაგ ბიჭს ვიცნობო».

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი ორივე მსჯავრდებულის მიმართ დადგენილია სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, იგი ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, რაც უდავოდ ადასტურებს გ. ლ-შვილის მიერ სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ე» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენასაც. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. ლ-შვილსა და რ. ც-ძეს უნდა გაუნახევრდეთ სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელები და იმის გათვალისწინებით, რომ რ. ც-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 20 ნოემბრიდან, მას ამ განჩინებით საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულთა სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რ. ც-ძეს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 1 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 7 თვით და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალოს მოხდილად და რ. ც-ძე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. ლ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის დანიშნული სასჯელი - 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. ლ-შვილს საბოლოოდ მიესაჯოს 8 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.